

რაჟდენ დათეშიძის გამოცემა

სიმონ ქვარიანი

ქართველი ერის

ტრაგედია

მე-17 საუკუნეში

(გიორგი სააკაძე და მისი დრო)

„იმერეთი“

ქუთაისი

სტამბა იოსებ მ. ხელაძისა

1911

წინასიტყვაობა.

მსოფლიო ისტორიაში არ გვეგულება ერი, რომელსაც განეცადოს იმდენი ტანჯვა-წამებანი, რაც განიცადა **პატარა საქართველომ**. ბევრი სშინელი წლები განვლო ქართველმა ერმა თავის ტრაგიზმით სავსე ისტორიაში, მაგრამ მათში ყველაზე უფრო სამნიშვნელოთ მიგვაჩნია **მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი მეოთხედი**. სწორეთ ან დროს უპირებდა მოსპობას მთელს ივერიას, უმთავრესათ რუსეთთან დაკავშირების გამო. ირანის ლომი **შაჰ-აბაზი შაის** ურიცხვმა მხედრობამ ააოხრა ტურფა კახეთი, გასწყვიტა **70000-ზედ მეტი მცხოვრები** და წაიყვანა თყვეთ **150000-დი ქალი და კაცი**. შაის ბრძანებით მოკლეს **ლუარსაბ მეფე**, აწამეს **ქეთევან დედოფალი** და სტანჯეს დიდი მოურავის შვილო **პაატა სააკაძე**. კიდევ უფრო სამინელ საქმეს უპირებდა მრისხანე

შაი მთელს ივერიას, მგარამ განგებამ მოუვლინა მას მხსნელათ დიდებული გმირი **გიორგი სააკაძე**.

ამ უკვდავმა მამულიშვილმა თავის უზენაეს გენიოსობით და თავგანწირვით შემუსრა რამდენჯერმე სპარსთა ძალები და მით იხსნა დაღუპისაგან თავის ბედკრული სამშობლო. ჩვენის აზრით არც ერთ მსოფლიო გენიოსს არ უქნია ის, რაც ჩაიდინა საშინელ პირობებში დიდმა მოურავმა გიორგი სააკაძემ.

II

მისი ბუმბერაზული საქმენი პირდაპირ აუწერელია და დაუჯერებელია. ჩვენც ვერ დავიჯერებდით, რომ მათ არ ამოწმებდეს იმ დროის საქართველოს და უცხოეთის მწერლები. ამ ლეგენდარულმა პირმა გაავლო მეტათ ღრმა კვალი იმ ხანას და შექმნა მთელი ეპოქა. ამიტომ იმ დროს თამამათ შეგვიძლია ვუწოდოთ **გიორგი სააკაძის ხანა**.

ისტორიამ არ დაინდო ეს იშვიათი ადამიანი. საშინელმა ცილის წამებამ დაჩრდილა სიმართლე. პირადმა მტრობამ და ბოროტმა ენამ დიდ მოურავს მოსცხო საშინელი ჩირქი: **გმირს დასწამეს ლალატი, ქვეყნის მხსნელს სამშობლოს აწიოკება**. ურცხვმა სიყალბემ დაფარა სინამდვილე, შეცდომაში შეიყვარა ზოგიერთი მწერალი და ისტორიკოსი. ამ სიყალბეს მედგრათ შეებრძოლა ამ ოციოდ წლის წინათ სახელოვანი მწერალი **ანტონ ფურცელაძე**, ააგლიჯა ნიღაბი ცილის წამებას და მოაშორა გმირს სამასი წლის უსამართლო ლაქი. გაქრა ბურუსი. გამობრწყინდა უკვდავი ნანულიშვილი, ზეკაცი, დიდების შარავანდედით გარემოცული.

„მოიდრიკეთ მუხლი გმირის წინაშე! თქვენს წინ დგას საქართველოს მხსნელი გიორგი სააკაძე!“

გვიკარნახებს თავის შესანიშნავი წიგნით ბ-ნი ფურცელაძე და ჩვენც გაოცებული ვდგავართ დიდი მოურავის, ამ კაცთა შორის იალბუზის წანაშე.

ჩემი წიგნის მიზანია მოკლეთ და გასაგები ენით დაასურათოს ქართველი ერის საშინელი ტრაგედია მეჩვიდმეტე სუკუნის პირველ მეოთხედში მომხდარი, გააცნოს მკითხველს გიორგი სააკაძის ბუმბერაზი პიროვნება და მისი საარაკო

III

სქმენი. თითქმის ორი წელია ვკრებ მასალას ამის შესახებ.

შევძელ თუ არა ამ მძიმე ტემის პირნათლათ ასრულება, ეს მკითხველისთვის მიმინდვია.

რაც შეეხებებ გიორგი სააკაძის სურათს, მე ვისარგებლე იმ სურათით, რომელიც გამომიგზავნა რომიდან განსვენებულმა **მიხელ თამარაშვილმა**.

დაბოლოს დიდ მადლობას ვუძღვნი ჩემს მეგობარს **რაჟდენ დათეშიძეს**, რომელმაც იკისრა ამ ჩემი ნაშრომის გამოცემა და მით ხელი შეუწყო მის გამოქვეყნებას.

სიმონ ქვარიანი.

ქუთაისი

1. საქართველო 16-ტე საუკუნეში.

მონგოლთა შემოსევამ მეცამეტე საუკუნეში, ქვეყნის დანაწილებამ და ქართველ თავადთა ურთიერთ შორის კინკლაობაბ დასცა ერთ დროს ძლიერი საქართველო. გაქრა სამუდამოთ დავით აღმაშენებლის და თამარის დროის ქართველი ერის ზარდამცემი სახელი, მისი მაღალი კულტურა და ძლიერება. გამძლავრდა მუსლიმი, დასუსტდა საუკუნეთა ბრძოლაში პაწაწა ფალავანი. დაიმსხვრა ერის შემაერთებელი ძალა. მეთერთმეტე საუკუნეში საქართველო დადგა **სამ სამეფოთ და ხუთ სამთავროთ**. ამ რიგათ დაფლეთილი საქართველო აღარ შეერთებულა.

იმ დროს, როდესაც გარეშე მტრები იკრებდენ ძალას, როდესაც სეფითდა დინასტიის ზეგავლენით ახლდებოდა დიდი სპარსეთი და ბიზანტიის ნანგრეებზე არსდებოდა ოსმალთა ძლიერი იმპერია, სწორეთ იმ დროს, ერთათ მოქმედების ნაცვლათ, პირადი შუღლის მეოხებით იწეწებოდა ჩვენი ბედშავი საქართველო და ინთხეოდა ძმათა სისხლი. ქართლი ებრძოდა კახეთს, იმერეთი გურია-სამეგრელოს, თავადი თავადს, ყველანი ერთმანეთს და იყო ერთი გაუთავებელი ცარცვა, რბევა და სისხლის ღვრა. ამით ხარობდა მტერი, აქეზებდა მებრძოლ ძმებს ერთმანეთის წინამდეგ, უფათურებდა შიგნით ხელებს, ასუსტებდა ქართველ ერს და ამ ღვრია წყალში იჭერდა

თევზებს.

აი, როგორი დამღუპელი გავლენა იქონია ქართვე-

- 2 -

ლებზე მონგოლთა პოლიტიკამ! ასი წლის მონობამ მეტათ დათრგუნა ჩვენი ქვეყანა. ველურმა მონგოლებმა მოსპეს საქართველოში კულტურის ნაშთები; მძიმე ხარკით გაცარცვეს და გააღატაკეს მდიდარი ქვეყანა, მოსპეს შკოლები, დასცეს მეურნეობა-მრეწველობა, გაწყვიტეს ომებში მრავალი ქართველი, ამ რიგათ დააქვეითეს ერი ფიზიკურათ, ნივთიერათ, გონებრივათ და ზნეობრივათ. საერთო ინტერესის და მამულიშვილურ გრძნობის ნაცვლათ გაბატონდა ჩვენში ვიწრო პირადი სარგებლობა, შური და კინკლაობა. ქართველ ერს დაავიწყდა თავის მაღალი ისტორიული დანიშნულება. იგი თითქო დაეცა სულით, დაკარგა საღი გონება და იქცა რაღაც ეგოისტურ, გადაგვარებულ არსებათ.

ქართველი ერის დაცემას ხელი შეუწყო ბიზანტიის იმპერიის მოსპობამ. გაქრა სამუდამოთ ეს კულტურის და ქრისტიანობის დიდებული კანდელი, საიდანაც ქართველი ერი იკრებდა სულიერ ძალას, სარწმუნოებრივ სიმტკიცეს და განათლებას. ამ ბრწყინვალე ნათელის ნაცვლათ დაისადგურა საშინელმა წყვიადმა; განათლებულ ბერძნების მაგივრათ დასავლეთით ჩვენს მეზობლათ გახდენ ნახევრათ ველური ოსმალები თავის დაპყრობის ალოთი და ძალმომრეობით.

ქართველ ერს, ბედის უკუღმა ტრიალით, დაუცდა ფეხი ისტორიულ გზაზე და დაქანდა დამღუპელ ხრამისკენ. იგი ვერ შეაჩერა ამ დაღუპისაგან ვერც გიორგი ბრწყინვალეს გენიოსობამ, ვერც ლუარსაბ პირველის და სვიმონ დიდის თავგანწირულმა სიმამაცემ. ისტორიული გრიგალი მას მიაქანებდა სულ დაბლა და დაბლა...

საქართველოს წინაშე აღიმართენ ჩასანთქავათ ორი პირდაღრენილი ვეშაპი: ძლიერი **სპარსეთი** და კიდევ

- 3 -

უფრო ძლიერი **ოსმალეთი**, რომელიც იმ დროს შიშის ზარს სცემდა მთელს ევროპას. ამრიგათ აღმოსავლეთი საქართველო, ანუ ივერია ჩავარდა **სპარსეთის** ხელში,

დასავლეთი საქართველო, ანუ კოლხიდა კი ოსმლთა მორჩილებაში. სამხრეთი საქართველო, ანუ მესხეთი ხან ერთის კლანჭებში ვარდებოდა, ხან მერეში; ეს ქვეყანა გადიქცა ქიშპობის ვაშლათ რის მიზეზით ხდებოდა ბრძოლა ამ ორ ვეშაპს შორის. არა იშვიათათ თვითო მათგანი იჩემებდა მთელს საქართველოს, რის გამო მწვავედებოდა ომი მათ შორის. ამგვარ პოლიტიკით მშვენივრათ შეეძლოთ ესარგებლათ ქართველებს, რომ მათში ყოფილიყო ერთობა და თანხმობა.

ბუნებით ქართველი იყო მეტათ გულადი და შესანიშნავი მეომარი. იგი თავგანწირვით ებრძოდა შემოსულ მტერს, გამირულათ იცავდა ოჯახს, სამშობლოს და სარწმუნოებას. ბრძოლის ველზე ქართველი ჯარი არა იშვიათად ამარცხებდა ხუთჯერ და ათჯერ მეტ მტრის ლაშქარს. ამას სელს უწყობდა გეოგრაფიული პირობანი, ე. ი. ვიწრო ხეობები და შეუვალი მთა-გორაკები უსიერი ტყით დაბურული. ამ ადგილებში ქართველი ხიზნიდა თავის ცოლ-შვილს მტრის შემოსევის დროს, ამ ადგილებში ქართველი იყო უძლეველი. მაგრამ ესევე გეოგრაფიული პირობანი შეიქნა ქართველი ერის დამღუპელი. ამ მთა-გორაკებზედ აგებულ ციხე-სიმაგრეებით გალადებული ფეოდალები, ე. ი. დიდი თავადები ეუთხებოდენ საქართველოს მეფეს, უწყებდენ ბრძოლას, იმარჯვებდენ ხშირათ და გამოდიოდენ მის მორჩილებიდან. სწორეთ ამ გეოგრაფიულმა პირობებმა, სხვა მიზეზებთან ერთათ, ხელი შეუწყო მეფის უფლების დაცემას და ფეოდალების გაძლიერებას, რის მეოხებით მოხდა პატარა საქართველოს და-

-4-

ნაწილება წერილ სამეფო-სათავროებათ, ამ რიგათ ერის ძალის დაქსაქსვა და ერთობის დაცემა. ამან კი ხელი შეუწყო მტრის გამარჯვებას და საქართველოს დამხობას.

სულ სხვა იყო, როცა საქართველოს ყველა ნაწილი იყო შეერთებული და გამტკიცებული ერთი მეფის ბძანებლობით. ამგვარი შეერთებით საქართველომ გაწყვიტა სამასი წლის მონობის კირთები **ბაგრატ მესამის** დროს და განდევნა არაბები. ამ შეერთებამ **დავით აღმაშენებლის** გენით გამტკიცებულმა დაამხო თურქთა თარეში და ძლიერება. ამ შეერთებამ **დიდი თამარის** დროს ქე-

დი მოახრევეინა საქართველოს წინაშე მთელ მუსლიმს და დასავლეთ აზიას. თამარის დროშის წინაშე ცახცახებდა მთელი სპარსეთი, მის წინ გარბოდა ამაყი **ნუქარდინი**. ამ შეერთებით **გიორგი ბრწყინვალემ** განდევნა მონგოლები და იხსნა ქართველი ერი ასი წლის მონობისაგან.

აი რა დიდი მნიშვნელობა ქონებია ერთობას და შეერთებული ძალით მოქმედებას!

გაქრა ეს ერთობა, დანაწილდა ჩვენი ქვეყანა და მასთან ერთად დატრიალდა უკულმა საქართველოს ბედის ვარსკვლავი. ამიერიდან ქართველ ერს აღარ გაუხარია. ის დაგორდა უძირო ხრამისკენ დასალუპავათ. დაეცა საქართველო პოლიტიკურათ, ნივთიერათ და კულტურულათ. ქართველი ერი წავიდა უკან გონებრივათ და ზნეობრივათ. დრო გამოშვებით ჩდებოდენ ჩვენში დიდებული მამულიშვილნი; ისინი ცდილობდენ შეეერთებიათ ერი და ეხსნათ დალუპისაგან, მაგრამ ყოველივე იყო ამაო...

დასავლეთ აზიაში მეტად გამლიერდენ მუსულმანები. მათი მიზანი შეიქნა ქრისტიანობის აღმოფხვრა მცირე აზიასა და ამიერ კავკასიაში. მათ დასცეს სირია და მოსპეს სომხეთის სამეფო. ახლა დარჩათ მხოლოდ

- 5 -

წვრილ სამეფო-სამთავროები დაგლეჯილი პატარა საქართველო, რომელსაც შემოეხვია ირგვლივ მუსლიმის რგოლი. ოსმალებმა ჩაიგდეს ხელმი კოლნიდა, მესხეთი და დაუწყეს გამუსულმანება. მათ გაამუსულმანეს კიდევ **ჭანეთი, აჭარა და ქობულეთი**. ამასვე უპირებდენ დანარჩენ მხარეებს. აღმოსავლეთით კი ივერიას დაეპატრონა სპარსეთი და დიდის ოსტატობით ცდილობდა გაემუსულმანებია ქართლ-კახეთის მეფენი და დიდებულნი. ქართველები გრძნობდენ ამ საშინელ საფრთხეს. მათ არ სურდათ ეღალატათ იმ სარწმუნოებისათვის, რომელიც მოფინეს ჩვენში **ანდრია მოციქულმა და წმინდა ნინომ**. აქედან იწყება ჯვრის გულისათვის სიკვდილ-სასიცოცხლო მრძოლა ძლიერ მუსლიმსა და რვათ დანაწილებულ პაწაწა საქართველოს შორის. ქართველი ერი ჩავარდა დიდ განსაცდელში. მას რჩებოდა ორი რამ: **ან განუსულმანება, ან ძლიერი მოკავშირის მიძებნა და მით ქრისტეს სარწმუნოების შერჩენა.**

ქართველმა ერმა ბუნებრივად აირჩია მეორე გზა და დაუწყო ძებნა საიმედო მოკავშირეს. მან თვალი მიაპყრა დასავლეთით განათლებულ ევროპას, მაგრამ ევროპის სახელმწიფოებს იმ დროს არ ეცადათ ჩვენთვის; ისინი იყვენ გართული ურთიერთ შორის ომებში. იქიდან მოდიოდენ ჩვენში მხოლოდ კათოლიკე ბერები თავიანთ სარწმუნოების გასავრცელებლათ, მაგრამ ეს მანდამაინც დიდათ სანუგეშო არ იყო ჩვენთვის. ევროპის რომელიმე სახელმწიფოს კიდეც რომ სდომებოდა ქართველთა კავშირი და დახმარება, ეს თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენსა და ევროპას შორის უზარმაზარ ზღუდეთ იდგა ოსმალეთი და ამ რიგათ გვიკრავდა გზას ევროპასთან.

ამას შემდეგ ქართველმა მეფეებმა დაიწყეს ცქერა

- 6 -

ჩრდილოეთით. აქ თვალ უწვდენ ვაკეზე ოთხ ზღვას შორის იზრდებოდა **რუსეთის დიდი იმპერია**. იგი თანდათან მოგორავდა სამხრეთით, უახლოვდებოდა სპარსეთს და ოსმალეთს. ეს ორი სახელმწიფო რაღაც იდუმალი შიშით შეცქეროდენ ამ უმაგალითო ზრდას და ცდილობდენ შეეკავებიათ იგი, რადგან დღეს თუ ხვალ უნდა მომხდარიყო საშინელი შეტაკება. ჩრდილოეთის ბუმბერაზი სტიქიურათ იწევდა შავსა და კასპიის ზღვებისაკენ, ის ეძებდა გასავალ კარებს ოკეანში და მოკლე გზას ინდოეთში. ამ რიგათ იგი უსათუოთ უნდა დაჯახებოდა სპარსეთს და ოსმალეთს. ასეც მოხდა...

პირიქით ჩვენი მეფენი უსაზღვრო სიხარულით შეტრფოდენ რუსეთის ასეთ საარაკო ზრდას, რადგან მზერდენ მასში საქართველოს მტარვალთა მომავალ მტერს, იშვერდენ ჩრდილოეთით ხელებს, სთხოვდენ კავშირს და დახმარებას რუსეთის მეფეებს, მით უმეტეს, რომ რუსეთი იყო ჩვენსავით მართლმადიდებელი ქრისტიანი. ეს გარემოება დიდ ნუგეშს აძლევდა ქართველ მეფეებს და დიდებულთ, ბადებდა მათში რწმენას, რომ თანამორწმუნე რუსეთი გაუწევდა განსაცდელში ჩავარდნილ ქართველ ერს ნამდვილ მეგობრობას და მფარველობას.

ამ მიზეზით კიდევე მეთუთხმეტე საუკუნის დამლევადან იწყეს ქართველმა მეფეებმა რუსეთში ელჩების გზავნა და კავშირის ძებნა. მეთექვსმეტე საუკუნეში ხომ გა-

ჩაღებულ მიწერ-მოწერა იყო რუსეთის ხელმწიფესა და ქართლ-კახეთის მეფეებს შორის. რუსეთის ხელმწიფენი იღებდენ ივერიის მეფეთა ტიტულს, უგზავნიდენ მათ ფეშქაშებს და პირდებოდენ დახმარებას; ხოლო ეს დაპირება მუდამ ჟამს რჩებოდა ისევ დაპირებათ, მარტოდენ ცარიელ სიტყვათ...

-7-

იაფათ არ დაუჯდათ ქართველებს რუსეთისაკენ ხელის პოტინი. ამ საქციელით იმათ გააბრაზეს თავიანთი ბატონები: სპარსნი და ოსმალნი, რომლებიც გაფაციცებით თვალეს ადევნებდენ საქართველ-რუსეთ შორის ელჩების გზავნას და მიწერ-მოწერას. ეს ორი სახელმწიფო თავიანთ საკუთრებათ თვლიდენ ჩვენს ქვეყანას. რუსეთთან კავშირით კი არამც თუ უსხლტებოდათ ხელიდან ჩვენი ტურფა სამშობლო, საიდანაც ისინი პოულობდენ ბევრ სარგებლობას, არამედ თვით ვარდებოდენ ფრიად საშიშ მდგომარეობაში. აქამდე რუსეთსა და ამ ორ სახელმწიფოს შორის უზარმაზარ კედლათ იყო აშვერილი თოვლით მოსილი კავკასიონი, რომლის კარები, ე. ი. **დარიალი** ხელში ეკავათ ქართველებს. ამიერიდან ქართველები უღებდენ რუსებს ამ საბედისწერო კარებს და უშვებდენ შიგ. ამრიგათ რუსებს ეხსნებოდათ პირდაპირი გზა შიდ შუაგულ სპარსეთსა და ოსმალეთში.

ადვილი მისახვედრია, რა შიშის ზარს დასცემდა ეს გარემოება ამ ორ სახელმწიფოს. ისინი უფრო ადვილათ გადაწყვეტდენ მოესპოთ ერთიანათ ქართველი ერი, ვინემ მიეცათ ნება ქართველ მეფეთათვის გაეხსნათ დარიალის კარები და შემოეშვათ რუსები. სწორეთ რუსეთისკენ ხელის პოტინის, რუსეთთან კავშირის ძებნის მიზეზი იყო, რომ **სელიმ სულთანმა** გადაწყვიტა საქართველოს მოსპობა და რომ მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს ქართლ-კახეთში დატრიალდა ის საშინელი ტრაგედია, რომლის ბადალი არ ყოფილა მთელს მსოფლიო ისტორიაში.

იმ დროს როდესაც ქართლ-კახეთის მეფენი გზავნიდენ რუსეთში ელჩებს და ევედრებოდენ რუსის ხელმწიფეს შველას და მფარველობას, ოსმალთა სულთანნი სელიმ ამზადებდა აურაცხელ ჯარს და სპრსეთის ყაენთან

ისმაილ შაისთან ერთად სურდა მოესრა მთელი საქართველო. ვინ იცის რა საშინელება დატრიალდებოდა საქართველოში, რომ იგი არ ეხსნა ამ განსაცდელისაგან სელიმის დიდ ვეზირს კაცმოყვარე **მამუდს**, ილირიელ ბერძენს, რომელმაც სისხლის მღვრელი სულთანს გაუჩინა მცირე აზიაში ახალი საქმენი, ჩაითრია იქ ახალ ომებში და მით ააცთინა ჩვენს ქვეყანას მისი მრისხანე თვალი. ამას შემდეგ ოთხჯერ შემოესია საქართველოს ამავე მიზნით ურიცხვი ჯარით ისმაილ შაჰის შვილი **შაჰ-თამაზი**, მაგრამ, საბედნიეროდ, ქართლში იჯდა მეფეთ ისეთი შესანიშნავი სარდალი, როგორიც იყო **ლუარსაბ პირველი**, რომელმაც სანაქებოთ დაამარცხა ოთხჯერვე შემოსეული მტერი და მით იხსნა მთელი საქართველო სრულ ამოწყვეტისაგან.

მაგრამ მოკვდა ბრძოლის ველზე გმირი ლუარსაბი; მიიცვალა ტყეობაში არა ნაკლებ მამაცი და ოსმალთა ძალის დამცემი მისი შვილი **სვიმონ პირველი**. ქართლ-კახეთის ტახტზე ამათ შემდეგ ავიდენ უნიჭო მეფენი **ალექსანდრე და გიორგი**, რომლებიც ემოყვრებოდენ რუსის ხელმწიფეს, გზავნიდენ კვლავ ელჩებს, სთხოვდენ კავშირს და დახმარებას.

ამ რუსეთის ვედრებაში იყვენ ჩვენი მეფენი, როცა სპარსეთის ტახტზე ავიდა გენიოსი მეფე, ირანის ლომი **შაჰ-აბაზი**.

2. შაჰ-აბაზი და მისი ოინები.

მეთექვსმეტე საუკუნედან იწყება სპარსეთის გაერთიანება და გაძლიერება. ამის მიზეზი შეიქნა ახალი სამეფო გვარი, **სეფიდთა დინასტია**, რომლის დამაარსებლათ ითვლება **ისმაილ შაჰ**, ადერბილერი თათარი. ისმაილ შაჰმა დიდი ამაგი დასდო თავის სახელმწიფოს: მან გააერთიანა მონგოლთა მიერ დაგლეჯილი სპარსეთი და გააფართოვა მისი საზღვრები. მისმა შვილიშვილმა **შაჰ-აბაზმა** ხომ უმაღლეს წერტილზე აიყვანა სპარსეთის ძლიერება.

დიდი კიროსის შემდეგ ირანის ტახტზე არ ასულა ისეთი დიდებული მეფე, როგორც იყო შაჰ-აბაზი. ეს იყო ნამდვილი გენიოსი თავის მოქმედებით და დიპლომატიური ნიჭით, მასთან იშვიათი სარდალი. მისი მუდმივი ზრუნვა იყო თავის ქვეყნის გაძლიერება და გაბედნიერება. ეს იყო დიდი ჭკუის მქონე შორს გამჭვრეტი ადამიანი. ავიდა თუ არა ტახტზე, მან განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია საქართველოს, მეტადრე ქართლ-კახეთს, რომელთა მეფეებს გიორგისა და ალექსანდრეს გაჩაღებული მიწერ-მოწერა ქონდათ რუსეთის ხელმწიფესთან, ევედრებოდნენ მფარველობას და დახმარებას. თვით ქართლის მეფეს გიორგი მეათეს სთხოვდა ქალს სარძლოდ რუსეთის ხელმწიფე **ბორის გოდუნოვი**.

ეს ამბები გულს უხეთქდა შაჰ-აბაზს. მას ძლიერ კარგათ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა რუსეთთან კავშირი და რუსების ჩამოსვლა საქართველოში. ამიტომ მიმართა ჯერ მშვიდობიან საშუალებას, სურდა დაერწმუნებია ქართლ-კახეთის მეფენი, რომ რუსეთთან კავშირი არ იყო მათთვის სახიერო, რომ ისინი განშორებოდნენ ამ

- 10 -

ოცნებას. ნაცვლათ აღუთქვა ყოველგვარი შეღავათი. ვერ გასჭრა შაჰის მშვიდობიანმა რჩევამ, ვერ დაიყოლია ქართლ-კახეთის მეფენი. ისინი ძველებურათ განაგრძობდნენ ხელის პოტინს ჩრდილოეთისკენ, მეტადრე კახეთის მეფე ალექსანდრე. მაშინ ხიფათის თავიდან ასაცილებლათ, შაჰ-აბაზმა მიმართა მკაცრ საშუალებას: მან გაიტყუა გიორგი მეათე ომში დასახმარებლათ, მოეპყრა მეტათ თავაზიანათ, მაგრამ იმავე დროს მოაწამლინა ნელის საწამლავით, რამაც მოკლე ხანში მოუღო ბოლო ქართლის მეფეს. ალექსანდრეს კი გაუგზავნა მკვლელათ თავისივე შვილი, გამაჰმადიანებული **კოსტანტინე**, რომელიც იყო მძევლათ შაჰის სასახლეში. შაჰიმ კოსტანტინეს აღუთქვა კახეთის მეფობა, თუ იგი მოკლავდა თავის მამასა და ძმას. კოსტანტინე მოვიდა კახეთს სპარსთა ძლიერი ჯარით, დაიბარა მამა და ძმა გიორგი, შემოახვია ირგვლივ სპარსელები და დაახოცინა უსინდისოთ. ამ საზარელ ამბავს დაესწრენ რუსეთის ელჩები, რომელთა იქ ყოფნამ კიდევ უფრო გააბრაზა ბოროტი

კოსტანტინე. მან დაიპყრო კახეთის ტახტი და გამოიჩინა საშინელი სასტიკობა. მანვე მოინდომა თავის ძვრივი რძლის, ქეთევან დედოფლის ცოლათ შერთვა.

კოსტანტინეს ველურმა საქციელმა ააშფოთა მთელი კახეთი, განსაკუთრებით ქეთევან დედოფალი. ამან ამართა ამბოხების დროშა მამისა და ძმის მკვლელის წინააღმდეგ. ამ იშვიათ ადამიანისა და სულით ძლიერ ქართველ დედის დროშის ქვეშ შეგროვდნენ კახეთის საუკეთესო მამულიშვილნი კახეთის გმირის **დავით ჯანდიერის** სარდლობით. იმათ შეფიცეს დედოფალს ერთგულობაზე და თვით ქეთევანის მეთაურობით გაემართნენ კოსტანტინეს წინააღმდეგ. იგი უკვე მომზადებული იყო

- 11 -

და სპარს-შირვანი დიდი ჯარით მიეგება საომრათ ქეთევანს. ომის დაწყებამდე კოსტანტინე მცირე ამალით მიუახლოვდა კახთა ჯარს. აქ უკვე ჩასაფრებული იყვნენ მის მოსაკლავათ დავით ჯანდიერი და ორი ძმა ვაჩნაძე, თამაზ და ბებურ. ამათ მედგრათ შეუტყეს მოახლოვებულ მტერს, კრეს შუბი კოსტანტინეს და ჩამოაგდეს ცხენიდან ისევ ცოცხალი, გაუპეს თავი ხმლით, მოკვეთეს და მიართვეს ქეთევანს. შემდეგ კახთა ჯარი მამაცათ ეძგერა მტრის ლაშქარს და სასტიკათ დაამარცხა. გამარჯვებულთ დარჩათ მტრის მთელი ბანაკი და ქონება.

ამ გამარჯვების შემდეგ ქეთევანმა მისწერა ბარათი შაჰ-აბაზს, აუწყა თავის გამარჯვება და კოსტანტინეს სიკვდილი, სთხოვა ეცნო კახეთის მეფეთ და გამოეშვა მძვლათ წაყვანილი მისი ერთათ ერთი ვაჟი **თეიმურაზი**. კოსტანტინეს დამარცხებამ და სიკვდილმა მეტათ გააცხარა შაჰ-აბაზი, მაგრამ შორს გამჭვრეტმა დიპლომატმა შეიკავა თავი, დაიბარა თეიმურაზი, მიულოცა გამარჯვება და დიდი საჩუქრით გაისტუმრა კახეთის მეფეთ, თან ჩამოართვა ფიცი ერთგულობაზე. ამ საქციელით მას სურდა მოეგო თეიმურაზის გული.

ამავე ხანში მიიცვალა ქართლის მოწამლული მეფე გიორგი მეათე და ტახტზე ავიდა მისი ახალგაზდა შვილი **ლუარსაბ მეორე**. რომ მშვიდობიანი საშუალებით მოეშორებია ეს ორი მეფე, თეიმურაზი და ლუარსაბი, იმ გზიდან, რასაც ადგენ მათი მამები, ე. ი. რუსეთთან და-

ახლოებას და გაეხადა ისინი თავის ერთგულნი, შაჰ-აბაზ-
მა შეერთო ცოლათ ორივე მეფის და, ამ რიგათ დაე-
მოყვრა მათ. ესეც არ იკმარა: მან დაამოყვრა ერთმა-
ნეთს ოტივე მეფე; თეიმურაზს შერთო ცოლათ ლუარ-
საზის მეორე და. აი რიგათ შექმნა თავისა და მათ შორის
ნათესაური კავშირი.

- 12-

ამათ ჩაიარა შაჰ-აბაზის ასეთმა პლანებმა. ვერც
დაყვავებით და ვერც დამოყვრებით ვერ მოიგო თეიმუ-
რაზის გული. თეიმურაზს არ ქონდა შაჰ-აბაზის ნდობა;
მას არ წამდა სპარსეთის მეფის სიწრფელე და ერთგუ-
ლობა. ბუნებით თეიმურაზი იყო მეტათ ეჭვიანი და უნ-
დო ადამიანი, მასთან საოცარი ინტრიგანი. თავის პაპა
ალექსანდრესავით თეიმურაზი ერთათ-ერთ ნუგეშს მზერ-
და რუსეთის მფარველობაში. ამიტომ მოუხშირა ელჩე-
ბის გზავნა ჩრდილოეთით. ამავე საქმეში მან ჩაითრია
ქართლის გამოუცდელი მეფე ლუარსაზი. ამ რიგათ, სა-
უბედუროთ, ორივე მეფე დაადგენ ფრიად სახიფათო გზას,
თავიანთი საქციელით მეტათ გაარისხეს ირანის ლომი და
შეიქნენ მიზეზნი თავიანთ ქვეყნის საშინლათ აოხრებისა
და დაღუპის კარამდე მიღწევის.

ჩვენ მეფეთა მიერ რუსეთში ელჩების გზავნა არ
რჩებოდა საიდუმლოთ შაჰ-აბაზს, რომელსაც ყველგან
ყავდა ჩაყენებული თავის ერთგული ჯაშუშები. იგი აშკა-
რათ მზერდა, რომ ვერც მოყვრობამ, ვერც მეგობრობამ
და ვერც საჩუქრებმა ვერ მოხიბლეს ქართლ-კახეთის მე-
ფეთა გული; ისინი გაურბოდენ მას და ევედრებოდენ
რუსის ხელმწიფეს მფარველობას. მაშინ შაიმ მიმართა
ერთ მეტათ ხერხიან ოინს; მან ფრიად საიდუმლოთ მის-
წერა ლუარსაზ მეფეს ტკბილი და ერთგულობის გამომ-
ხატველი ბარათი, რომელშიაც თეიმურაზი გამოყავდა რო-
გორც თავის, ისე ლუარსაზის მოღალატეთ. ამ ბარათით
შაჰ-აბაზი საიდუმლოთ ატყობინებდა ქართლის მეფეს, რომ
თეიმურაზი უპირებს მას ჩუმათ დიდის ლაშქრით თავზე
დაცემას, სიკვდილს და მთელი ქართლის დაპყრობას. ამი-
ტომო, სწერდა იგი, ახლავე შეკრიბე დიდი ჯარი, მოას-
წარ თეიმურაზს, დაეცი თავზე, მოჰკალ და მთელი კა-
ხეთი შენთვის დამილოცნიაო.

სწორეთ ამგვარივე შინაარსის ბარათი იმავე დროს შაიმ მისწერა თეიმურაზს, სადაც აფრთხილებდა მას ლუარსაბის წინამდევ, აქეზებდა დასცემოდა დიდი ჯარით ქართლის მეფეს, მოეკლა იგი და დაეპყრო ქართლი. ამ ხერხით შაის სურდა დაეჯახებია ერთმანეთისთვის ორი ნათესავი მეფე და ამ ბრძოლით დაესუსტებია ქართლიც და კახეთიც.

გასჭრა ამ სატანურმა ოინმა. ორივე მეფე გაება ირანის ლომის მახეში. ისინი საჩქაროთ მოემზადენ საომრათ, შეკრიბეს დიდი ჯარი და წავიდენ ერთმანეთზე დასაცემათ. კიდევ ერთი ნაბიჯი და უნდა ამოღებულიყო ქარქაშიდან ხმალი, უნდა დაღვრილიყო ძმათა სისხლი. მაგრამ ორივე სამეფო გადაარჩინა საშინელ ხიფათს თეიმურაზის გამზრდელმა **შარმაზან ჩოლოყაშვილმა**. ეს ბრძენი ადამიანი ახლდა თეიმურაზს სპარსეთში, ამიტომ კარგათ იცნობდა შაჰ-აბაზს და მის ოინბაზობას. ის მაშინვე მიხვდა ყველაფერს, მიხვდა რომ ეს იყო შაის მოხერხება. მან შეაჩერა თეიმურაზი, წავიდა ლუარსაბთან და აჩვენა შაჰ-აბაზის ბარათი თეიმურაზთან მინაწერი. ლუარსაბის გაოცებას არ ქონდა საზღვარი; მანაც ამოიღო და აჩვენა შაის ბარათი იმავე შინაარსის. ამ რიგათ გამოაშკარავდა ყველაფერი. სიძე-ცოლისძმა სამტროთ მოსულნი ჯარით, მოყვრულათ გადაეხვიენ ერთმანეთს და განშორდენ ლხინის შემდეგ.

სცნო თუ არა ეს ამბავი შაჰ-აბაზმა, მიმართა მეორე ხერხს: მან მოიწვია სანადიროთ თეიმურაზი და ლუარსაბი, მაგრამ აქაც გადაარჩინა ისინი ამ ხიფათს იმავე შარმაზანმა, რომელმაც დაარწმუნა ორივე მეფე, რომ შაი საკეთილოთ არ იბარებდა მათ. მათაც დაიშალეს წასვლა.

ამას შემდეგ შაჰ-აბაზმა შეაგროვა დიდი ჯარი და

მოადგა საქართველოს, ვითომ და ოსმალეთზე სალაშქროთ. არც ერთი მეფე არ შეეცადა მომზადებას და მტრის დახვედრას. განჯიდან შაიმ შეუთვალა თეიმურაზს: ოსმა-

ლეთზე მივალ საომრათ, შენს ქვეყანაზე უნდა გავიარო, ამიტომ ნიშნათ ერთგულობისა შენი შვილი გამომიგზავნე მძევლათ, რომ შენგან ჩემს ჯარს არაფერი ეზიანოსო. თეიმურაზი ჩავარდა ყოყმანში. ის აშკარათ გრძნობდა, თუ რას ნიშნავდა ეს შემოთვლა. მას არ სურდა შვილის გაგზავნა, მაგრამ კახეთის დიდებულებმა დაატანეს ძალა და აიძულეს მეფე გაეგზავნა შაისთვის უმცროსი ვაჟი **ალექსანდრე**, რომელსაც მეფემ გააყოლა სახელოვანი გმირი დავით ჯანდიერი.

შაიმ იწყინა ეს და შემოუთვალა თეიმურაზს: „ძი-ძა ხომ არა ვარ, ძუძუ მწოვარა ბავშს რომ მიგზავნიო! თუ ცუდი განზრახვა არ გიდევს გულში, რათ არ გამოგზავნე შეწი უფროსი ვაჟი? გამოგზავნე უფროსი ვაჟი, თან გამოაყოლე დედაშენი, შვილს ღირსეულათ გაგიზრდი, დედაშენს მოველაპარაკები ერთ საქმეზე და გამოუშვებ, თან გამოვატან შენს უმცროს ვაჟსაო.

— გვატყვილემს წყეული შაჰ-აბაზი, გვატყვილებს უსათუოთ! — შესძახა გამწარებით თეიმურაზმა; მას უნდა ჩავვიგდოს ხელში. კახეთის დიდებულნი კი დაბეჯითებით თხოვილობდენ უფროსი ვაჟის გაგზავნას.

— უნდა შესწირო ქუეყანას ეგ შვილიც, თორემ მთელ კახეთს გააოხრებსო, გაიძახოდენ კახეთს თავადები. დიდი მუდარის შემდეგ თეიმურაზი დაყვა ნებას და გაუგზავნა ცბიერ შაის თავისი დედა **ქეთევან** და უფროსი ვაჟი **ლევან**. თან გააყოლა მათ თავის და **ელენე** და დიდებულთა მრავალი შვილი.

ახლა შაჰ-აბაზმა დაიბარა თვით თეიმურაზი. ამან

საშინლათ დააფრთხო ეს საბრალო ადამიანი. მას მეტათ უყვარდა თავი, ეშინოდა შაის და არ სურდა საფრთხეში ჩავარდნა. თავის დაცვამ ამ კახეთის უღირს მეფეს დაავიწყა დედა და შვილები, დაავიწყა თავის სამეფო. ჯარის მოკრეფისა და საომრათ მზადების ნაცვლათ ის ეძებდა გასაქცევ გზას იმერეთისკენ, რათა გადერჩინა როგორმე თავის სიცოცხლე შაის რისხვისაგან. მასზე ვერ გასჭრა კახთა ვედრებამ, რომ წასულიყო შაისთან და მით ეხსნა აოხრებისაგან მთელი ქვეყანა. თეიმურაზი დარჩა შეურყეველი. მან შეკრიბა თავად-აზნაურთაგან დიდი

ამალა, ამ ამალით და მთელი ოჯახით გადვიდა ქართლს, აქედან გადვიდა იმერეთს და თან გაიტყუა მეფე ლუარსაბი. მთელი კახეთი, ეს მდიდარი და აყვავებული ქვეყანა დასტოვა უპატრონოთ და მისცა ხელში გაცოფებულ მტერს.

შაჰ-აბაზი თავის დიდი ლაშქრით შევიდა კახეთში. კახეთში შესვლამდე მან უყელა დიდი რაზმი თეიმურაზს დასაჭერათ. მაგრამ აქ თეიმურაზის ამალამ გამოიჩინა სარაკო სიმამაცე, შეუტია მტერს, ცხარე ბრძოლის შემდეგ გააპო მტრის ძლიერი რაზმი და ორივე მეფითურთ გადვიდა იმერეთს.

სპარსეთის ჯარის შემოსვლამ შიშის ზარი დასცა მთელ კახეთს. გავარდა ხმა, რომ თეიმურაზ მეფე დიდი ამალით გაიქცა იმერეთს და უპატრონოთ დასტოვა ქვეყანაო. ამ ამბავმა კიდევ უარესი ელდა დასცა კახელებს.

— გაიხიზნეთ! თავს უშველეთ! გადამალეთ ცოლ-შვილი და ქონება!... ეს სატყვები გლოვის ზარივით მოედვა მთელს ალაზნის ხეობას. აჰა, იანვრის საშინელ ყინვა-სიცივეში დაიდრა მთებისკენ მთელი კახეთი! კაცი და ქალი, ყრმა და მიხუცი, ცხენი და ურემი ათასობით

- 16 -

იჭედებოდენ ვიწრო გზებზე და იყო ერთი ვაება და ჟრია-მული. საშინელება იყო ამ სასტიკ ზამთარში ამოდენა ხალხის მთებში შეფარება. მაგრამ რა ექნათ, როცა სხვა გზა არ იყო! უპატრონოთ დარჩენილმა ხალხმა დაკარგა დავთარი და გარბოდა ტყე-ღრეში ცხვრის დაფრთხალ ფარასავით.

ასეთ განსაცდელში ჩავარდა მშვიერი კახეთი თეიმურაზის ლაჩრობით და უგნურებით.

ქართლ-კახეთის მეფეთა იმერეთში გაქცევამ კიდევ უფრო გააზრაზა შაჰ-აბაზი. მან გადასწყვიტა ორივე სამეფოს მოსრა და აოხრება. შაის ერთი ნიშანი, ერთი შეძახება საკმაო იყო, რომ სპარსთა უამრავი ლაშქარი მშვიერი მგლებივით დასეოდა ქართლ-კამეთს და ქართველთა სისხლით მოერწყა ქვეყანა. მაგრამ უცებ დაცხრა შაჰ-აბაზი. მაწ ჩააგო ქარქაშში ამოდებული ხმალი. მისი რისხვა შეიცვალა ლმობიერებათ.

ვინ იმოქმედა მასზე? ვინ ჩაიდინა ეს სასწაული?

ქვეყნის გადამრჩენი შეიქნა ქართლის დიდებული მამულიშვილი **გიორგი სააკაძე**. სამშობლოდან განდევნილი სააკაძე თან ახლდა შაის. მან აურაცხელ ომებში ოსმალთა და ინდოელთა წინააღმდეგ საარაკოთ ასახელა ირანის დროშა, დაუმტკიცა შაის თავის ერთგულობა და თავგანწირვა. სააკაძე პირველი კაცი შეიქნა შაის სასახლეში. მისი იშვიათი გონება და სამხედრო გენიოსობა ხიბლავდა შაჰ-აბაზს. შაი კითხავდა გიორგის რჩევას. ირანის ლომი იჯერებდა მის სიტყვებს. ახლაც ამ მძიმე დროს შაჰ-აბაზმა მიმართა სააკაძეს. საქართველოს ქებულმა შვილმა ნათლათ დაუმტკიცა ულმოზელ შაის, თუ რა განსაცდელში აგდებდა იგი თავის ლაშქარს. მან აუხსნა, რომ ბრძოლის დაწყებით ფეხზე დადგებოდა მთელი ქართლ-

- 17 -

კახეთი, რომელთაც ყავდათ გამოცდილი სარდლები, ხელთ ეკავათ ციხე-სიმაგრენი და შეუვალი ადგილები. ეს ამხედრებდა მთელ იმერეთს და გურია-სამეგრელოს, რომლებიც მოეშველებოდნენ თავიანთ ძმებს და ამომძრავებდნენ აგრეთვე მთის ხალხებს. ამ ბრძოლაში ჩაერეოდნენ ოსმალებიც. ამიტომ ამ ბრძოლით დიდ საფრთხეში ვარდებოდა სპარსეთის ჯარი. სააკაძის აზრით შაიმ უნდა დაიცხროს თავის მრისხანება, ტკბილათ და ლმობიერათ უნდა მოექცეს ქართლ-კახეთის მცხოვრებთ და დიდებულთ, რომ მოიგოს მათი გული და ააღებოს ხელი რუსეთის მფარველობის ძებნაზე.

გიორგი სააკაძის ასეთი ბრძნული რჩევა ჭკუაში დაუჯდა შაჰ-აბაზს. მან დაიცხრო გული და დაადგა მშვიდობიან გზას; დაუტკბა ქართლ-კახეთის დიდებულთ, დაურიგა საჩუქრები, გასცა ბძანება თავის ლაშქარში, რომ არავის ჩაედინა ცარცვა-რბევა და ძალმომრეობა. რამდენიმე დამნაშავე ასეთ საქმეში სასტიკათ დაასჯევინა თავის თვალ წინ და მით შიშის ზარი შეიტანა თავის მხედრობაში.

კახეთიდან შაჰ-აბაზი თავის ჯარით გადვიდა ქართლში. მისი მიზანი იყო, როგორმე ჩაეგდო ხელში ორივე გაქცეული მეფე, თეიმურაზი და ლუარსაბი. ამ რიგათ ან ნებით, ან ძალით დაეშალა მათთვის რუსეთში ელჩების გზავნა და მფარველობის თხოვნა. შაჰ-აბაზმა გაუგზავნა იმერეთის მეფე გიორგის თავის ვეზირი **სარუხოჯა**,

მეტათ გაქნილი ყიზილბაში და მისწერა ბარათი, სადაც სთხოვდა დაუყონებლივ გადმოეცა მისთვის ორივე გაქცეული და მასთან შეფარებული მეფე.

გიორგი მეფემ დიდის პატივით მიიღო შაჰ-აბაზის ვეზირი, გააჩერა განგებ დიდხანს, აჩვენა ქვეყნის სიმდიდრე და ძლიერება, გაიწვია ლუარსაბ მეფის ნიშნო-

- 18 -

ბაში დადიანის ქალზე, სადაც სარუხოჯამ ნახა ისეთი სიუხვე, რომ განცვიფრებაში მოვიდა. შემდეგ გიორგიმ მისწერა შაჰ-აბაზს ბარათი სავსე იმერული ფანდებით. გიორგი სწერდა შაის, რომ ორივე მეფე მისი ნათესავია, გარდა ამისა ქართული ჩვეულება არ აძლევს ნებას გააგდოს სახლდან სტუმარი; სთხოვდა აპატიოს ორივე მეფეს მათი დანაშაული; დგება თავდებათ, რომ ამიერიდან ისინი ერთგული ყმები იქნებიან შაის, არ გაბედვენ მის ურჩობას და რუსეთთან დაკავშირებას.

შაჰ-აბაზი ვერ დააკმაყოფილა ამ ბარათმა. მან გადასწყვიტა იმერეთზე გალაშქრება და დაიძრა ჯარებით. მაგრამ გიორგი მეფე არ დახვდა ისე ლაჩრათ, როგორც ქართლ-კახეთის მეფენი. მან სწრაფათ მოიწვია ჯარები, გაამაგრა გადმოსასვლელი ადგილები და სთხოვა დახმარება აფხაზეთ-გურია-სამეგრელოს. მანვე გაგზავნა კაცები ქართლ-კახეთში და მოიწადინა მათი ამბოხება.

შაჰ-აბაზმა რა სცნო მეფე გიორგის ასეთი მზადება და სიმამაცე, ვეღარ გაბედა ომის დაწყება, მით უმეტეს, რომ ამ ბრძოლაში უსათუოთ ჩაერეოდნენ ოსმალებიც, რომელთა ხელში იყო დასავლეთი საქართველო. ამიტომ შაიმ ისევ დაიცხრო გული და მოინდომა რაიმე ხერხით ლუარსაბის ხელში ჩაგდება, რა მიზნით შეუჩინა მას ჯერ სარეხოჯა და შემდეგ მისივე გამზრდელი **შადიმან ბართაშვილი**, რომელსაც დაპირდა დიდ წყალობას. თეიმურაზ მეფეს კი შეუჩინა მკვლელი, რომელიც დაიჭირა თეიმურაზის კარის მცველთა უფროსმა **ბახუტაშვილმა**.

ბოროტი შადიმან შეუჩნდა თავის გაზრდილს ლუარსაბ მეფეს და იმდენი ესაუბრა, რომ თან და თან მოალობო იგი, ბოლოს დაიყოლია კიდეც. მხოლოდ ლუარსაბმა მოითხოვა თვით შაჰ-აბაზიდან ფიცის ბარათი, რომ მას

არა ევნებოდა რა შაისაგან. შაჰ-აბაზმა სიხარულით მისწერა ასეთი ბარათი, რომელშიაც ეფიცებოდა მამადის საფლავს, რომ მისგან ლუარსაბს არაფერი ევნებოდა, პირიქით მოეპყრობოდა მას, როგორც შვილსა და ახლო მოყვარეს.

ამ ფიცს შემდეგ ლუარსაბ გაყვა შადიმანს. შაის შეუსრულდა დიდიხნის წადილი: ერთი გაქცეული ფრინველი უკვე ჩაუვარდა ხელში. შაი მიეგება ქართლის მეფეს იმერეთის საზღვარზე, ჩაიკრა გულში, დაიწყო განგებ ტირილი, თან ესაყვედურებოდა: „ჩემო ძვირფასო ცოლის ძმავ, ჩემო შვილივით გაზრდილო ლუარსაბ, როგორ აყვეი ჩემს მოღალატე თეიმურაზს და გადიკარგე იმერეთსაო“.

აქვე სცნო ლუარსაბმა, რომ გაება შაის დაგებულ მახეში, მაგრამ გვიანლა იყო. მან დააპირა გაპარვა, მაგრამ ვერას გახდა. შაის მიჩენილი ყავდა მცველები, რომლებიც დღე და ღამ თავივით უფრთხილდებოდნენ ამ იშვიათ ტყვეს. დიდი პატივით ეპყრობოდა ლუარსაბს შაჰ-აბაზი, მუდამ თავის გვერდით იჯენდა ნადიმზე და თავაზობდა დიდ საჩუქრებს. მანვე დაადგა თავზე ძვირფასი სამეფო გვირგვინი და მიუბოძა განგებ მრავალი ქვეყანა. ტკბილი სიტყვით, ნადირობით და შექცევით ცბიერი შაი თანდათან იტყუებდა სპარსეთისკენ ქართლის მეფეს. ამავე დროს არ ისვენებდა იმერეთში მყოფი თეიმურაზი. ის გზავნიდა ელჩებს რესეთსა და ოსმალეთში, სწერდა სულთანს და რუსხელმწიფეს გრძელ ბარათებს, ევედრებოდა დახმარებას ერთსაც და მეორესაც, აბეზღებდა მათ შაჰ-აბაზს, რომელმაც დაატყვევა მისი დედა და შვილები, ახლა კიდევ გაიტაცა ქართლის მეფე; ამ რიგათ აბამდა ინტრიგის ქსელს ორს მოპირდაპირე სახელმწიფოში,

ერთსა და იმავე დროს ღმერთსაც უნთებდა სანთელს და ეშმაკსაც. ამ თავის ინტრიგებში მან ჩაითრია იმერეთის მეფე და გურია-სამეგრელოს მთავრები. ეს ინტრიგანი მეფე თავის ვიწრო ჭკუით თვითონვე ვარდებოდა თავის გაბმულ ქსელში, მხოლოდ აბრაზებდა ამ საქციელით ირა-

ნის ლომს, ამ რიგათ უმზადებდა საშინელ განსაცდელს მთელ საქართველოს.

მართლაც დიდი რამ საშინელება მოხდებოდა ჩვენს ბედშავ საქართველოში, რომ მის მხსნელათ განგებას არ მოეველინა უმაგალითო გმირი და უკვდავი მამულიშვილი **გიორგი სააკაძე!**...

3. გიორგი სააკაძე.

დიდ განსაცდელის დროს ერი იკრებს უკანასკნელ ძალას, ქმნის თავგანწირულ გმირებს და სამხედრო გენიოსებს. ერი ცდილობს გადირჩინოს თავი, მაგრამ თუ მისი მოსპობა, მისი სიკვდილი აუცილებელია, ცდილობს ძვირათ დაუსვას მტერს ეს სიკვდილი.

საშინელ სიფათში ჩავარდა ერთ დროს ძველი **საბერძნეთი**; მას უპირებდა ჩანთქას ძლიერი **სპარსეთი**, მაგრამ საბერძნეთმა წარმოშვა დიდებული სარდლები: **მილტიადი, თემისტოკლე, და ალექსანდრე მაკედონელი**. ამათ დასცეს სპარსეთის ძლიერება. ალექსანდრემ კი დაამსხვრია ერთიანათ სპარსეთის ვრცელი იმპერია და მთელ დასავლეთ აზიას მოეფინა საბერძნეთის მაღალი კულტურა.

რამდენიმე ხანს შემდეგ დაეტაკენ ერთმანეთს ორი ძლიერი რესპუბლიკა, **რომი და კართაგენი**. მათი ბრძო-

- 21 -

ლა შეიქნა სიკვდილ-სასიცოცხლო. დაპყრობის ალღოთი წაქეზებული რომი უპირებდა ჩანთქას განათლებულ კართაგენს. მაგრამ კართაგენმა წარმოშვა დიდებული სარდალი **ჰანიბალი**, რომელმაც ერთ დღეს გასწყვიტა ბრძოლაში 50.000 რომაელი და მით შიმის ზარი დასცა რომის იმპერიას. დამარცხდა ბოლოს კართაგენი, მაგრამ მოკვდა გმირულათ.

კიდევ უარეს ხიფათში ჩავარდა **საფრანგეთი** რევოლიუციის დროს. მის წინაამდეგ ამხედრდენ და მისი გასრესა მოინდომეს ევროპის სახელმწიფოებმა, რომელთა კავშირს ეკუთნოდა რუსეთიც. მაგრამ იფეთქა დიდებულ იდეებით აფრთოვანებულ ერის სამხედრო გენიამ, წარ-

მოშვა შესანიშნავი სარდლები, მათ შორის დიდი გენიოსი **ნაპოლეონი**, რომელმაც შიშის ზარი დასცა რუსეთს და მთელს ევროპას. ნაპოლეონის წინაშე თრთოდენ ევროპის მეფენი და იმპერატორები; მის წინ იწვოდა მოსკოვი; მის ძლევამოსილ დროშის წინაშე გარბოდა სახელმწიფოთა ურიცხვი მხედრობა. ეს უშიშარი გმირი თავის ჯარით მოსდებოდა ევროპას და ამხვრევდა იმპერიებს.

საშინელ ხიფათში ჩავარდა ამ საუკუნის დამდეგს **ბურების პაწაწა რესპუბლიკა**; მას უპირებდა შთანთქმის მდიდარი, ძლიერი და უზარმაზარი **ინგლისი**; მაგრამ ბურებს გაუჩდენ ღირსეული სარდლები, **დევეტი**, **ჟუბერი** და **დელარეი**, რომელთაც დაამარცხეს მტრის ჯარები და ქედი მოახრევეინეს დიდ ინგლისს პაწაწა ერის წინაშე.

კიდევ უფრო საშინელ განსაცდელში ჩავარდა მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს წვრილ სამეფო-სამთავროებათ დაგლეჯილი **პატარა საქრთველო**. მას უპირებდა ძირიანათ აღმოფხრას, გასრესას და გატიალებას რუსეთთან დაკავშირების სურვილის გამო ირანის ლომი შაჰ-

- 22 -

აბაზი. მან გადასწყვიტა **ქართველი ერის სიკვდილი** და თავის ყოველი ძალ-ღონით დაეტაკა მას. ამ განწირულ დროს ქართველმა ერმა წარმოშვა შესანიშნავი გმირები, როგორც იყვენ **დავით ჯანდიერი**, **თამაზ ვაჩნაძე**, **ზურაბ ერისთავი**, **ელია დიასამიძე**, **პაატა ხერხეულიძე**, **ზაზა ციციშვილი** და სხვანი, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო დიდებული იყო გმირთა გმირი **გიორგი სააკაძე**.

როგორც კავკასიონის მაღალ მწვერვალთა შორის აღიმართება ცამდი დიდი **იალბუზი** თეთრი ჩალმით მობურული, ისე მაღლა, ისე გოროზთა სდგას ქართველ სარდლებ შორის **გიორგი სააკაძე**. სახედრო გენიოსთა შორის მას უკავია პირველი ადგილი. **ალექსანდრე მაკედონელი**, **ნაპოლეონ ბონაპარტე** და **გიორგი სააკაძე**, — აი სამი დიადი მწვერვალი, აი სამი საოცარი სამხედრო გენიოსი მსოფლიო ისტორიაში!

მაგრამ თუ ალექსანდრე მაკედონელს ამკობდა მეფის გვირგვინი და ზურგს უმაგრებდა განათლებულ საბერძნეთის საუკეთესოსი შეიარაღებული ჯარი, თუ ნაპო-

ლეონს სულს უდგამდა საფრანგეთის ერის აფროთოვანება, ერთსულოვნება და რესპუბლიკანურ იდეებით გამსჭვალული ლეგიონები, სულ სხვა იყო სააკაძის ბედი...

გიორგი სააკაძე იყო ქართლის უბრალო აზნაური; მას მტრობდენ ქართლის თავადები. ამათ გადაამტერეს სააკაძეს ქართლ-კახეთის მეფენი, ლუარსაბი და თეიმურაზი, დაუპირეს ორჯერ ღალატით სიკვდილი, გადუწვეს მთელი ქრება და აუწიოკეს ცოლშვილი. გიორგი იძულებული გახდა ორჯერ გაცლოდა თავის საყვარელ საქართველოს და თავი შეფარებია სამშობლოს მტრებთან, სპარსეთსა და ოსმალეთში. სააკაძე იძულებული იყო სი-

- 23 -

სხლი ენთხია მტრების სასარგებლოთ, რათა მიღწეოდა თავის მიზანს. სავალალოთ, თვით ქართველები დასდევდენ მოსაკლავათ, ვით ცოფიან ნადირს, ამ ქვეყნის მხსნელს, დიდებულ გენიოსს, სამშობლოს უუპირველეს შვილს, რომლის **უზენაესი მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება, გაძლიერება და ბედნიერება.**

აი სად არის გიორგი სააკაძის ტრაგიზმი! აი სად ჩანს იმ დროის ქართველ დიდებულთა სულის დაცემა, უზნეობა და უმეცრება! საჭიროა გენიოსის კალამი, საჭიროა დიდებული შოთა, შექსპირი და ბაირონი, რომ შესაფერის ენით, სიცხოვლით და ფერადებით ასწერონ ამ ქართველი გმირის საარაკო ცხოვრება და მოქმედებანი. სწორეთ დაუჯერებელია ის, რაც სააკაძემ ჩაიდინა ამ საშინელ პირობებში თავის ერის საკეთილდღეოთ. ჩვენ მართლაც ვერ დავიჯერებდით, რომ უცხოეთის მწერლები არ აგვიწერდენ ამ გმირის საარაკო პიროვნებას და უმაგალითო საქმეებს, ვერ დავიჯერებდით, რომ თვით სპარსეთის ისტორიკოსი **ისკანდერ მუნჯი** არ ამოწმებდეს ყოველივე ამას...

და აი ამისთანა დიდებულ კაცს სამშობლოს ღალატიც კი დასწამეს ქართლ-კახეთის მეფემ და თავადებმა; ეს სამარცხვინო ცილი ისტორიაშიაც კი შეიტანეს! ამ რიგათ დაახშეს სიმართლე და ჭეშმარიტება. ჩვენს თვალში დღესაც მოღალატეთ იქნებოდა ეს უკვდავი მამულიშვილი, რომ არ დარჩენილიყო **იოსებ თბილელის „დიდი მოურავიანი“**, არილ მეფის „თეიმურაზის ცხოვრე-

ბა“ და უცხოეთის მწერალა ნაწარმოებნი სააკაძის შე-
სახებ.

რამდენათაც გიორგი სააკაძე იყო დაჯილდოებული
სულის სიდიადით, იმდენათ იგი შეემკო ბუნებას გარე

- 24 -

სიმშვენიერით. ბუმბერაზის ტანი, ქართული ლამაზი სახე,
რომელსაც ამკობდა მავი შევარდენივით ელვარე თვალები,
დარბაისელი მიმოხრა და ამაყი შეხედულობა, აი სააკაძის
გარეგნობა! მისი საუბარი იპყრობდა მსმენელს, მისი
ლომივით მჭექარე ხმა შიშის ზარს სცემდა ბრძოლის
ველზე მტრის რაზმებს. ვაი მას, ვისაც მოხვდებოდა სააკაძის
ხმალი! კაცი და ცხენი ოთხათ გაკვეთილი ვარდებოდა
ძირს. მისი სიმამაცე და ფიზიკური ძალა იყო პირდაპირ
ლევანდარული. მან არ იცოდა თუ რა იყო შიში და დაქანცვა
მის საარაკო მხნეობას, მოთმინებას, შრომის უნარს და
სულგრძელობას განცვიფრებაში მოყავდა მტერი და
მოყვარე, გარეშე და შინაური. — „რა გაჭირდის უკეთ
შევძლი“, ე. ი. საშინელ გაჭირვრების დროს უფრო
მემატებოდა ძალა და მხნეობაო, ამბობს „დიდ მოურავიანში“
გიორგი სააკაძე.

მოდა იალა და ეწყობაო ამბობს ოდილ

ეს საოცარი ადამიანი დაიბადა 1582 წელს ქართლში
სოფელ **ნოსტეს**, (თარხნიანთ დოკუმენტით კი ფელის
ციხეში). მისი მამა **შიო სააკაძე** იყო იმ დროს საკმაოთ
გავლენიანი აზნაური. დედა მისი **თამარ** ცნობილი იყო
თავის სიბრძნით და დარბაისლობით. 14-15 წლის გიორგი
საკაძემ თავი იჩინა ომებში **სვიმონ მეფის** დროს. ამ
ვაჟკაცმა მეფემ მაშინვე მიაქცია ყურადღება გიორგის
საოცარ სიმამაცეს და სამხედრო ნიჭს. მეფე არ იშორებდა
მას გვერდიდან და აძლევდა დიდ წყალობას. სვიმონ მეფის
ტყვეობასა და სიკვდილს შემდეგ გიორგი სააკაძე კიდევ
უფრო შეიყვარა და დაიახლოვა სვიმონის შვილმა მეფე
გიორგი მეათემ. მან წაიყვანა სააკაძე ერევნის ომში
შაჰ-აბაზის დასახმარებლათ ოსმალთა წინააღმდეგ. აქ
ახალგაზდა გიორგიმ იჩინა ისეთი საარაკო გმირობა, გამჭრიახობა
და მართვა-გამგეობის ნიჭი, რომ განცვიფრებაში

- 25 -

მოიყვანა თვით შაჰ-აბაზი. აღტაცებულმა გიორგი მეფემ **22 წლის სააკაძეს** მისცა ამირსპასალარობა, ე. ი. მთელი ჯარების უფროსობა. ცოტა ხანს შემდეგ მასვე მიუბოძა **თავადობა და თფილისის, ცხინვალის და ოსეთის დიდი მოურაობა.**

სააკაძის ასე უეცარმა დაწინაურებამ ფრიად გააოცა და შურით აავსო ქართლის დიდებულნი. მათ ჩაიგდეს გულში სააკაძის მტრობა და ზიანი. სააკაძის ამაღლებაში მზერდენ თავიანთ დამცირებას. მიუხედავად ამისა ქართლის გავლენიანი თავადები ნატრობდენ სააკაძის დამოყვრებას და სიძეობას. მართლაც არაგვის ერისთავმა დიდმა ნუგზარმა მისცა გიორგის ცოლათ თავის ასული. ამრიგათ სააკაძე შეიქნა ქართლის უპირველეს თავადის სიძეთ. ამან კიდევ უფრო შემატა მტრები დიდ მოურავს. ამ ხანებში მიიცვალა შაჰ-აბაზის მიერ მოწამლული გიორგი მეფე. ქართლის ტახტზე ავიდა მისი ახალგაზდა ვაჟი **ლუარსაბ მეორე**, თვითნება და გამოუცდელი. გონებით უსუსურ მეფის ტახტზედ ასვლით ისარგებლეს ზოგიერთმა დიდებულებმა, იწყეს თავისებურათ თარეში და ხალხის აწიოკება. არეულობა მოხდა მთის ხალხებშიაც. განსაკუთრებით იწყეს თარეში ოსებმა. მეფე ჩავარდა განსაცდელში. ამ გაჭივრების დროს მეფის მხსნელი შეიქნა ისევ გიორგი სააკაძე. მან დააწყნარა მთის ხალხები, დაიპყრო ოსეთი და ალაგმა ურჩი თავადები. აგრეთვე დაამშვიდა აშფოთებული გლეხობა, რომელთაც მისცა საბაზრო ადგილები და ბევრიც, სხვა ქვეყნებში გაქცეული, დააბრუნა უკან. აგრეთვე გამართა სავაჭრო ადგილები, სადაც დაასახლა ხელოსნები და აღებ-მიცემის ხალხი. ამრიგათ დაამშვიდა ქართლი და ხელი შეუწყო მის ნივთიერ აღორძინებას.

- 26 -

ამ დროს დაემოყვრა **ლუარსაბ მეფეს** შაჰ-აბაზი და შეირთო ცოლათ მისი და **ელენე**, რომელსაც ისპაანს გააყოლეს გიორგი სააკაძე. იქ სააკაძის სიბრძნემ, რიხმა და დარბაისლობამ კიდევ უფრო მოხიბლა ირანის ლომი. მან დიდი საჩუქრით გაისტუმრა გიორგი ქართლში. შაჰ-აბაზის მიერ ასეთმა პატივით მიღებამ კიდევ უფრო აამაღლა სააკაძე ყველას თვალში. ის შეიქნა ახლა უუპირ-

ველესი კაცი, რომელსაც დიდი მოკრძალებით ექცეოდნენ თვით გავლენიანი თავადები, თუმცა გულში კვებავდნენ მისადმი შურსა და მძულვარებას. მათ ვერ მოენელებიათ ის აზრი, თუ როგორ შეიქნა პირველ კაცათ უბრალო აზნაური. ეს დიდი ფეოდალები გახდნენ სააკაძის დაუძინარო მტრები, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მან დაამარცხა ისინი, ალაგმა მათი თარეში და მოიყვანა მეფის მორჩილებაში.

ამიერიდან მთელ სამეფო საქმეებს განაგებდა სააკაძე. ის იყო ქართლის ფაქტიური მეფე: ცვლიდა უნიჭო მოხელეებს, მათ ნაცვლათ აყენებდა მშრომელთ და ნიჭიერთ. დიდი მოურავი არ აქცევდა ყურადღებას გვარიშვილობას; ის აფასებდა მხოლოდ ადამიანის პირად ღირსებას, ის აყენებდა მოხელეებათ ქვეყნის ერთგულთ, მცოდნეს, ნიჭიერსა და პატიოსან მუშაკთ. ამ რიგათ ბევრი უვარგისი დიდებული გადააყენა სამსახურიდან და მათი ადგილები მისცა უბრალო გვარიშვილთ, შემკულთ ნიჭით, ცოდნით და პატიოსნებით. ამ საქციელით სააკაძემ კიდევ უფრო გააზრუნა ფეოდალები და შემატა ახალი რაზმები თავის მტერთა ლეგიონს.

ამავე ხანებში ატყდა დიდი ომი სპარსთა და ოსმალთ შორის. ბრძოლის საგანი იყო მდიდარი ქალაქი **ბაღდადი**, მდ. ტიგრზე აშენებული. ეს ორი გოლიათი ყოვე-

- 27 -

ლი თავის ძალ-ღონით დაეტაკენ ერთმანეთს. შეიქნა ფიცხელი და სისხლის მღვრელი ომი. ამ დროს კახეთში არეულობა იყო კოსტანტინე ბატონიშვილის მეოხებით. ქართლიც ამავე ყოფაში ჩავარდა ლუარსაბის ტახტზე ასვლით. ივერიის ასეთმა მდგომარეობამ მიიქცია სულთნის ყურადღება. მან მოიწადინა ქართლ-კახეთის დაპყრობა, მით უმეტეს, რომ უკვე გაიმარჯვა სპარსელებზე და ჩაიგდო ხელში ბაღდადი. ამ მიზნით მან გამოაგზავნა **60,000 მეომარი თათარხანის** მეთურობით. ეს დიდი ჯარი 1609 წელს ივნისში მოულოდნელათ შემოიჭრა ქართლში და მოადგა სოფელ **ცხირეთს**, სადაც საზაფხულოთ იყო მეფე ლუარსაბი თავის მცირე ამალით.

4. ცხირეთის ომი.

ოსმალთა დიდი ჯარი მესხეთიდან მოადგა ქართლს. სცნო თუ არა ეს ამბავი ლუარსაბმა, მაშინვე გაგზავნა გზების შესაკრავათ საკმაო რაზმით ორი გამოცდილი სარდალი **ზაქარია** და **იარალი** (გვარები არ ჩანს). მაგრამ სანამ ისინი შეკრავდნენ გზებს, ოსმალოს ჯარი უკვე შემოვიდა ქართლში თრიალეთით, გასწია ცხირეთისკენ მეფის ხელში ჩასაგდებათ და მთელი ქართლის დასაპყრობათ. გაგზავნილი ქართველი რაზმი დაედევნა მტერს უკან.

ოსმალოს ჯარმა გადმოიარა საბარათიანო, მანგლისი, კველთა და მოადგა ცხირეთს, სადაც ეგულებოდა მეფე. ოსმალები გზაში აწიოკებდნენ ხალხს და ართმევდნენ სარჩოს. სოფელ კველთასთან უღრან ადგილებში მათ დაეხრებნათ გზა და არ იცოდნენ რა მხრით წასულიყვენ ცხირეთზე. კველთაში შეიპყრეს ღვდელი **თევდორე**, შეუ-

-28 -

კრეს ხელები, გაიგდეს წინ, უბძანეს ეჩვენებია გზა და ჩაეყვანა ისინი ცხირეთში. თევდორე ღვდელი მიუხვთა მტერს განზრახვას; ის აშკარათ მზერდა, რომ ოსმალნი უპირებდნენ დატყვევებას ლუარსაბ მეფეს. მეფის დატყვევებით ქართლი ვარდებოდა დიდ განსაცდელში, რადგან ოცი წლის მეფე იყო უცოლო და არ ყავდა მემკვიდრე. ყოველივე ეს უცებ მოისაზრა ამ კეთილშობილმა ადამიანმა და გადასწყვიტა შეეწირა თავი ქვეყნისთვის. მასში იფეთქა მამულიშვილურმა გრძნობამ. ამ ღირსეულმა ქართველმა ამაყათ გადახედა მტრის ლაშქარს და გაუძღვა წინ.

თევდორე მღვდელმა დააშორა ოსმალნი ცხირეთს და ატარა ტყიან ადგილებსა და შეღმართებზე. ამ რიგათ კიდევ უარესათ დაუბნია მათ გზა-კვალი. რამდენიმე ხანს შემდეგ ამ ტყე-ღრეში ტანტალით ოსმალები მიუხვთენ დალატს თავიანთ წინამძღოლს, სტაცეს ხელი ამ ღირსეულ მამულიშვილს, სცემეს და მოკლეს საშინელი წამებით. მოკვეთეს თავი და მისი გვამი გადისროლეს ხევში მგელთა და ყვავ-ყორანთა სახრავათ.

მოკვდა წამებით გმირი თევდორე, მაგრამიმ სიკვდილით მან ააცდინა მეფეს ტყვეობა იხსნა სიკვდილისაგან თავის მოძმენი და აოხრებისაგან მთელი ქართლი. თევ-

დორე ღვდლის ნათელი სახე ამკობს, სხვა გმირთა შორის, ჩვენს ტრაგიზმით სავსე ისტორიას...

როგორც იყო ოსმალებმა, დიდის წვალების შემდეგ, გაიმკვლიეს გზა და მიადგენ ცხირეთს. მეორე დილას თემის ხევიდან მტკვრამდი, თითქმის ოცი ვერსის მანძილზე მთელ ვაკეს მოედო მტრის ჯარი, რომელიც თან და თან მატულობდა. დილის რიჟრაჟზე დარაჯებმა აცნობეს მეფეს ეს საშინელი ამბავი. ლუარსაბი და მისი ამალა გამოცვინდენ გარეთ. მათ თვალ წიწ გადიშალა საზარელი

- 29 -

სურათი: ვრცელი ვაკე სავსე იყო ოსმალთა ჯარით.

ამ უცნაურმა სანახაობამ შიშის ზარი დასცა ლუარსაბსა და მის ამალას. მეფეს არ ყავდა ჯარი, რადგან ზოგი ციხეებში იყო ჩაყენებული და ზოგიც გაატანა გზების შესაკრავათ იარაღსა და ზაქარიას. სხვა ჯარი არ ეგულებოდა. რა უნდა ექნა ლუარსაბს ამ გაჭირვების დროს! რით უნდა ეხსნა თავი! რა ძალით უნდა გამკლავებოდა ამ მოულოდნელათ შემოსეულ მტერს! ეს იყო საბედისწერო ჟამი მის ცხოვრებაში. ჭაბუკი მეფე შეიქნა სასოწარკვეთილი. კიდევ უარესათ დაფრთხა მისი ამალა, რომელშიაც ერია სააკაძის დაუძინარი მტერი შადიმან ბარათაშვილი. მხოლოდ მათ შორის იყო ერთი ,რომლის გულს არ უგრძვნია შიში ამოდენა მტრის დანახვაზე. მისმა ძლიერმა გონებამ უცებ მოისაზრა ყველაფერი. მან დაამშვიდა მეფე და და აღუთქვა მტრის დამარცხება.

ეს უშიშარი კაცი იყო გიორგი სააკაძე. იგი შეუდგა საქმეს: სწრაფათ მისწერა ბარათები ქართლის დიდებულთ: **ციციშვილებს, ამირაჯიბთ, მუხრან ბატონებს, ამილახვრებს, ქსნისა დი არაგვის ერისთავთ,** აგრეთვე თავის მეგობარს თფილისში სპარსთა ციხისთავს **დალიმამადხანს,** აუწყა ყველას ოსმალოს ჯარის შემოსევა და მოიწვია დასასმარებლათ თავის ჯარებით. მან ყველგან აფრინა შიკრიკები. დაგზავნა თუ არა ბარათები, სააკაძემ გააქროლა ცხენი **კავთისხევში;** აქ სოფლებში შეკრიბა 500-დი კაცი და ამ მცირე რაზმით მიუხტა ოსმალთ. გიორგი ჯერ დაეცა მტრის მოწინავე ჯარს, რომელიც მიდიოდა ცხირეთში მეფის შესაპყრობათ, დაამარცხა იგი და შერეკა ცხვრის ფარასავით უმთავრეს ურდოში, თან

ისეთი შიშის ზარი შეიტანა მტრის ჯარში, რომ ოსმა-
ლებმა იწყეს მაგრება.

- 30 -

ამ დროს მოეშველა სააკაძეს სახელოვანი გმირი
ზაზა ციციშვილი; მოვიდენ თავისი რაზმით ზაქარია და
იარალი. ამ რიგათ შესდგა სელ **ათასამდი კაცი**. ამ რა-
ზმით სააკაძე უნდა შეზმოდა ოსმალთა **60000 მხედარს**.
ეს იყო რადაც ზღაპრული, დაუჯერებელი აზმავი. ამ
სურათმა გაამხნევა ლუარსაზი, იგი მივიდა სააკაძესთან
და დადგა მის გვერდით საომრათ.

საკაძემ გადახედა მიდამოს, დაათვალიერა მტრის ბა-
ნაკი, მოისაზრა ყველაფერი, თუ როგორ და რა მხრით
უნდა დასცემოდა მტერს და შეუდგა საქმეს. მან გაყო
რამდენიმე ნაწილათ თავის მცირე რაზმი და შევარდენი-
ვით დაეცა ოსმალთ იმ მხრიდან, საიდანაც ისინი არ მო-
ელოდენ. საშინელება იყო ეს თავზე დაცემა. როგორც
მშეირი ლომი, ისე ეკეეთენ მამაცი ქართველნი მტრის
ლაშქარს. სააკაძის საარაკო გმირობამ და მედგარმა ბრძო-
ლამ ყველას ჩაუდგა გმირული სული. დიდი მოურავის
შეტევა და მჭექარე ხმა შიშის ზარს სცემდა მტრის რა-
ზმებს, რომლებიც გარბოდენ მის წინაშე. გიორგი ლო-
მით ბდღვინავდა მტრის ლაშქარში, იქნევდა ხმალს და
აყენებდა სისხლის ღვართქაფს. მის გვერდით იბრძოდენ
ლუარსაზ მეფე და ზაზა ციციშვილი. მშვენივრათ იქნევ-
დენ ხმალს და მიაპობდენ მტერს. შეიქნა მედგარი ბრძო-
ლა. **ათასი ქართველი უმკლავდებოდა 60000 ოსმალთ**.
ეს იყო დაუჯერებელი უმაგალითო ომი. შედრკენ ოს-
მალნი, მათ დააკარგეს მხნეობა. ქართველთ კი ემატებოდათ
ძალა და სიმამაცე. მათთან მოდიოდენ თანდათან და მა-
შინვე ეტეოდენ მტერს ქართლის დიდებულნი თავის
რაზმებით. მაგრამ არც მტერი იყო ლაჩარი. მას ყავ-
და შესანიშნავი სარდლები. მათ შორის ყველაზე უფ-
რო ირჩეოდა თავის სიმამაცით ერთი ფაშა. იგი ყველა-

- 31 -

ზე უკეთ აწყობდა თავის რაზმებს და იბრძოდა ყველა-
ზე მედგრათ. ეს შეამჩნია სააკაძემ და უბძანა ზაზა ცი-

ციშვილს მიტეოდა მას. ზაზა გაექანა ფაშისკენ თავის რაზმით; ფაშა მიეგება მას. შეიქნა ომი ამ ორ შესანიშნავ ვაჟკაცს შორის. დიდხანს იბრძოდნენ თავგანწირვით ფაშა და ზაზა. ორივეს სურდათ ჩაეგდოთ ხელში ერთმანეთის თავი. ბოლოს ზაზამ აუკრა ხმალი, გაკრა გვერდზე თავის ლეკური და ფაშის თავი გაგორდ აძირს. ზაზამ აიტაცა ზეით ფაშის თავი, დაიჭირა წვერით პირში, გააპო მახვილით მტრის ჯარი და მიართვა მეფეს.

ამ დროს სააკაძე ამხნევებდა თავის ჯარს, გადადიოდი ერთი რაზმიდან მეორეში, ახდენდა განკარგულებას, გზავნიდა მაშველ რაზმებს იქ, სადაც უფრო უჭირდათ ქართველებს, აპობდა ოსმალთა ჯარებს და ეტეოდა იქ, სადაც უფრო მაგრათ იდგა მტერი. ერთი სიტყვით სააკაძე თავის გოლიათის ტანით და ლომივით მჭექარე ხმით წაგავდა თვით ბრძოლის ღმერთს მტრის რისხვით მოვლინებულს.

ახლა კი ვედარ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს ოსმალს ჯარმა. ეს ამოდენა ლაშქარი დაიძრა **გორისკენ**. მას სურდა ჩაეგდო ხელში გორის მაგარი ციხე, რომ აქედან ეთარეშა მთელ ქართლში. ბრძოლით დაქანცულმა ქართველებმა ვედარ შეძლეს მაშინვე თან დაედევნება. სააკაძემ აფრინა კიდევ კაცები ჯარების დასამახებლათ. დიდი მოურავი მალე დაედევნა მტერს და თან შეუკრა თფილისისკენ წასასვლელი გზები.

გორისკენ მიმავალ ოსმალს ლაშქარს შეეფეთა წინ გორელი სომხის ტერტერა **ტერსააკა**. ამ გონიერმა ხუცესმა მაშინვე მოისაზრა, რა ხიფათში ვარდებოდა მთელი ქართლი, თუ ხიდზე გავიდოდა მტერი და გამაგრდე-

- 32 -

ბოდა გორის ციხეში. განსაკურთებით დიდ საფრთხეში ჩავარდებოდნენ გორელი სომხები. ამ მიზეზით ტერსააკამ გააქროლა ცხენი და აცნობა სოფლელთ საქმის ვითარება, შეკრიბა ხალხი და თითქმის მტრის თვალწინ აყარა გორის ხიდის ფიცრები, ჩაუჭრა თავზე და ხარიხები. ამ რიგათ მოესპო ოსმალთ ტკვარზე გასვლის სახსარი.

ამ მოულოდნელმა ამბავმა თავზარი დასცა მტრის ჯარს. რა უნდა ექნათ? ახალი ხიდის გამართვა შეუძლებელი იყო, რადგან გორიდან გამოსული ჯარი არ მის-

ცემდა ამის ნებას. უკანიდან კი თავის მამაცი ჯარით აწვებოდა სააკაძე. ამიტომ უკან დახევაც ვერ გაეზღინათ. იმათ უკვე იგემეს სააკაძის ძლიერება. მაშინ ოსმალებმა არჩიეს ტკვრის პირისპირ შეეყოლა იმ იმედით, რომ ან ნახავდენ ხიდს, ან კარგ ფონს. ისინი შეყვენ ცარცვით საციციანოს სოფლებს, დაიკავეს ბრბონას ვიწროები, ბორჯომის ხეობის სათავეში (ტაშის კართან), გამართეს ფიცრული ხიდი სახლების ნანგრევებიდან და გავიდენ გაღმა. აქედან ისინი აპირებდენ ახალციხეში გაქცევას, თუ დამარცხდებოდე, თუ არა და აქედან ღია იყო გზა შუაგულ ქართლისკენ.

ასე ფიქრობდენ ოსმალნი, მაგრამ მათი ფიქრი და განზრახვა ჩაუშხამა სააკაძემ. დიდმა მოურავმა სწორეთ განგებ მიიყვანა მტერი ისეთ ალაგას, სადაც სივიწროვის გამო არ შეეძლოთ გაშლა. აქ ამ ვიწროებში ადვილი იყო ოსმალთა სრული დამარცხება. ამ დროს სააკაძეს შეუგროვდა უკვე **ექვსი ათასი კაცი**. ამ მცირე ჯარით ის აპირებდა ხელმეორეთ შებმას და მტრის სრულიათ განადგურებას. მან შეუკრა გასაქცევი გზები, თვითონ ზემოდან დაუარა თავი და ორი მხრით დაეცა მტერს.

ოსმალნი გაებენ მახეში. იმათ იწყეს თხრილების

- 33 -

და სანგრების კეთება. მიუხედავად ამისა, მტერი იმდენათ ძლიერი იყო, რომ საუკეთესო და ფრიად გამოცდილი სარდლები, **ნუგზარ არაგვის ერისთავი, შალვა ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი და დელიმამადხანი** არ ეთანხმებოდენ სააკაძეს და ვერ ბედავდენ ექვსი ათასი კაცით მტერთან შებმას. მაგრამ ბოლოს დიდმა მოურავმა გაიტანა თავისი. მან დაუხატა მეფეს და სარდლებს თავის გეგმა, აუხსნა მეომართა და საომარ ადგილთა ვითარება და დაარწმუნა ყველა ქართველი ჯარის სრულ გამარჯვებაში.

მთავარ სარდლობა იკისრა თვით სააკაძემ. მეორე დილით ადრე დიდი მოურავი შეუდგა საქმეს. დილის რიჟრაჟზე აშალა ჯარი და მიიყვანა ჩუმათ ოსმალთა თხრილებსა და სანგრებზე. სააკაძემ უბძანა მეთოფურებს სროლა. სიომ თოფის კვამლი მიიტანა ზედ თხრილებზე და გახვია შიგ საფრებში ჩამსხდარი ოსმალნი. ამ კვამლს სააკაძემ მიაყოლა თავის ჯარი, გადვიდა თხრილებზე მახვი-

ლით ხელში და მშვიერი ლომივით დაერია მტერს. ასეთ უეცარ თავდასხმას არ ელოდენ ოსმალნი. ისინი შეიპყრო შიშმა. ამავე დროს ეძგერენ მტერს სხვა ქართველი სარდლებიც თავის რაზმებით და დასცეს ყიჟინა. შეიქნა ხელჩართული ომი, ომი მედგარი და ულმობელი. მზის სხივებზე ლაპლაპებდა ქართველის სისხლიანი ხმალი და სოცოცხლეს უსპობდა შემოსეულ მტერს. სააკაძე თავისებურათ აპობდა მტრის რაზმებს და ახდენდა მათში არეულობას. მის მკვეთარე მახვილს შექონდა ოსმალებში შიში და სიკვდილი. დიდი მოურავის დანახვაზე ისინი გარბოდენ ცხვრის ფარასავით.

შიშის ზარმა აიტანა ოსმალოს ლაშქარი. მათ ვეღარ გაუძლეს ქართველთა სიმამაცეს და იბრუნეს პირი გასაქცევათ. გარბოდენ ფაშები, გარბოდა მტრის მთელი ჯა-

- 34 -

რი. კაცი, ცხენი, ჯორი, აქლემი ირეოდენ ერთმანეთში. მათ დასტოვეს უპატრონოთ მთელი ბანაკი, მთელი ქონება. გარბოდა ზარდაცემული მტერი, მაგრამ ყოველი გასაქცევი გზა და ბილიკი წინდაწინ იყო შეკრული სააკაძის მიერ. აქ მოხდა საშინელი მარცხი; ზეცის რისხვა დაატყდა ოსმალთ. ისინი გაიჟლიტენ თითქმის ერთიანათ. ტყეში შეფარებულ მტერს იჭერდენ მწყელები და ქალები. სამი დღის განმავლობაში ჟლიტეს და ატყვევეს ტყეში დამალული ოსმალნი. გადარჩა მხოლოდ **თორმეტი კაცი**. ოსმალთა ფაშები ზოგი დაიხოცა, ზოგიც ჩაუვარდა ტყვეთ სააკაძეს. მთელი მათი ბანაკი და ქონება დარჩათ ქართველებს.

ამ უმაგალითო დამარცხებამ საშინლათ გააბრაზა ოსმალთა სულთანნი. ის შეუდგა შურისძიებას, მაგრამ ჯერ ხანათ არ ქონდა იმდენი ძალა, რომ შემოსეოდა საქართველოს. სააკაძის გენიამ მაშინვე გასჭვრიტა ყოველივე. ის ეძებდა ამ საქმეში მძლავრ მოკავშირეს. ასეთია იყო შაჰ-აბაზი, რომელსაც დიდი ომები ქონდა ოსმალებთან. ამიტომ სააკაძემ აახლა ელჩები ირანის ლომს, გაუგზავნა დახოცილი ფაშების თავები და მიულოცა გამარჯვება, თითქო ეს გამარჯვება ყოფილიყოს შაის ხმლისა, ვინაიდან იგი ეპატრონებოდა ქართლ-კახეთს.

შაჰ-აბაზს მეტათ იამა ოსმალოს ჯარის ასეთი და-

მარცხება და ქართველთა ერგულობა. მაგრამ იმავე დროს მის შორს გამჭვრეტე გონებას წარმოუდგა სულ სსვა სურათი: ის მზერდა ქართლში დიდებულ მეთაურს, საარაკო სარდალს, რომლის გენიით ძლიერდებოდა ივერია და ხდებოდა საშიშარი. მან მოინდომა სააკაძის ხელში ჩაგდება, ისე როგორც ერთ დროს ჩაიგდო ხელში თეიმურაზის წყალობით კახეთის საუკეთესო სარდალი ადამ

- 35 -

აბელიშვილი. დიდხანს არ დასჭირდა ლოდინი სპარსეთის შაის. ქართველებმა თვით გადისროლეს და ჩაუგდეს ხელში მოსისხარ მტერს ქვეყნის დიდება გიორგი სააკაძე...

5. დიდი მოურავის ნადიმი.

დილიდანვე შეიქნა არაჩვეულებრივი მზადება და მოძრაობა სოფელ **ნოსტეს** გიორგი სააკაძის ოჯახში. მშვენიერ ბაღში კაკლებ ქვეშ მწვანეზე გაეშალათ რამდენიმე წყებათ ვრცელი სუფრები, რომელთა ორივე მხრივ დაეფინათ სპარსული ნოხები და ზედ დაეწყოთ ხავერდის მუთაქები. სუფრის შუაში ყვავილებით შემკულ მარმარის აუზიდან მოსჩქეფდა წითელი ღვინის შადრევანი. დიდი მოურავი იყო მეტათ მხიარული. ის აძლევდა განკარგულებას თავის კაცებს, ის უმართავდა იშვიათ სტუმრებს დიდებულ ნადიმს. იქნებოდა თითქმის შუადღე. მაისის მხიარული მზე დანათოდა გაშლილ სუფრას და მისი ცქრიალა სხივები ეთამაშებოდა ღვინის შადრევნის წითელ შხეფებს.

ამ დროს მოისმა მშვენიერი სამხედრო სიმღერა. გმირული ჰანგები გუგუნით ეფინებოდა ამწვანებულ გორაკებს და ზრიალებდა ჰაერში. საამო ხმები ახლოვდებოდა თანდათან. აჰა გაიღო ჭიშკარი და სასახლის უზარმაზარ ეზოში შემოაქროლა მოხდენით თეთრი მერანი ერთმა ჭაბუკმა. მის ლამაზ სახეს ეალერსოდა ახლათ აშლილი წვერ-ულვაში. მის კობტა ტანადობას ამკობდა მდიდრული სამოსელი. ეს იყო **ლუარსაზ მეფე.**

მხიარული მასპინძელი მიეგება ამ იშვიათ სტუმარს

და ორთავე გადაეხვიენ ერთმანეთს მეგობრულათ. მეფე

- 36 -

ლუარსაბს თან ახლდა ბრწყინვალე ამაღა. ამათაც დიდი თავაზით მიეგება სააკაძე და შეუძღვა სასახლეში თავის ძვირფას სტუმრებს. თანდათან მოდიოდენ სტუმრები. ვრცელი ეზო აივსო მათი ცხენებით. დიდი მოურავი უმართავდა ნადიმს მთელ ქართლს. აქ იყვენ მოწვეულნი თავის ცოლშვილით მთელი ქართლის დედაბუნნი. აქ იყო ცხირეთის ომის გმირი ახოვანი ზაზა ციციშვილი, აქ იყო ძველი ომების გმირი მოხუცი ნუგზარ ერისთავი თავის მამაცი შვილებით. აქ იყვენ საუკეთესო მამულიშვილნი. უხვს მასპინძელს მოეწვია აგრეთვე მდაბიო ხალხიც.

საუცხოვო სურათს წარმოადგენდა ამ ვარდებით და ხეხილით შემკულ ბაღში ეს ფერად ხავერდის ქულაჯებით დართული ქართველი ვაჟკაცები. მაგრამ კიდევ უფრო წარმტაცი და მომხიბლავი იყვენ ქართველი ქალები, რომელთა საოცარი სილამაზე და მდიდრული მორთულობა გაგონებდათ თამარ მეფის დიდებულ დროს. ამ ქალებს მასპინძლობდენ სააკაძის დედა და მეუღლე.

დასხდენ სუფრაზე. გაიყარა ქართული ნადიმი, ზმნა, ლხინი და სიმღერები. მუტრიბნი უკრავდენ საკრავთ და გალობდენ ტკბილის ხმით ქართულ ჰანგებს. იქ მოშორებით აკვნესებდენ თარს და ისმოდა სპარსული ბაიათი. იქვე დუდუკის ხმები ატკბობდა ქეიფს. გამხიარულდენ სტუმრები, მასპინძლის აღტაცებას არ ქონდა საზღვარი. ყველაზე უფრო მხიარულობდა მეფე ლურსაბი. ოქროს თასები გადადიოდა ხელიდან ხელში, ისმოდა სმურები, გუგუნებდა ქართული მრავალჟამიერ.

ამ დროს აჟღერდა სინაზით ჩანგის სიმები და ჰაერში გაიკრიალა ციურმა ხმებმა. უსაზღვრო სიტკბო და სინარნარე კრთოდა ამ საოცნებო ხმებში. უკრავდა და გა-

- 37 -

ლობდა მშვენიერი ცირა. უცებ შეწყდა სტუმრების საერთო მუსაიფი. ყველა გადიქვა სმენათ და მზერათ. ქალწულის გრძნობით სავსე ციური ხმები წვდებოდა გულში

და ბადებდა რაღაც წარმოუთქმელ სიტყვოს და ნეტარებას. მეფემ მიაპყრა თვალი მომღერალ ქალს. მის წინ დაიხატა ზენაარი მშვენიერება. ჯერ არ ენახა ლუარსაბს ასეთი სიტურფე, სინაზე და უმანკოება. უცნაურათ ატოკდა ჭაბუკი მეფის გული. მან იგრძნო ჯერ უგემებელი ტრფიალება.

აჰა შეწყდა ზეცის ჰანგები! მაგრამ კიდევ დიდხანს იყო ჩუმათ სულგანაბული ხალხი ამ საოცნებო ხმებით გარინდული. ბოლოს გაისმა ყოველ მხრიდან აგზნებული ვაშა და მოწონება. ნეტა ვინ იყო ეს ტურფა არსება?! ვინ მოხიბლა სტუმრების გული?! ეს იყო სააკაძის 17 წლის და მაკრინე, რომლის საოცნებო სიმშვენიერე ცნობილი იყო მთელს ივერიასა და სპარსეთში. მის სიტურფეს ამკობდენ აღმოსავლეთის მგოსნები. მის მშვენებას დამღერდენ მუტრიბნი და მომღერალნი.

მეფემ მოისურვა მშვენიერ მაკრინეს ახლოს ხლება და მისი ხელით ღვინის მირთმევა. სააკაძის ბძანებით ქალი ეახლა მეფეს, დაიჩოქა მის წინაშე მორცხვათ ცალმუხლზე და მიართვა ოქროს სავსე ფიალა. ლუარსაბმა წყნარათ გამოართვა თასი და დალია ქალის სადღენძელო, თან შეტრფოდა ამ ზენაარ მშვენიერებას. მაკრინეს დაეხარა ძირს თავი; მის ტურფა სახეზე გაშლოდა ვარდებით მორცხობის სიწითლე. ქალმაც მოკრა თვალი ჭაბუკ მეფეს. ატოკდა ქალწულის ნორჩი გული, მან იგრძნო ჯერ უგემებელი შარბათი და სიტკობება. ამ ორ არსებათა გულებს შორს უნებლიეთ გაიბა დიადი გრძნობის უხილავი ძეწკვი...

- 38 -

გათავდა ნადიმი. გაიმართა ქართული ჭიდაობა ზურნით. ზორბა ფალავნები დაეტაკენ ერთმანეთს. ყველანი გაეშურენ ჭიდაობის სანახავათ. თავადები აქეზებდენ თავიანთ ფალავნებს. მათი სისწრაფე და ოსტატური ფანდები ხიბლავდა ქალსა და კაცს. ისმოდა გამხნეების და მოწონების ხმა. ყველა, დიდი და პატარა, გლეხი და თავადი ერთრიგათ შეეპყრო ამ სანახაობას. მხოლოდ ერთი ჭაბუკი არ იღებდა მათში მონაწილობას. ის განშორებოდა ჩუმათ ამ წრეს, წასულიყო ბალის ბოლოში პატარა მდინარის პირათ და იქ ხის ქვეშ ქორფა მდელოზე

მწოლარე მისცემოდა ღრმა ფიქრსა და კაეშანს. მისი მგზებარე ოცნება ელოლაებოდა მშვენიერ ქალწულს. მის წინ თითქო გამქრალიყო ყველაფერი: ეს ტურფა ბუნება, მდინარის ჩქრიალი და თვით ბადრი მთვარე თავის ნაზოვან სხივებით. მას არ ესმოდა ამ დროს არც ბუჩქში მჯდომარე ბულბულის ნაზი სტვენ.' ის შეეპყრო მხოლოდ ერთ ფიქრს, ერთ ოცნებას. მის მღელვარე გულს გაქონდა ბაგაბუგი. რა იყო ეს: უბრალო გატაცება, თუ სიყვარული? ჭაბუკს ვერ გამოერკვია. მის წინ იდგა თითქო ის თილისმა ქალწული; მის ყურებს აკრთობდა ქალის ციური ხმები...

ამ დღიდან მეფემ მოუხშირა სააკაძესთან სიარული. ხშირათ იპატიჟებდა თვითონ დიდ მოურავს თავის ოჯახობით და უმართავდა საგანგებო ნადიმს. მეფის ასეთი დაახლოვება შურით ავსებდა სააკაძის მტრებს. ლუარსაბი ებრძოდა თავის გულს, მაგრამ ვერას ხდებოდა. მას უფრო და უფრო იპყრობდა მძლეოთა-მძლე სიყვარული. ამიერიდან მშვენიერი მაკრინე გადიქცა მის სალოცავ კერპათ, მის ღვთაებათ. მეფემ უარი სთქვა დადიანის ქალზე, რომელიც ეძლეოდა. ამ საქციელით მეტათ

ააშფოთა დიდებულნი და თავის დედა **თამარ**. მაშინ ლუარსაბი გაუტყდა მათ თავის გულს საიდუმლოს. მან გადაჭრით უთხრა, რომ უყვარს მაკრინე და უმისოთ სიცოცხლე არ შეუძლია. ამ ამბავმა თავზარი დასცა ყველას. ბევრი უშალეს მეფეს, მოეშორებია თავიდან ეს უცნაური ფიქრი, რომ უბრალო ზნაურის ქალი არ არის მისი საკადრისი, რომ ამით იმცირებს თავს და ამცირებს მთელ სამეფოს. ყოველივე იყო ამაო. მეფის არსება მეტათ შეეპყრო ზენაარ გრძნობას. მაშინ ზოგიერთებმა ურჩიეს მეფეს აეყვანა ხასათ სააკაძის და. მეფემ უარი განაცხადა. მას არ სურდა არც სააკაძის, არე მისი დის დამცირება. მასთან ამგვარ წინადადებას უზომო შეურაცყოფათ მიიღებდა დიდი მოურავი და ამის გამო საშინელი უბედურება ატყდებოდა მთელს ქართლში. ლუარსაბმა გადაწყვიტა მაკრინეს ცოლათ შერთვა და ამის გამო გაუგზავნა სააკაძეს მოციქულნი.

ამ ამბავმა მეტათ შეაწუხა გოირგი სააკაძე. ის არ

მოელოდა ამას. იმასა და მეფეს შორის დიდი მანძილი იყო შთამომავლობით, რასაც უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ იმ დროს საქართველოში. მისმა შორს მჭვრეტმა გონებამ სწრაფათ მოისაზრა ყველაფერი. ის აშკარათ მზერდა, თუ რა განხეთქილებას დაბადებდა მთელს ქართლში ასეთი შეუსაბამო დამოყვრება, რა რიგათ ისარგებლებდენ ამით მისი მტრები და ამხედრდებოდენ მის წინააღმდეგ. დიდი მოურავი გრძნობდა, რომ ამას მოყვებოდა მთელი მისი ოჯახის და გვარის დაღუპვა. მან უარით გაისტუმრა მეფის მოციქულნი.

ამ უარმა კიდევ უფრო გააცხარა ლუარსაბი. მან კიდევ გაუგზავნა კაცები სააკაძეს და შეუთვალა, რომ მას გაგიჟებით უყვარს მაკრინე, მაკრინესაც უყვარს იგი,

- 40 -

უერთმანეთოთ სიცოცხლე არ შეუძლიათ, ამიტომ ნუ ურჩობს, ნუ აუბედურებს ორს ადამიანს! და, თუ კიდევ უარი მიიღო, მაშინ ხმაღმა უნდა გადაწყვიტოს საქმე; ან ჩემი სისხლი უნდა დაიღვაროს, ან შენო.

ამ შემთვლამ კიდევ უფრო ააშფოთა სააკაძე. ის მიეცა ღრმა ფიქრს. მძიმეთ უღელავდა გული გმირ მამულიშვილს. ეს გული კარგს არას ეუბნებოდა მას. რა უნდა ექნა! ის ჩავარდა ორ ცეცხლ შუა: უარით ის იკიდებდა მტრათ მეფეს, თანხმობით კი მთელი ქართლის დიდებულნი ხთებოდენ მისი მტრები. ორივე შემთხვევაში მას აღარ ედგომებოდა ქართლში; ის უნდა გაცლოდა თავის საყვარელ სამშობლოს. დიდი მოურავი წყევლიდა თავის უკუღმართ ბედს, წყევლიდა იმ დღეს, როცა მან პირველათ მოიწვია ლუარსაბ მეფე და აჩვენა თავის და. საშინლათ სწუხდა გიორგი. მასთან ერთათ სწუხდა მთელი ოჯახი. ლუარსაბის მოციქულნი კი ურჩევდენ დათანხმებას, რადგან უარის თქმით იგი საუკუნოთ გადამტერებდა მეფეს.

ბოლოს, როგორც იყო, გადაწყვიტა სააკაძემ და შეუთვალა მეფეს თანხმობა, მხოლოდ წინ და წინ მოსთხოვა ლუარსაბს და მის დედას ფიცის ბარათი, რომ ამ ქორწინებით არაფერი ევნებოდა მას და მის ოჯახს, არც მის დას მაკრინეს; რომ გიორგის მტრები არ იმოქმედებდენ მეფეზე და, რაგინდ ლალატი შეეწამათ მის-

თვის, ლუარსაბი არ დაუჯერებდა მათ.

ლუარსაბის სიხარულს არ ქონდა საზღვარი. მან მაშინვე გაუგზავნა სააკაძეს ფიცის სიგელი და დაიწერა ჯვარი მშვენიერ მაკრინეზე ქვათახევის მონასტერში.

ასე დამთავრდა ლუარსაბ მეფის რომანი, რომელიც სამწუხაროთ მალე გადიქცა საშინელ ტრაგედიათ. გა-

- 41 -

მართლდა სააკაძის წინათგრძნობა. მეფის დამოყვრებამ უსაზღროთ გააბრაზა ქართლის დიდებულნი, მეტადრე მათი ქალები. დიდ თავადებს ვერ მოენელებიათ სააკაძის ასეთი უმაგალითო ამადლება. უბრალო აზნაური, 22 წლის ჭაბუკი ამ შვიდი წლის წინათ გახთა მთელი ჯარების უფროსი, სამხედრო მინისტრი, ამირსპასალარი; ის შეიქნა ქართლის დიდი მოურავი, ფაქტიური მეფე. მან ალაგმა ეს დიდებულნი მეფის ტახტზე ასვლის დროს. მან გადაარჩინა მეფე ტყვეობას და მთელი ქართლი აოხრებას ცხირეთთან და ტაშისკართან ოსმალოს ჯარის დამარცხებით. სააკაძე შეიქნა თითით საჩვენებელი გმირი, ხალხის საყვარელი. ყველგან, შინ და გარეთ ქუხდა სააკაძის სახელი, სააკაძემ დაფარა ეს დიდი თავადები თავის ჩრდილში. ახლა კიდევ თვით მეფე იწუნებს მათ ქალებს, ემოყვრება სააკაძეს და ხდება მის სიძეთ. ეს კი მეტის მეტი იყო. აივსო დიდებულა შურის და მტრობის ფიალა. ამას ზედ დაერთო მათი ქალების საშინელი აშფოთება და მუქარა. ისინი არ ცნობდენ დედოფლათ სააკაძის დას, არ შვრებოდენ მასთან ხლებას და მორჩილებას. ისინი არცხვენდენ კაცებს და ექეზებდენ სააკაძის სამტროთ. მათი თავმოყვარება უზომოთ იყო შელახული. მეტი მოთმენა არ შეიძლებოდა, უნდა დაღუპულიყო სააკაძე, უნდა დაღვრილიყო მისი სისხლი...

დიდებულნი შეუდგენ მოქმედებას. მათ აცადეს მეფეს, სანამ იგი მოიკლავდა სიყვარულის წყურვილს. შემდეგ შეუჩინეს ლუარსაბს დაახლოვებული კაცები, **შადიმან ბარათაშვილი და ფარსადან ციციშვილი**. ეს ორი სააკაძის დაუძინარი მტერი გველივით შეეჩდენ გამოუცდელ მეფეს და არ აძლევდენ მოსვენებას. ისინი იგონებდენ სააკაძეზე ათას გვარ ჭორებს, სწამებდენ მე-

ფის ღალატს და აძულებდენ მის თავს ლუარსაბს. გასჭრა მათმა შხამიანმა ენამ. მათ ჩაიგდეს ხელში უხასიათო მეფე და მოამზადეს ნიადაგი სააკაძის დასამხობათ.

ამას შემდეგ შეიკრიბენ დიდებულნი, მოსთხოვეს მეფეს სააკაძის დის გაშვება და თვით **საკაძის სიკვდილი**. წანამდე შემხვევაში ისინი ემუქრებოდნენ მას ტახტიდან გადაგდებას. **ან ჩვენ, ან გიორგი სააკაძე!** გაიძახოდნენ ბრაზით ქართლის დიდებულნი. მაგრამ მათ შორის იყვენ ისეთები, რომელნიც ხედავდნენ სააკაძის გენიოსობას და უმაგალითო ამაგს ქვეყნის წინაშე. ისინი ნათლათ მზერდნენ, თუ რა დიდი ზიანი მიეცემოდა ქვეყანას ამისთანა დიდებული კაცის დაღუპვით. ამიტომ ეს საუკეთესო მამულიშვილნი ერჩოდნენ მეფეს და დიდებულთა ელთ ხელი სააკაძის მტრობაზე და არ დაეღუპათ იგი უბრალოთ.

არაფერმა არ გასჭრა გაცოფებულ თავადებზე.

„ან ჩვენ ყველანი, ან გიორგი სააკაძე!“ კვლავ გაიძახოდნენ ისინი და აქეზებდნენ მეფეს. ლუარსაბი ტოკავდა. მაგრამ ბოლოს დაყვა უმეტესობის ნებას. **მან გასტეხა ფიცი, განშორდა თავის საყვარელ ცოლს, გადაწყვიტა გიორგი სააკაძის ღალატით მოკვლა...** სწუხდნენ მამულიშვილნი, ნეტარებდნენ გონება-დახშულნი და პირად ინტერესებით აღძრულნი ქვეყნის და სააკაძის მტრები...

6. ღალატი.

ლუარსაბ მეფე ამ დროს იყო კოჯორში საზაფხულოთ. მან დაიბარა სააკაძე ვითომ და ყარაიაზში სანადიროთ. აქ მოეყარათ თავი სააკაძის მტრებს თავის რაზმებით. მათი მიზანი იყო აქვე მოეკლათ სამშობლოს ერთგული ადამიანი, დაეღვარათ მისი წმინდა სისხლი.

ქვეყნის დაუცხრომელ ზრუნვაში იყო დიდი მოურავი, რომ მოუვიდა მეფის მოწვევის ბარათი. ის მაშინვე გაეშურა კოჯორს, მივიდა ღამით გვიან და მოისვენა თავის ბინაზე. მეფეს აცნობეს სააკაძის მოსვლა. მტრები მოემზადნენ მის თავზე დასაცემათ. დილის რიჟრაჟზე ისი-

ნი ეცენ თავის რაზმებით სააკაძის სადგომს, შემოეხვიენ ირგვლივ, დასცეს ყიჟინა და დაუშინეს თოფები. ისინი იწვევდენ გარეთ სააკაძეს უშვერი ლანძღვა-გინებით, მაგრამ შინიდან არ ისმოდა ბაიბური. უცებ გაიღო კარი, გამოვარდა გარეთ სააკაძის მხლებელი, მამაცი **პაპუნა ჩივამე**, დიდი მოურავის ჯუბა-ჯავშნით და იარაღით ხელში, მოახტა იქვე უბელო ცხენს, გააპო მტრის რაზმები და გაქუსლა ნოსტესაკენ.

მოღალატენი შეცვინდენ სახლში, მაგრამ იქ არ დახვდათ სააკაძე. დილის ალიონზე ვიღაცამ წყნარათ დაუკაკუნა კარი. მუდამ ფრთხილი სააკაძე წამოვარდა ზეზე და შესძახა: — „ვინ ხარ!“ — „გიორგი, თავს უშველე! გიღალატეს! მოდიან მტრები შენს მოსაკლავათ“... ეს სიტყვები ძლივს მოასწრო უცნობმა და გაიქცა.

საკაძემ ჩაიცვა უცებ ახალუხი, შემოირტყა წელზე ხმალი, ელვის სისწრაფით გამოვარდა გარეთ, მოახტა უბელო ცხენს და გააქროლა თავის სოფლისკენ. დიდი მო-

- 44 -

ურავის მხსნელი იყო სახელოვანი მამულიშვილი **კახაბერ ხერხეულიძე**, მეფის ფარემთუხუცესი.

მტრები გამოუდგენ სააკაძის კვალს. მათ შეკრეს ყოველ მხრივ გასაქცევი გზები. მზე ჩასვლაზე იყო, როცა უზომოდ დაღლილი და აღელვებული სააკაძე მივარდა შინ. ის იყო ერთიანათ ოფლში გაწურული; პირისახეზე აღმური ასდიოდა; ტანისამოსი დაფლეთოდა ტყესა და ჯაგებში ცხენის ჭენებით. აშფოთებული ცოლ-შვილი შემოეხვია მას.

— „თავს უშველეთ!.. მტრები მოგვდევენ... გვიღალატეს... მეფემ გასტეხა ფიცი“... — უთხრა მათ გიორგიმ დინჯათ, მაგრამ მღელვარე ხმით, — „აბა ჩქარა შევეფაროო ტყეს“...

შეიქნა საშინელი ფაცა-ფუცი. სააქაოს ღირსეული ცოლ-შვილი უცებ მიხვდა ყველაფერს. ისინი საოცარი სისწრაფით მოემზადენ და გასწიეს ტყისკენ. გიორგიმ მოახდინა განკარგულება თავის შინაყმებში და გამოუდგა ცოლ-შვილს.

მოღალატენი თავის ჯარებით შემოესიენ ირგვლივ სააკაძის სასახლეს, მაგრამ იქ არ დახვდათ ის, ვი-

საც ეძებდენ. დიდი მოურავის გამხეცებულმა მტრებმა დახოცეს მისი შინაყმები, დაარბიეს ეს დიდებული სასახლე და წაუკიდეს ცეცხლი სააკაძის ქონებას.

კუნაპეტი ღამე იყო, რომ უცებ ავარდა საშინელი ალი. ამ დროს იქვე მთაზე კლდის პირათ იდგა დიდი მოურავი. ის დაცქეროდა ამ საზარელ სურათს. იქ დაბლა იწოდა მისი სასახლე, ცეცხლის ალში ინთქებოდა მთელი ქონება. უსაზღვრო სევდა და ბრაზი მოაწვა გულზე. გმირის თვალები აივსო ცრემლით. სააკაძე იყო დიდხანს ქანდაკივით გაშეშებული და უმზერდა იმ მხარეს,

- 45 -

სადაც უღმობელი სტიქიონი სპობდა მთელ მის სიყრმის შენაძენს. მან ამოიოხრა მწარეთ...

— „რისთვის?! რა დავაშავე ასეთი?! განა ეს არის ჩემი ღვაწლის, ჩემი თავდადების სამაგიერო?!“ — ფიქრობდა დიდი მოურავი და არ აშორებდა თვალს მძვინვარე ცეცხლს.

ამასობაში ერთგულმა შინაყმებმა მოგვარეს ცხენები. სააკაძე, მისი ცოლ-შვილი და მხლებელნი შესხდენ ცხენებზე და გაუდგენ გზას. მაგრამ საით უნდა წასულიყვენ, როცა გზები შეკრული იყო! მასთან მეფემ გასცა ბძანება, ვინც დაიჭერდა სააკაძეს და მიუყვანდა მკვდარს ან ცოცხალს, მას მიეცემოდა ფრიად დიდი ჯილდო. გამოჩდენ მსურველები გლეხებშიაც კი. ისინი ჯგუფ-ჯგუფათ ესაფრებოდნენ სააკაძეს და სურდათ მისი ხელში ჩაგდება. ფულმა გაიტაცა ყველანი, დაავიწყათ ამ დიდებული კაცის ღვაწლი და ამაგი.

საკაძის მაღალმა გონებამ უცებ მოისაზრა ყველაფერი. მან იცოდა ყოველი გზა და ბილიკი, გასწია იმ გზით, სადაც ნაკლებათ მოელოდა მტრის შეხვედრას. ამ რიგათ მიადგა მცხეთას. იყო ბნელი ღამე. მან ჩაგზავნა კაცები და შეიტყო, რომ ხიდი უკავია მტრებს და დარაჯობენ. სააკაძე მოერიდა პირდაპირ შებმას და მოძმეთა სისხლის დაღვრას. მან არჩია ამ კუნაპეტ ღამეში განსაცდელში ჩაეგდო თავი, ცოლ-შვილი და გასულიყო ფონათ ტკვარში. ისინი მიადგენ მდინარეს. მათ წინ გაშლილიყო სიბნელეში ადიდებული ტკვარი. მრისხანეთ მიაგორებდა თავის ზვირთებს. დიდმა მოურავმა გაამხნევა

ყველანი. კაცებმა შეისვეს ბავშები მხრებზე და შეუდგენ წყალში გასვლას.

— ნუ თუ დიდი მოურავის ცოლი უნდა შეუშინდეს

- 46 -

რასმეს?! — შესძახა გმირულათ სააკაძის ცოლმა და პირველმა შეაცურა ცხენი აზვირთებულ მდინარეში. მას მიყვენ სხვებიც. კაცი და ცხენი თითქმის დაიძალეს წყალში. გონიერი პირუტყვი ფრუტუნით მიაპობდენ ზვირთებს და მიცურავდენ წინ. რამდენიმე ხანიც და ყველანი მშვიდობით გავიდენ გაღმა თავიდან ფეხამდი დალუმპულნი. ისინი აღარ შეჩერდენ აქ და გასწიეს საჩქაროთ, რომ არ მოესწროთ მდევერებს. 15 ვერსტის იქით იწყებოდა ნუგზარ ერისთვის სამფლობელო. იქ შიში აღარ იყო.

ნუგზარს წინდაწინ შეეტყო ყველაფერი და რისხვისაგან ბდღვინავდა დაჭრილ ლომივით. ეს მამაცი მოხუცი მიეგება სიძეს საზღვარზე. ის ურჩევდა სააკაძეს შეეკრიბათ ჯარი მის საყმოდან და შებმოდენ მეფეს. დიდმა მოურავმა უარყო ეს რჩევა. ის მოერიდა შინაურ ომს და ძმათა შორის სისხლის ღვრას. ქართლს ისედაც ბევრი მტერი ყავდა; მას არ სურდა სამოქალაქო ომით და პირადი ჯიბრით კიდევ უფრო დაუსუსტებია იგი.

— სააკაძემ გადაწყვიტა სპარსეთს წასვლა. მას გაყვა ნუგზარ ერისთავიც თავის ოჯახობით. ამას არ სურდა ამ ლალატს შემდეგ თავი დაედო ლუარსაბ მეფისთვის, რომელიც ასე დაეცა მის თვალში და შეიქნა ფიცის გამტეხი. ცოტა ხანს შემდეგ იძულებული გახდენ გაცლოდენ სამშობლოს სააკაძის ძმებიც და შეხიზნოდენ სპარსეთს. დიდი მოურავის მტრები არ ზოგავდენ არც ამათ. ამ პირებმა თავი იჩინეს სპარსეთში, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი შეიქნა გიორგის უფროსი ძმისწული **როსტომ სააკაძე**, რომელიც ბბოლოს გახდა მთელი ირანის სპასალარი და ისეთი ძლიერი კაცი, რომ შაეხი აყავდა ტახტზე და ჩამოყავდა.

შაჰ-აბაზს შეუსრულდა დიდიხნის გულის წადილი

- 47 -

მან მეფური ღირსებით მიიღო გიორგი სააკაძე და დიდი

პატივი სცა მის მხლებელთ. შაიმ კარგათ იცოდა, რომ სააკაძის ხელში ჩაგდებით ის აუძლებდა ქართლია სამეფოს. თვით სპარსეთიც არ იყო ამ დროს კარგ ყოფაში. მას აშლოდენ **ინდოეთი, ავღანი და ყანდაარი**. ინდოელთ შეეკრათ სავაჭრო გზები და ამ რიგათ სპარსეთში ჩამოვარდა საშინელი სიძვირე. გარდა ამისა შაჰ-აბაზს ვერ მოენელება ის დამცირება, რაც განიცადა მან ოსმალთაგან. სულთანმა წაართვა მას ბაღდადი და ნახევარი ქურთისტანი. საჭირო იყო დიდი ომები, სამაგიეროს გადახდა. ვინ შესძლებდა ამ მძიმე საქმეს? ვინ დაუმარცხებდა შაის სპარსეთის მტრებს? ეს შეეძლო მხოლოდ გამირთა-გმირ გიორგი სააკაძეს, რომლის სამხედრო გენიის სახელი შორს იყო გავარდნილი. მას კარგათ იცნობდა თვით შაჰ-აბაზი.

ამიტომ იყო, რომ ირანის ლომი არ ზოგავდა სააკაძისთვის არაფერს, თავაზობდა დიდ საჩუქრებს, დაყავდა სანადიროთ, ისვამდა ნადიმზე გვერდით, ესაუბრებოდა ტკბილათ და კითხავდა რჩევას. შაის სურდა ესარგებლა ამ კაცით.

ცოტა ხანს შემდეგ შაიმ მოაზადა საკმაო დიდი ჯარი, ჩააბარა უფროსობა სააკაძეს და გაემართა ავღანის, ყანდაარის და ინდოეთის წინაამდეგ. გიორგის ახლდენ ომში თავის ძმები და თან წამოყვანილი ქართველები, მათ შორის შესანიშნავი ვაჟაცი თავის ცოლისძმა **ზურაბ ერისთავი**, ნუგზარის შვილი. ეს ზურაბი გაზრდილი იყო სააკაძის, თან ახლდა ომებში, სადაც იჩენდა იშვიათ სიმამაცეს და სამხედრო ნიჭს. მას შესწავლილი ქონდა გიორგის სამხედრო წესები. ენით აუწერელი სიმამაცე გამოაჩინეს ამ ომებში გადახვეწილმა ქართველებმა.

- 48 -

დდ მოურავის გამირობამ და გენიოსობამხომ გადააჭარბა ყველაფერს. ეს ზეკაცი თავის რაზმებით ელვასავით ჩდებოდა ხან აქ, ხან იქ, ამარცხებდა ათჯერ და ოცჯერ მეტ მტრის ლაშქარს და იღებდა მათ ციხეებს. მოკლე ხანში მან დაიპყრო ავღანი, ყანდაარი და ისე შეავიწროვა ინდოელნი, რომ მათ გადაუხადეს შაჰ-აბაზს დიდი სამხედრო ხარკი და გაუხსნეს სავაჭრო გზები.

დიდი მოურავის სახელი მოედვა მთელ აზიას. იგი

შეიქნა მათ თვალში რაღაც უძლევი ბუმბერაზი, ზღაპრული გმირი. მის ქება-დიდებას დამღერდენ მგოსნები და მომღერალნი. მისი დაუჯერებელი ამბები გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეში და იპყრობდა ქვეყნის ყურადღებას.

შაჰ-აბაზის სიხარულს არ ქონდა საზღვარი. იგი გაცეცხლებული იყო სააკაძის ასეთი გენიოსობით. მან კიდევ უფრო მეტათ დააფასა და შეიყვარა ეს კაცი. შაიმ უხვათ დააჯილდოვა როგორც სააკაძე, ისე მისი ქართველები და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ყველას.

ახლა შაჰ-აბაზმა იწყო მზადება ოსმალთა წინამდევ ბაღდადისა და ქურთისტანის წასართმევათ. შეიქნა სისხლის მღვრელი ომი სპარს-ოსმალთა შორის. აქაც დიდი მოურავის გენიოსობამ სძლია ყველაფერს. მან ჩაიდინა ნამდვილი სასწაულები. ოსმალები იცნობდენ მას ცხირეთის ომიდან. ამიტომ საშინელი შიშისზარი ეცემოდათ ყოველ მის დანახვაზე და ხმის გაგონებაზე. ომები დამთავრდა სააკაძის ბრწყინვალე გამარჯვებით. მან აქაც ასახელა ირანის დროშა, მოდრიკა შაის წინაშე ამაყი სულთანნი. ოსმალებმა გადიხადეს შაის სასარგებლოთ დიდი სამხედრო ხარკი, დაუთმეს ბაღდადი და ქურთისტანი.

- 49 -

ამ საარაკო გამარჯვებას შემდეგ დიდი მოურავის სახელი კიდევ უფრო გაიზარდა და მოეფინა მთელ ქვეყანას. ალექსანდრე მაკედონელს შემდეგ დიდ აზიას არ ენახა ასეთი დიდებული გმირი და სამხედრო გენიოსი. არას დროს სპარსეთი არ ყოფალა ისეთი ძლიერი, როგორც ახლა. მის წინშე თრთოდენ ოსმალთა და ინდოეთი. ეს ყველაფერი ჩაიდინა სამშობლოდან ღალატით გაძევებულმა ქართველმა გიორგი სააკაძემ!

დამშვიდდა შაჰ-აბაზი. მან ამოისუნთქა თავისუფლათ. მის ხელში იყო ვრცელი იმპერია. მისი მტრები იყვენ დამარცხებულნი. მის გვერდით იყო უძლეველი გმირი. ახლა შაიმ მიაპყრო თვალი საქართველოს. არა სანუგეშო ხმები მოსდიოდა მას ქართლ-კახეთიდან. თეიმურაზი და ლუარსაბი უპოტინებდენ ხელს დიდ რუსეთს და ევედრებოდენ მფარველობას. ქართლ-კახეთის მეფეთა

ასეთი საქციელი და უმადურობა გულს უვსებდა ბრაზით ირანის ლომს. შაის არაფერი გაუვიდა მათზე. ვერ იმოქმედა ვერც დამოყვრებამ, ვერც დაყვავებამ და ვერც დიდმა ფეშაშებმა. ისინი მგლებივით სულ ტყისკენ იცქირებოდნენ. მაშინ შაიმ გადაწყვიტა ივერიის აოხრება და ორივე მეფის ხელში ჩაგდება. როგორც ზეით ვთქვით, შაჰ-აბაზი წამოვიდა დიდი ჯარით და მოადგა კახეთს. მან მოითხოვა მძევლათ თეიმურაზის დედა და შვილები, ბოლოს დაიბარა თვით თეიმურაზი, მაგრამ კახეთის ლაჩარი მეფე გაიქცა იმერეთს და თან გაიტყუა ლუარსაბიც. ქართლ-კახეთი გადაარჩინა შაის რისხვისაგან გიორგი სააკაძემ, რომელიც თან ახლდა შაჰ-აბაზს. შაი თავის ლაშქრით გადმოვიდა ქართლში. აქ გადმოიტყუა ოსტატობით იმერეთიდან მეფე ლუარსაბი და წაიყვანა სპარსეთს.

- 50 -

ქართლ-კახეთი დარჩა უმეფოთ. იქ იყვენ ჩაყენებული ციხეებში სპარსეთის ჯარები. ამ ორ სამეფოს განაგებდნენ შაჰ-აბაზის მიერ დაყენებული მოხელენი. კახეთში შაიმ დასვა გამგეთ გამუსულმანებული იასე, თეიმურაზის ბიძაშვილი, რომელსაც მისცა ვეზირებათ **დავით ჯანდიერი** და **ნოდარ ჯორჯაძე**. ქართლი კი ჩააბარა **ფარსადან ციციშვილს**. ასე დაამცირეს მშვენიერი ივერია მისმა უღირსმა მეფეებმა!...

კახეთის აჯანყება და თეიმურაზი.

შაის დაყენებული იასე მეტათ მკაცრათ ეპყრობოდა კახეთს, ავიწროებდა დიდებულთ და აწიოკებდა ხალხს. მას ბაძავდნ სპარსელი მოხელენი და ჯარის კაცნი. ამათ თარეშს და უდიერ საქციელს არ ქონდა საზღვარი. ამას არ ჯერდებოდა ბოროტი იასე. ის ანგრევდა ტაძრებს, სდევნიდა სამღვდელო პირთ, უპატიურათ ექცეოდა ბერებს და მონასტრებს, ავრცელებდა მამადის რჯულს. მამადიან მეფის ასეთი საქციელი მეტათ აღელვებდა კახეთს. ის მზათ იყო იარაღით ხელში მოესპო მტარვალი

და მოეშორებია სპარსთა ბატონობა. ამას ხელს უწყობდა თეიმურაზის აგენტების მოსვლა და ხმის გავარდნა, რომ ოსმალოს ჯარი მოდის ჩვენს საშველათო. ახლა კახელები ეძებდნენ გმირს, მეთაურს, რომელსაც უნდა აეფრიალებია აჯანყების დროშა. აჰა გამოჩნდნენ გმირებიც!

აჯანყების სათავეში ჩადგა კახეთის გამოჩენილი გმირი **დავით ჯანდიერი**. ამას მიემხრენ **ნოდარ ჯორძაძე**, **თამაზ ვაჩნაძე** და **დალიმელიქი**. ეს უ კანასკნელი ტომით შირვანელი იყო შაის სამსახურში, მაგრამ უღალატა

- 51 -

სპარსელთ და გადმოვიდა ქართველთა მხარეზე, რადგან შაი უდიერათ მოექცა შირვანელთ, აყარა თავის ბინიდან და გადმოსახლა კახეთში, სადაც ეს მამაცი ხალხი თითქმის გაქართველდა, ენით და ზნე-ჩვეულებით შეეხორცა კახელთ. ამ ოთხმა გმირმა გამართეს შეთქმულობა, მიიმხრეს თუშ-ფშავ-ხევსურნი და ალავერდობა დღეს მოახდინეს აჯანყება.

კახეთში ყველაზე უფრო შესანიშნავი ტაძარია **ალავერდი**, წმ. გიორგის სახელზე აგებული. ყოველ წლებით 14 სექტემბერს ამ ეკლესიაში იმართება დღესასწაული. მის ვრცელ გალავანში იმ დღეს იკრიბება აუარება მლოცველნი. მთელი კახეთი და მთის ხალხები აქ იყრიან თავს სალოცავათ. აქვე იმართება ბაზრობა. აი სწორეთ ეს დღე არჩიეს შეთქმულებმა აჯანყების მოსასდენათ.

კახეთში ყოფნის დროს შაჰ-აბაზმა ალავერდის ტაძარს შემოავლო ვრცელი, მაღალი გალავანი და გადააკეთა ციხე-სიმაგრეთ. აქვე ჩააყენა ჯარი, რომელიც ურიგოთ ეპყრობოდა მლოცველთ და დასცინოდა მათ სარწმუნოებას.

დადგა ტაძრის დღეობა, ე. ი. ალავერდობა. უამრავი მლოცავი მოაწყდა ეკლესია.ს. მოვიდნენ მთის არწივნი ჯუბა-ჯავშანში ჩამსხდარნი, თუშნი და ფშავ-ხევსურნი. აქვე იყო შეთქმულთა ბელადი დავით ჯანდიერი თავის ამხანაგებით. ქართველები ელოდნენ ნიშანს, რომ დარეოდნენ და ამოეწყვიტათ სპარსნი. გაიმართა პატარა კინკლაობა სპარს-ქართველთა შორის. სპარსელებმა დასჭრეს რამდენიმე ქართველი. ეს იყო საკმარისი.

— „სიკედელი მტარვალთ!“ შესძახა ჯანდიერმა და

იმრო ხმალი. ამ დროს გავარდა თოფი. ეს იყო შეთქმულ-
თა ნიშანი. გამწარებული ქართველნი მშიერი ლომივით

- 52 -

ემგერენ სპარსთა ჯარს და იწყეს მუსრა. ქართველის
ელვარე ხმალი თვრებოდა მტრის სისხლით. რამდენიმე
საათი და გაწყდა ერთიანათ მტერი. დახოცილი სპარსნი
ეყარენ ეკლესიის გადავანში.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელ კახეთს.
შეიქნა ჭორობა და საომრათ მზადება ალაზნის ხეობა-
ში. კახელთ მიემხრენ შირვანელნი. ამ ამბავმა შიშის
ზარი დასცა იასეს. მან იწყო მაგრება და სპარსეთის ჯა-
რის შეგროვება. დღითი-დღე ის ელოდა თავზე დაცემას.

როცა ამისთანა შესანიშნავი ამბები ხდებოდა კახეთ-
ში, მისი უღირსი მეფე თეიმურაზი იყო იმერეთს გახი-
ზნული, სწერდა იქ უნიჭო ლექსებს და პოემებს. ამ ქარ-
თველ ნერონს წარმოედგინა თავი დიდებულ მგოსნათ და
ეჯიბრებოდა ლექსის წერაში უკვდავ რუსთველს. ამ დროს
მოუვიდა მას კაცები კახეთის შეთქმულთაგან. ისინი აუ-
წყებდენ თეიმურაზს ფრიად სასიამოვნო ამბავს, სპარსთა
ჯარის ამოწყვეტას და იწვევდენ კახეთში მეფეთ.

ამ ამბავმა ააფრთოვანა თეიმურაზი. ის გაემართა
კახეთს დიდის ამალით. ანანურთან მას მიეგებენ შეთქმულ-
თა მოთავენი 22.000 მეომრით და მიიღეს მეფე დიდის
დიდებით. ამ ჯარით თეიმურაზი დაეცა იასეს და სასტი-
კათ დაამარცხა. ცხარე ბრძოლაში მოკლეს თვითონ იასე.
აქედან დავით ჯანდიერი გადუხტა ზეგანში გამაგრებულ
სპარსთა ჯარს, სპარსნი დანებდენ უომრათ. თეიმურაზის
ბძანებით გალაღებულმა ქართველებმა ეს ჯარი ერთიანათ
გასწყვიტეს თავის სარდლებით.

ამ რიგათ კახეთმა გადიგდო მონობის უღელი. მან
დაამარცხა მტარვალი. იშვებდა და ხარობდა ხალხი. კა-
ხეთის ტახტზე დამკვიდრდა თეიმურაზი. მან დაუწყო ხე-
ლის პოტინი უპატრონოთ დარჩენილ ქართლსაც; ერეო-

- 53 -

და მის შინაურ საქმეებში და იმხრობდა თავადებს. თა-
ვის სიმკაცრით და ბოროტებით თეიმურაზმა გადააჭარბა

იასეს და კოსტანტინეს. მან ეერ გამოიჩინა ის სულგრძელობა, რაც შეფერის გამარჯვებულ მეფეს და შორს მჭვრეტ დიპლომატს. პირიქით თავის სიმკაცრით და სიბეცით მან აამხედრა თავის წინამდებ ბევრი კახელი, გააბრაზა შაჰ-აბაზი და ხელი შეუწყო მთელი კახეთის აოხრებას, იმ საშინელ ამბავს, რომლის მსგავსი არ მომხდარა თითქმის მთელ მსოფლიო ისტორიაში.

გამაგრდა თუ არა ტახტზე, თეიმურაზმა ხელი მიყო იასეს მომხრე დიდებულთა ამოწყვეტას. შეასრულა რა ეს საზიზღარი საქმე, მან შეიპყრო კახეთში მყოფი სპარსელი ვაჭრები, დახოცა წამებით და მათი ქონება დაისაკუთრა თვითონ. არც აქ შესდგა სისხლის მღვრელი მეფე. მისცა შაის მოღალატე დალი-მელიქს 10.000 მეომარი და შეუსია სპარსეთს. დალი-მელიქი დაეცა სპარსეთის განაპირა ქვეყნებს, გასწყვიტა მრავალი ხალხი და ააოხრა ერთიანათ. სპარსეთის ორ ქალაქს, **არემს** და **კამალს** სამუდამოთ მოუღო ბოლო. ამავე დროს თეიმურაზი არ იშლიდა თავის ძველ ჩვეულებას; გზავნიდა ელჩებს რუსეთში, აბეზღებდა შაჰ-აბაზს რუსის ხელმწიფეს და სთხოვდა მიეღო კასეთის სამეფო თავის მფარველობაში.

ყველა ეს ამბავი ჩაუვიდა შაჰ-აბაზს და გაარისხა უზომოთ. ის მზათ იყო დაეგლიჯა თეიმურაზი თავის კბილებით. მან აიყარა გული ქართველებზე. მისგან დაჯილდოებული და ვეზირთ დაყენებული კახნი, დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე ღალატობდენ მას. ამას შემდეგ რა იმედი უნდა ქონებოდა დანარჩენის! ის აშკარათ მზერდა, რომ დღეს თუ ხვალ მთელი ივერია ჩაუ-

ვარდებოდა ხელში დიდ რუსეთს, რომლის ასეთი გაძლიერება და დაახლოება დალუპავდა სპარსეთს. ირანის ლომს უნდა მიეღო ახლავე მკაცრი ზომები, რომ ეხსნა მაინც თავის ქვეყანა. მან გადასწყვიტა კახელების სასტიკათ დასჯა, მთელი ქართლ-კახეთის აყრა და მათ ნაცვლათ სპარსთა დასახლება. ამით მას სურდა სამუდამოთ მოეშორებია თავიდან ეს დიდი საფრთხე, ე. ი. ქართველ მეფეთა რუსეთისკენ ხელის შვერა და საქართველოსკენ რუსების ლტოლვა. მას უნდოდა ჩაეგდო ხელში და ჩაეკეტა მაგ-

რათ კავკასიონის კარი, **დარიალის ხეობა**, საიდანაც უნდა მოსულიყენ რუსები საქართველოში და საიდანაც ეხსნებოდა რუსებს თავისუფალი გზა შიდ შუაგულ სპარსეთში, რომლის დაპყრობა ამის გამო ადვილი იყო ორთავიან არწივისათვის. მუდამ კი შაჰ-აბაზისთანა გენიოსი მეფე არ ეყოლებოდა სპარსეთს. მისი ბედი ამიერიდან ბეწვზე ეკიდა. აი ამ დიდ განსაცდელს ნათლათ მზერდა ირანის ლომი, ეს შორს მჭვრეტი პოლიტიკოსი.

შაჰ-აბაზი შეუდგა საქმეს. მან იწყო დიდი მზადება და ჯარების შეგროვება. ის კარგათ იცნობდა ქართველებს. იცოდა თუ რა გმირი ხალხი ესახლა ივერიაში. თუმც ქართლი იყო უმეფოთ, თუმც თეიმურაზი მაშინვე გაიქცეოდა და უპატრონოთ დასტოვებდა კახეთს. მაგრამ ამ ორ პატრ სამეფოს ყავდა ისეთი გამოცდილი სარდლები, ქონდა ისეთ ბუნებრივი და ხელოვნური სიმარგენი, რომ მათი დამარცხება არ იყო ასე ადვილი საქმე. ამას გრძნობდა შაი და იდებდა შესაფერ ზომებს.

შაის იდუმალი განზრახვა მალე შეიტყო სააკაძემ. ის აშკარა მზერადა მის საშინელ რისხვას. ის ხედავდა თუ რა გულმოდგინეთ იწვევდენ ჯარებს ირანის ყოველ კუთხიდან. ეს ჯარები უნდა წასულიყვენ ივერიაში; ამათ

-55 -

უნდა გაეწყვიტა და აეყარა მთელი ქართლ-კახეთი. ამიერიდან ქართველის სახელი უნდა მოსპობილიყო ტურფა ივერიაში. ამიერიდან იქ უნდა დაესახლებიათ სპარსელები. გმირის გული აივსო ცეცხლით. ის ხედავდა საქართველოს დაღუპვას. კახეთს კიდევ არ უჭირდა ისე; მას ყავდა მეფე და რამდენიმე გამოჩენილი გმირი სარდალი. ქართლი კი სულ უპატრონოთ იყო დაგდებული.

საკაძე ეახლა შაის. მან არ დაზოგა თავის დიპლომატიური ნიჭი და ენამზეობა, რათა აეცილებია ივერისთვის ეს საშინელი რისხვა. მან ცოცხალი ფერადებით დაუხატა შაის ქართლ-კახეთის ერთგულობა, ცხირეთთან ოსმალს ჯარის ამოწყვეტა, თვითონ სააკაძის და მისი ქართველების თავდადება აურაცხელ ომებში ავღან-ინდოელთა წინამდეგ, მათ მიერ ბაღდადის და ქურთისტანის აღება, ამ რიგათ სპარსეთის გამლიერება. მოაგონა თუ რა დიდი ღვაწლი დასდო მან მთელ ირანს. ახლა

სთხოვდა არ აყოლოდა თეიმურაზის უგნურებას, არ ჩაედინა დიდი უსამართლობა, არ დაედვარა უბრალოთ უდანაშაულო სისხლი. თვითონ ქართლს სააკაძე დაუდგა თავდებათ, რომ ამიერიდან ეს სამეფო არ ჩაიდენდა შაის საწინაამდეგო საქმეწს და თან შეწყვეტდა რუსეთთან ყოველივე კავშირს.

ვერ მოალბეს ამ ხურვალე სეტყვებმა შაჰ-აბაზის მრისხანე გული. იგი ფრიად აღელვებული იყო თეიმურაზის საქციელით. მას მეტათ აშფოთებდა კახეთში მისი ჯარის ამოწყვეტა და დალი-მელიქის მიერ ირანის საზღვრების აოხრება. მან მისცა დიდ მოურავს სიტყვა, რომ ქართლს არაფერს დაუშავებდა, ხოლო თეიმურაზს ასწავლიდა ჭკუას. შაიმ სააკაძე მისი მამაცი ქართველებით გაგზავნა სამხრეთ სპარსეთში, თვითონ კი დი-

- 56 -

დი ლაშქრით გაემართა კახეთს. ეს მოხდა **1616 წელს**.

გაიგო რა ეს ამბავი თეიმურაზმა, მაშინვე დასტოვა კახეთი უპატრონოთ და დიდი ამალით მოკურცხლა იმერეთისკენ. მან თან გაიყოლა კახეთის საუკეთესო სარდლები: დავით ჯანდიერი, თამაზ ვაჩნაძე და დელი-მელიქი, რომელთაც არ ეპატიებათ კახეთის მიტოვება ისეთ დროს, როცა მას ყველაზე უფრო ეჭივრებოდა მათი მეთაურობა და დახმარება.

ქართლის საზღვარზე თეიმურაზს შეეფეთა სპარსთა ჯარი. შორს გამჭვრეტმა შაიმ წინ და წინ გამოგზავნა თეიმურაზის დასაჭერათ ორი გამოჩენილი სარდალი, **ისფანდიარ ბეგი და ალიყული-ხანი 15000 მეომრით**. ამათ უყელეს ქართლიდან თეიმურაზ მეფეს და შეუკრეს გასაქცევი გზა. თეიმურაზი ჩავარდა საფრთხეში. მას მოელოდა ტყვეობა და სიკვდილი. შიშმა და თავის დაცვის ალლომ აქცია გმირათ ეს ლაჩარი ადამიანი. მან შეკრიბა უცებ ერწო-თიანეთში 4-5000 კაცამდი, ეკვეთა მტერს ისეთი გამწარებით, რომ საშინლათ დაამარცხა სამჯერ მეტი სპარსთა ჯარი და გამარჯვებული გადვიდა იმერეთს, საიდანაც გაუგზავნა სულთანს ფეშკაშათ 2500 თავი.

ამ ამბავმა კიდევ უფრო გააბრაზა მძვინვარე შაჰ-აბაზი, იგი მიეიდა თფილისში, დასვა ქართლის მეფეთ

ლუარსაზის ბიძა, თავის ერთგული **ბაგრატ მირზა**, დაუყენა ვეზირათ გიორგის ძმა ბეჟან სააკაძე, თვითონ კი ურიცხვი ჯარით გადვიდა კახეთში, რათა ერთიანათ მოესპო ეს ტერფა ქვეყანა.

— 57 —

8. კახეთის აოხრება.

აღდგომა თენდებოდა. მილეული მთვარე და კაშკაშა ცისკარი მხიარულათ დასცქეროდენ დავით გარეჯის დიდებულ მონასტერს და უგზავნიდენ თავის მკრთალ სხივებს. ექვსი ათასი ბერი აფრთოვანებული სახით უვლიდენ კელაპტრებით ხელში ტაძრებს და გალობდენ ქრისტე აღდგას. ეს საამო ღაღადი გუგუნით ეფინებოდა მიდამოს ამ მყუდრო ღამეში. ექვსი ათას კელაპტარს გაქონდა პრიალი და ანათებდა შორს...

— „ეს რა ჩირაღდანია?!“ დაიძახა მრისხანე შაიმ.

— „უდაბნოს ბერები დღესასწაულობენ თავის პასექს,“ იყო პასუხი.

— „გაჟლიტეთ ერთიანათ! გაჟლიტეთ!“ დაიღრიალა მტარვალმა. შაის ბძანებაზე რამდენიმე ათასი ცხენოსანი ამოღებული ხმლით დაერიენ უმწეო ბერებს და შეიქნა საშინელი მუსვრა. როგორც მშიერი ნადირნი, ეცენ სპარსნი საბრალო ბერებს და ჟლეტდენ უმოწყალოთ. არ შეაკრთო ქართველი ბერები ველურმა თავდასხმამ. ისინი კვალად უვლიდენ ტაძარს, ღაღადებდენ ქრისტე აღდგას, იხოცებოდენ ჯვრით და კელაპტრით ხელში. საზარელი იყო ეს სურათი: ერთ მხარეს ამოქმედებდა ველური ალღო, მეორეს კი გმირათ ხდიდა ღვთის სიყვარული!... ერთი საათიც არ იყო გასული, რომ 6000 ბერი ეყარა დახოცილი მონასტრის გლავანში. ესენი იყვენ შაჰ-აბაზის მრისხანების პირველი სხვერპლნი.

სპარსთა უამრავი ლაშქარი მოედვა სამი მხრივ უპატრონოთ დარჩენილ კახეთს ცეცხლით და მახვილით. ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა ალაზნის ხეობაში. გამხეცებული სპარსნი უმოწყალოთ ჟლეტდენ ქართვე-

ლებს და ღებავდენ მათი სისხლით ველსა და მინდვრებს. რასაც ვერ წვდებოდა სპარსის მახვილი, მას ანადგურებდა ცეცხლი. საშინელი ალი მძვინვარებდა ალაზნის ხეობაში, სპობდა ქართველთა ქონებას და სარჩოს. ულმო სტიქიონის უმაძლარი წითელი ხახა ნთქვდა ყველაფერს. იწოდა ქალაქები, იწოდა სოფლები, იწოდა ბაღები და ვენახები. ამ საშინელ ჯოჯოხეთში ისმოდა თოფ-ზარბაზნების გრიალი, მტრის მახვილის ჩახა-ჩუხი და ქართველთა სისხლის თქრიალი. მომაკვდავის მწარე კვნესა, ბავშვის უმწეო ჟივილი და ნამუს ახდილ ქალწულის საშინელი კივილი წვდებოდა თვით ზეცას, მაგრამ ზეცა სდუმდა იმ დროს. მას არ აშფოთებდა ქართველის სისხლი და ცრემლები, არ აშფოთებდა სპარსთა მხეცობა და ველურობა.

კახელნი არ მოელოდენ ასეთ ჯოჯოხეთს, არ ეგონათ თუ შაჰ-აბაზი ასე გაიმეტებდა მათ. მით უმეტეს, რომ შაი იყო ქართველი დედის შვილი და ქართველ მეფეთა სიძე. იმათ არ ესმოდათ თუ რა პოლიტიკა ამოქმედებდა ირანის ლომს და რა ადენინებდა ასეთ უმაგალითო სიმკაცრეს. იმათ ახსოვდათ შაის პირველი შემოსვლა და სათნო მოქცევა. ამიტომ კახეთის მცხოვრებნი მოუშინებდნენ დახვდენ მძვინვარე მტერს. ამ საშინელმა მუსვრამ და ცეცხლმა შიშის ზარი დასცა მთელ კახეთს. კახნი თავის ცოლშვილით და სარჩო-ქონებით ეცენ სამალავებს, მაგრამ გვიანდა იყო. წინდახედულ მტერს უკვე შეეკრა მათთვის გასაქცევი გზები, ამიტომ ათასობით და ათიათასობით უვარდებოდენ ტყვეთ, ან იჟლიტებოდენ მტრის მახვილით. ვინც კი ასწრებდა მთებში შეფარებას, იმათ უარესი დღე ადგებოდათ იქ ლეკების ხელით. შაჰ-აბაზმა მიუსია კახეთს დასარბევათ ეს

მტაცებელი ხალხი. ლეკთა ბრბონი ესეოდენ მთიდან და ბარიდან დაფრთხალ კახელთ და ადენდენ მუსრს, იტაცებდენ ქალებს და ბავშვებს, ართმევდენ ქონებას, ერეკებოდენ მათ ჯოგს.

70,000 ქართველი, ქალი და კაცი გაწყდა ამ საში-

ნელ მუსვრაში, 150,000 ქართველი კი ტყვეთ ჩაუვარდათ გამხეცებულ სპარსელთ. *) უმაგალითო ამბავი მოხდა მსოფლიო ისტორიაში: გაწყდა და დაიღუპა კახეთის მცხოვრებთა ნახევრზე მეტი, განადგურდა ქვეყანა. ბევრი გულსაზარი უბედურობა განიცადა საქართველომ თავის ხანგძლივ ისტორიაში, მაგრამ ამგვარი რამ არ უნახავს არას დროს. შაჰ-აბაზის ბარბაროსობის წინაშე გაქრენ არჰ-ასლანის, მალექ-შაჰის, ჯელად-ედინის, ლანგ-თემურის და აზიის სხვა მტარვალთა მხეცური მოქმედებანი ქართველთა მიმართ. შაჰ-აბაზმა გადააჭარბა ყველას. მან მოისურვა კახეთის მოსპობა და მიზანს თითქმის მიაღწია. ასე ძვირათ დაუჯდა ბედვრულ კახეთს თეიმურაზ მეფის პოლიტიკური სიბეცე და რუსეთისკენ ხელის პოტინი...

რას შვრებოდა ნეტა ამ დროს რუსის მთავრობა, როცა მისი მიზეზით ასე უმწეოთ იჟლიტებოდა ტურფა კახეთი? რუსის მთავრობა სდუმდა ამ დროს. მასარ ეცალა კახეთისთვის. მან ერთი როტა სალდათივ კი არ გამოგზავნა კახთა დასასმარებლათ...

რას შვრებოდა ამ დროს კახეთის უღირსი მეფე თეიმურაზი, რომლის წყალობით იღუპებოდა ეს მშვენიერი ქვეყანა? როცა კახეთს მოსდებოდა ყოველ მხრივ ცეცხლის ალი და ნთქავდა ყველაფერს, როცა ალაზნის ხეობაში ასე უხვათ იღვროდა ქართველის სისხლი, ამ დროს თეი-

*) ზოგიერთ მწერლის აზრით სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა რიცხვი აღემატებოდა ნახევარ მილიონს.

მურაზ მეფე განცხრომით განისვენებდა იმერეთს, იჯდა ტახტზე მოკეცით მდიდრულ დარბაზში, აედო კალამი ხელში, გაეშალა სველი რეგული და ოფლის წკურწკურით ეძებდა უგემურ რითმებს; ის ლექსავდა ამ დროს... **ხილთა ქებას...** თავის უბედურ სამშობლოს ასეთ უმაგალითო მუსვრაზე ერთივ არ დაუკვნესია მის გულს, ფიქრათაც არ მოსვლია წასულიყო და შებრძოლებოდა მტარვალს, წასულიყო და გმირულათ მომკვდარიყო იქ, სადაც ეღუპებოდა მთელი სამეფო.

თითქმის ერთ თვეს დარჩა შაჰ-აბაზი კახეთში. ერთი თვის განმავლობაში იწოდა, იჟლიტებოდა და ფეხ-ქვეშ ითელებოდა მდიდარი ქვეყანა. წყდებოდენ კახნი

თავის ცოლშვილით, მაგრამ წყდებოდეს სპარსნიც. იაფათ არ დაუსვეს მტერს თავის დაღუპვა. უმწეო ხალხმა მრავალ ალაგას გამართა სიმაგრენი (სიგნახები) და იქიდან დიდ ზიანს აძლევდა მტრის გალაღებულ ლაშქარს. უკიდურესმა გამწარებამ კახნი აქცია გმირებათ და იბრძოდენ როგორც გააფთრებული ლომნი თავის ბუნაგში. მაგრამ ამოთ ჩაუარა ვაჟკაცობამ. დაფრთხალი, უთავბოლოთ დაბნეული, უსარდლო და უიარალო ხალხი აბარას გააწყობდა მტრის გააფთრებულ ჯართან, რომელსაც მეთაურობდენ გამოცდილი სარდლები და იყვენ აღჭურვილი საუკეთესო იარაღით, თოფებით, ზარბაზნებით და ზამბურაკებით!...

რაკი დარწმუნდა მძვინვარე შაჰ-აბაზი, რომ კახეთი მოისრა ერთიანათ, რომ მისი აღდგენა შეუძლებელია, თავის დიდი ლაშქრით გავიდა კახეთიდან. ის ნიემურებოდა საომრათ ოსმალთა წინააღმდეგ, რომელთაც ისარგებდეს შაის საქართველოში ყოფნით და შეესიენ სპარსეთს ასაკლებათ. კახელი თყვეები 150,000 ქალი და კაცი შაჰ-აბაზმა გაირეკა წინ და წინ.

- 61 -

საშინელება იყო ამ ტყვეების ბედი. ვერავითარი ენა და კალამი ვერ ასწერს იმ უსაზღვრო გაჭირვებას, რაც განიცადეს გზაში ამ შავდღეზე გაჩენილებმა! შიმშილი, წყურვილი, სიცივე, სიტიტვლე, დაქანცვა, სნეულება, ტკივილები, სპარსთა ჯარის მტარვალობა, ყველა ერთად შეზავდა მათ საკვდავათ და საწამებლათ... გამწარებული მშობლები კლავდენ თავის შვილებს, რომ არ ენახათ მათი შიმშილი და უსაზღვრო ტანჯვა; კლავდენ საკუთარ შვილებს და მათ გვერდით კვდებოდენ თვითონ ტანჯვაწამებით...

ქართველ ტყვეთა ორი მესამედი დაიხოცა შიმშილ-წყურვილით ამ გძელ მგზავრობაში. დანარჩენი კი გაიყიდა მონებათ, ერთი ნაწილი კიდევ დაასახლეს ყოვლად უვარგის ადგილებში, სადაც ციებამ და შიმშილმა მოულო ბოლო ამ ბედისგან განწირულთ. შიმშილის გამო ისინი სჭამდენ მიწას, დედიშობილა დაწანწალობდენ კარიდან კარზე და მათხოვრობდენ, მაგრამ ვინ იყო მათი გამკითხავი!... ტყვეთ წაყვანილმა თავადაზნაურებმა კი მი-

იღეს მამადის რჯული და ჩაეწერენ შაის ჯარებში. ქართველთა რიცხვი სპარსთა ლაშქარში ავიდა **30000 კაცამდი**; ამათში ბევრი იყვენ ქართლ-კახეთიდან კიდეც ადრე თავის ნებით წასულნი და შასევნათ ჩაწერილნი.

ქართველ ტყვეთა საშინელ ხვედრს აგვიწერს იმ დროს მათი მნახველი სპარსეთში მყოფი იტალიის ელჩი **პიეტრო დელავალე**. აი რას წერს იგი რომის პაპს:

— „საშინელი შედეგი მოყვა ამ საზარელ გადასახლებას. რამდენი სიკვდილი უსაზღრო გაჭივრებისაგან, რამდენის ჟლეტა, გახრწნა და ბილწვა სპარსთა ჯარისაგან, რამდენი ჩვილი ბავში დაარჩვეს მამებია თავისივე ხელით, ან ჩაყარეს წყალში, რომ არ უცქირონ მათ

- 62 -

ტანჯვას, რაკი ყოველ ღონეს იყვენ მოკლებულნი მათ საპატრონოთ! რამდენს ჟლეტდა გზა-გზა დაცვენილთ სპარსთა მხედრომა! რამდენი ბავში მოგლიჯეს მათ დედის ძუძუს და დაყარეს გზაზე მხეცთა შესაჭმელათ, ცხენთა, ჯორთა და აქლემთა ფეხქვეშ სასრესათ! ჯარი და მათი პირუტყვნი უწყალოთ გადადიოდენ გზაზე დაცვენილ მომაკვდავ ტყვეებზე. რამდენი ამ ტყვეთაგანი დააშორეს სპარსებმა მამა შვილს, ცოლი ქმარს, და ძმას და გაფანტეს შორს ქვეყნებში, ისე რომ ეს საბრალონი საუკუნოთ არიან იმედ დაკარგულნი, რომ ნახონ კიდეც ოდესმე ერთმანეთი! რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზე უფრო იაფათ. რამდენი სხვა ამისთანები ხდებოდა ღირსი სიბრალულისა, მაგრამ ყველას ვინ მოთვლის!... ქართველ ტყვეთა რიცხვი ისე დიდია, რომ დღეს აღარ მოიპოება არც ერთი სახლი მთელ სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა ქართველებით, კაცით თუ ქალით; აქ არ არის მისთანა დიდი კაცი, რომელიც არ ცდილობდეს, რომ ყველა მისი ცოლები იყვენ ქართველები, რადგან ქართველი ქალები არიან მშვენიერნი. თვით შაის სასახლე სავსეა ქართველი ქალებით და ვაჟებით“.

ყველას ეგონა, რომ კახეთი სამუდამოთ დაიღუპა, რომ მისი აღდგენა ამიერიდან შეუძლებელია, მაგრამ მოტყუვდენ. ქართველ ერს თან დაყოლილი აქვს სიცოცხლის საოცარი ძალა. ის ასე ადვილათ არ იღუპება. რო-

გორც ობოლი ვაზი უმაგრდება გაშმაგებულ ბორიოს, თუმც მის გვერდით იღუპება ძლიერი მუხა, ამ რიგათ ქართველი ერი უმაგრდება ისტორიულ გრიგალს, მის გვერდით კი ისპობა დიდი სახელმწიფონი. ისე მოუვიდა კახეთს.

- 63 -

გავიდა თუ არა კახეთიდან შაკ-აბაზი თავის ჯარით, მაშინვე გადმოვიდენ იმერეთიდან დავით ჯანდიერი, თამაზ ვაჩნაძე, დალი-მელიქი და მიეპატრონენ გაოხრებულ ქვეყანას. იმათ საჩქაროთ დააბრუნეს და დააბინავეს დაბა-სოფლებში მთებში გახიზნული ხალხი, გაამხნევეს, იწყეს მათი დახმარებით დანგრეულ ციხე-კოშკების აღდგენა. ხალხი მხნეთ შეუდგა მუშაობას და სახლ-კარის შენებას. გოგის ტბასთან იყო მისული შაკ-აბაზი, რომ მოუვიდა საოცარი ამბავი: **მისგან დაღუპული კახეთი კვლავ აღდგა და ცოცხალია.** ხალხი ჩამოვიდა ბარათ, შეუდგა მუშაობას და სოფელ-ქალაქთა აღდგენასო.

შაის გაბრაზებას არ ქონდა საზღვარი. მან საჩქაროთ გამოგზავნა კახეთში დიდი ჯარით თავის საკუთარი სიძე **ყორჩიბაში**, გამოჩენილი სარდალი. იდგა მკაცრი ზამთარი. არავინ ელოდა კახეთში ასე უცებ სპარსთა ჯარის შემოსევას. კახნი არ იყვენ მზათ საომრათ, არც ქონდა ახლა იმდენი ძალა ასე საზარლათ განადგურებულ ხალხს. სპარსეთის ჯარი მოედვა კახეთს ცეცხლით და მახვილით. მათ მისცეს ცეცხლის ალს გადარჩენილი და ახლათ აღდგენილი სოფლები, შეუდგენ ხალხის ხოცვას და დატყვევებას.

დაეით ჯანდიერმა და მისმა მომხრეებმა შეაგროვეს საჩქაროთ ხალხი მათი ცოლშვილით, ქონებით და გაგზავნეს მთებში შესაფარათ. მასთან მცირე რაზმით მოუდგენ მათ საფრათ. სპარსნი გამოეკიდენ სახიზნავათ გაქცეულ კახელთ, მაგრამ მეტმა ნაწილმა შეასწრო სამალავებში. მტრის უმთავრესი ჯარი გამოეკიდა იმ ხიზნებს, რომელთაც იფარავდა დავით ჯანდიერი თავის რაზმით. აქ იყო ხალხის მეტი ნაწილი. ამიტომ დიდ ალაფს ელოდა მტერი, მაგრამ მოტყუვდა. აქ მთის ვიწრო ადგილებში და-

- 64 -

ვით ჯანდიერი თავის მამაცი რაზმით ჩაუსაფრდა სპარსელ ჯარს. შეიტყუა მტერი ვიწროებში და ორის მხრივ მისცა ცეცხლი. ზეცის საშინელი რისხვა დაატყდათ აქ სპარსელთ. ასობით და ათასობით იჟლიტებოდნენ ისინი ქართველთა თოფისაგან და მახვილისაგან. სპარსთა საუკეთესო სარდლები დაიხოცა აქ. გააფთრებული ქართველნი დაერივნენ მტერს ხმალდახმალ და იწყეს მათი უწყალოთ ხოცვა. მტრის მუსვრა არ შეწყვეტილა დაღამებამდი. კახელებმა იძიეს შური. აქ მოუვიდა სპარსთ საშინელი მარცხი. დიდი ნაწილი მტრის ჯარისა გაწყდა ამ ბრძოლაში. მათი დიდი ალაფი დარჩათ ქართველებს.

იაფათ არ დაუჯდათ ქართველთ ეს საოცარი სიმამაცე. სპარსთა გამხეცებული ჯარი მოედვა ახლა მთელ კახეთს და უწყალოთ სპობდა ყველაფერს. მან მისცა ხელახლა ცეცხლის ალს სოფლები და ქალაქები, დაანგრია ციხე-სიმაგრენი, ნაცარ-ტუტათ აქცია ყველაფერი. მტრის ულმობელი მახვილი ერთრიგათ სპობდა ქალსა და კაცს, ყრმასა და მოხუცს. გამხეცებული სპარსნი გლეჯდნენ დედას შვილებს, ისროდნენ ჰაერში და ცდიდნენ მათზე თავის ხმლის მკვეთარებას. მშობლების თვალ წინ ისინი ხდიდნენ ნამუს ქალწულთ და ბილწავდნენ ჩვილ ყრმებსაც კი. ისინი წარმოადგენდნენ ნამდვილ ველურებს; ისინი გავდნენ ცოფიან ნადირთ. მათ არ იცოდნენ თუ რა იყო ადამიანური გრძნობა და შებრალება. ამ შავზნელ დროს მტრის მომხრე შეიქნა მთელი **დაღესტანი, ლეკნი**. ეს ყაჩაღი ხალხი ბრბოებათ მოეგვენ კახეთს, ცარცვავენ ქვეყანას და სპობდნენ მას, რაც გადარჩათ სპარსელთ.

მთელი ალაზნის ხეობა შეილება წითლათ ქართველის სისხლით. მთელ კახეთში უხვათ ეყარენ მკვდრები და მომაკვდავნი, მაგრამ სად იყო ჭირისუფალი! ვინ იყო

მათი მომვლელი და დამარხველი! მგლები, სვავეები და ყვავყორნები, — აი ვინ ჭირისუფლომდენ ამ ბედშავ ქვეყანას! მათი საშინელ ღმუილი და ჩხავილი გლოვის ზარით მოსდებოდა მთელ კახეთს. ეს ტურფა ედემი, ეს აყვავებული მხარე გაგონებდა ახლა ნამდვილ აკლდამას. შეწყდა კახეთის მაჯის ცემა. ულმობელმა მტარვალმა აქცია

იგი პარტახათ, მოსკო მასში სიცოცხლის ნიშანწყალი.

ახლა კი ასრულდა შაჰ-აბასის გულის წადილი. **იმის აზრით აღარ იყო კახეთი, აღარ არსებობდენ კახელები.** მან გასცა ბძანება, რათა მოერეკათ კახეთში თათრები და დაესახლებიათ დაცემულ ადგილებში, რომლებსაც ისინი იყვენ ჩვეულნი. კახეთის უფროსობა მისცა **ფეიქარხანს**, რომელსაც უბძანა, რომ დანარჩენი ადგილებიც გაეცხო **თათრებით**; გახიზნული ქართველნი კი ჩამოეტყუებია როგორმე მთებიდან სხვა და სხვა დაპირებით და მოესპო ერთიანათ.

ასე დამთავრდა ეს საშინელი ტრაგედია, რომლის ბადალი არ უნახავს ჯერ მსოფლიო ისტორიას!...

ეს უმაგალითო ამბები გლოვის სარივით მოედვა მთელ საქართველოს. ყველა გლოვდა კახეთის აოხრებას და განადგურებას. ამ დროს სპარსეთში იყო ერთი გადახვეწილი ქართველი, რომელც ყველაზე მეტათ სწუხდა კახეთის დაღუპვას. შაჰ-აბაზის სიმკაცრემ და სპარსთა ბარბაროსობამ შურისძიებით აავსო მისი გული. მან გადაწყვიტა სამაგიეროს გადახდა. შეფიცა თავის თავს საიდუმლოთ, რომ ძვირათ დაუსვას სპარსეთს ივერიის საუკეთესო ნაწილის ასეთი აოხრება. მან დაიფიცა აიზლოს ქართველის სისხლი. ის ეძებდა მარჯვე დროს და ეს დროც მალე დადგა.

ეს ქართველი იყო გიორგი სააკაძე.

9. თეიმურაზის კინკლაობა და შაჰ-აბაზის რისხვა.

როგორც ზევით ვთქვით, სპარსელი ჯარის მეორეთ შემოსვლაზედაც თეიმურაზი გაიქცა იმერეთს დიდი ამალით. მასთან თან და თან შეგროვდა მრავალი თავად-ზნაური, რიცხვით 12,000 კაცი. ამოდენა სტუმრის შენახვა მძიმე ტვირთათ დააწვა გიორგი მეფეს. ცოტა ხანს შემდეგ იმერეთში გაჩდა შიმშილი და თეიმურაზი თავის ჯარით იძულებული გახდა წვეოდა თავის სიმე **მამია გურიელს**. იმავე დროს მან გაუგზავნა დესპანები ოსმალს სულთანს, სთხოვა საცხოვრებლათ ადგილ-მამული და ჯა-

რი, რათა შესეოდა სპარსეთს და სამაგიერო გადაეხადა შაჰ-აბაზისთვის. სულთანმა შეიწყენარა თეიმურაზის თხოვნა, მისცა გურიის მეზობლათ მდებარე ადგილები და ქალაქები, **გონია, ოლთისი, არტანუჯი** და სხ., თან გაუგზავნა საკმაოთ დიდი ჯარი.

თეიმურაზი თავის ოჯახობით და კახელებით დასახლდა **ოლთისში**. აქედან თავის და ოსმალოს ჯარით ის შეესია სპარსეთის საზღვრებს, დაუწყო რბევა და ხალხის ჯლეტა. თეიმურაზი მიუახლოვდა ქ. **არდებილს**, სადაც იყო სეფიდთა დინასტიის სამარხი. მას სურდა ამ ქალაქის და შაის საგვარეულო აკალდამის დანგრევა, მაგრამ არ დაცალდა. სცნო თუ არა შაჰ-აბაზმა თეიმურაზის არდებილზე გალაშქრება, მაშინვე გამოსწია სწრაფათ მცირე ჯარით. როგორც კი გაიგო თეიმურაზმა თვითონ შაი მოდის ჯარითაო, მაშინვე მიანება თავი არდებილს და მოკურცხლა შინისკენ, თუმც სამჯერ მეტი ჯარი ყავდა ვინემ შაჰ-აბაზს. შაი გამოეკიდა, მოეწია უკანა ჯარს და საშინლათ დაამარცხა.

- 67 -

თეიმურაზი თავიდანვე ისე იყო დაშინებული შაისაგან, რომ მის ხსენებაზე მუდამ თავზარი ეცემოდა და იპყრობდა უსაზღრო შიში. ახლაც ასე მოუვიდა; ამ რიგათ არდებილი გადარჩა დანგრევას. შაი არ შეჩერდა ამ გამარჯვებით. მას სურდა სამუდამოთ აღმოეფხრა თეიმურაზის გულიდან სპარსეთში თარეშის ხუმტური დაა, თუ შეიძლებოდა, ჩაეგდო ხელში თვით თეიმურაზი თავის ცოლშვილით. მან უბძანა ერევნის ბეგლარბეგს **ამირგურიხანს**, რომ საკმაო ჯარით დასცემოდა ჩუმათ ოლთისს და შეეპყრა თეიმურაზი თავის ოჯახობით. ერევნის ხანმა შეასრულა შაის ბძანება, შეკრიბა ჯარი, საშინელ ზამთარში გადიარა მაღალი მთები და მიადგა ჩუმათ ოლთისს.

თეიმურაზი სრულიათ არ მოელოდა მტრის თავდაცემას, მეტადრე ამ უცნაურ ზამთარში. მან გაისტუმრა ოსმალოს ჯარი, გაუშვა აგრეთვე კახეთში თავის ჯარის მეტი ნაწილი და თვითონ გასწია სტამბოლში სულთანთან. ოლთისში კი დასტოვა ცოლშვილის პატრონათ ნოდარ ჯორჯაძე მცირე რაზმით.

ექვი არაა, ოლთისი გახდებოდა ამირგურიხანის

სხვერპლი და მასვე ჩაუვარდებოდა ტყვეთ თეიმურაზის ცოლშვილი, რომ ისინი არ ეხსნა თვით დედოფლის სიზმარს. წინა ღამით თეიმურაზის ცოლმა ნახა საოცარი სიზმარი. თითქო სპარსნი დაეცენ ოლთისს, მაგრამ დედოფალმა გაიგო დროით, აასწრო ციხეში და აქედან დაამარცხა მტერი. დილით გაიღვიძა თუ არა დედოფალმა, დაიბარა მაშინვე ნოდარ ჯორჯაძე, უამბო სიზმარი, უბძანა თავის ჯარსა და ამაღას ციხეში გამაგრება მტრის დასახვედრათ. ოლთელებმაც, რა ცვენეს ეს სიზმარი, იწყეს მაშინვე საომრათ მზადება და ქალაქის გამაგრება.

- 68 -

სპარსნი ღამით მიუახლოვდნენ ოლთისს და დილის რიჟრაჟზე აპირებდნენ უეცრათ ქალაქზე დაცემას, მაგრამ ამირგურიხანის გაცემას არ ქონდა საზღვარი, როცა ნახა ციხე-ქალაქი გამაგრებული და მცხოვრებნი საომრათ მომზადებული. მოხდა ცხარე შეტაკება. მძიმე მგზავრობით მოქანცულმა სპარსელებმა ვერ გაუძლეს კახთა და ოლთელთა ჯარის სიმამაცეს და დამარცხდნენ საშინლათ.

გაიგო ეს ამბავი შაჰ-აბაზმა; მისი გული აივსო ბრახით. მტარვალმა მაშინვე იყარა ჯავრი მძევლათ წაყვანილ თეიმურაზის შვილებზე. შაის ბძანებით ისინი დაასაჭურისეს. ამ ბარბაროსულ წამებას ვერ გაუძლო უმცროსმა ვაჟმა და მოკვდა ჯალათის ხელში. უფროსი ვაჟი კი შეიშალა ჭკუიდან.

თეიმურაზი დაბრუნდა ოლთისში, სადაც სცნო თავის ცოლ-შვილის სასწაულებრივ გადარჩენა სპარსთა კლანჭთაგან. მან გაგზავნა რუსეთში ელჩათ **მთავარ ეპისკოპოსი თეოდოსი და არქიმანდრიტი არსენი**, გაატანა მათ ვრცელი ეპისტოლე, რომელშიაც აბრალებდა თავს რუსის ხელმწიფეს, აუწყებდა შაჰ-აბაზის მტარვალობას, სწერდა თავის უბედურ მდგომარეობას, მეფე-მთავართა კარზე ღოწიალს და გაჭირვების გამო ოსმალეთში შეფარებას; ევედრებოდა მუხლმოდრეკით შველას და მფარველობას.

იმერეთში ყოფნის დროს თეიმურაზი დაუცხრომლათ უქადაგებდა კოლხიდის მეფესა და მთავრებს რუსეთთან შეერთებას, რუსის ხელმწიფის მფარველობაში

შესვლას. მისმა მხურვალე ქადაგებამ მოიტანა კიდეც ნაყოფი. მეფე გიორგიმ, გურიელმა და დადიანმა მისწერეს კიდეც მორჩილების ბარათი რუსის ხელმწიფეს და სთხოვეს მიეღო ისინი თავის მფარველობაში. იმავე დროს

- 69 -

თეიმურაზი ატყობინებდა ხელმწიფეს შაის მიერ კახეთის აოხრებას, სთხოვდა ჩარეულიყო მის საქმეში და ეკისრა შვამავლობა შაისთან, რათა მას გაეთავისუფლებია მეფე ლუარსაბი და მძევლათ წაყვანილი თეიმურაზის დედა და შვილები.

რუსის ხელმწიფემ შეისმინა თეიმურაზის კანონიერი თხოვნა, გაუგზავნა დესპანები შაჰ-აბაზს და შეუთვალა გაეთავისუფლებია ქართლის მეფე ლუარსაბი, ქეთევან დედოფალი და თეიმურაზის შვილები. ხელმწიფე სწერდა შაის, **ქართლ-კახეთი ჩემს მფარველობაშია და იმედია არ ჩაიდეს ჩემს საწყენ საქმესაო.**

რუსის ხელმწიფის ასეთმა შემოვლამ და ივერიის საქმეებში ხელის ფათურმა ბრაზით აავსო შაჰ-აბაზი, მაგრამ ცბიერმა დიპლომატმა შეიკავა თავი. მან მეტათ ზრდილობიანათ მიიღო რუსის ხელმწიფის ელჩები და აღუთქვა ყველაფრის ასრულება, ისე როგორც ხელმწიფეს სურდა, ამ რიგათ დაიმედებულნი გაისტუმრა ისინი რუსეთს. თვითონ კი სულ სხვა რიგათ შეუდგა საქმეს. შაიმ მაშინვე დაიბარა **ასტრაბადის ხანი**, რომელთანაც ყავდა მიზარებული მამადის რჯულზე მოსაქცევათ მეფე ლუარსაბი და როცა დარწმუნდა მისგან, რომ ლუარსაბ ისევ მტკიცე უარზეა, არ სურს უარყოს ქრისტეს მცნება და მიიღოს მუსულმანობა, მაშინ უბძანა ხანს მოკლას მეფე, რაც შეიძლება საჩქაროთ.

შაის არ უნდოდა ლუარსაბის სისხლი, მას სურდა მხოლოდ მისი გამუსულმანება და ისევ ქართლის მეფეთ დასმა, რომ ამ რიგათ მაინც გაეხადა იგი ერთგულათ და ხელი აეღებინებია რუსეთთან კავშირზე, მაგრამ ყოველივე ცდამ ამაოთ ჩაუარა და აჰა, გადაწყდა ლუარსაბის ბედი! ირანის კეთილდღეობისთვის უნდა დაღვრი-

- 70 -

ლიყო მისი სისხლი. მისვლის უმაღლვე ასტრაბადის ხანმა გაიტყუა ლუარსაბი, ვითომ და სათევზაოთ. მივიდენ მდინარესთან. ხანმა აიღო ზადე და განგებ ისროლა ცუდათ. ლუარსაბმა დაუწყო დაცინვა, გამოართვა ზადე, აიკრიფა ხელში და ის იყო უნდა ესროლა წყალში, რომ ამ დროს მის უკან იელვა ხმალმა სპარსელის ხელში, და ქართლის მეფის თავი ჩაგორდა მორევში *)... ეს თავი ხანმა მაშინვე მიაართვა შაის. ასე დასრულდა მეფე ლუარსაბის ნორჩი ცხოვრება! საქართველოს ეკლესიამ იგი შერაცხა წმინდათა შორის.

ამას შემდეგ მძვინვარე შაი შეუდგა ქეთევან დედოფლის წამებას. იგი შეეცადა ჯერ მიეღებინებია დედოფლისთვის მამადის სარწმუნოება, მაგრამ ყოველივე ცდა და დაპირება იყო ამაო. დედოფალი მტკიცეთ იდგა ქრისტეს რჯულზე და არაფრის დიდებით არ სურდა მისი უარყოფა.

ფირუზა ცა და სექტემბრის მშვენიერი დარი დატრფოდა ირანის ქალაქ შირაზს. ხალხით ივსებოდა ვრცელი მოედანი. აქვე მობმანდა შაი თავის ბრწყინვალე ამალით და დაბმანდა მისთვის გამართულ დიდებულ სევანზე. ცოტა ხანს შემდეგ ჯალათებმა მოიყვანეს ქეთევან დედოფალი. მისი მკრთალი სახე იყო აღბეჭდილი ზენაარი მშვენებით. მის ლმობიერ თვალებში კრთოდა სულის სიმტკიცე და ქრისტეს სარწმუნოების უსაზღვრო სიყვარული. აქ მის თვალწინ ახურებდენ შანთებს და მარწუხებს მის საწამებლათ, მაგრამ ქართველი დედოფალი იდგა მტკიცეთ და გამირულათ ელიდა ყოველივე ტანჯვას ჯვარ-

*) ზოგიერთის თქმით, შაის ბმანებით ლუარსაბი დაარჩვეს თოკით გულაბ-ყალის ციხეში 1622 წელს.

ცმულის გულისათვის. აქ არ ავწერ იმ საშინელებას, იმ უმაგალითო წამებას, რაც მიაყენეს ქართველ დედას და იშვიათ ადამიანს ირანის ბარბაროსებმა. ამ საზარელ სურათს მზერდენ რომის მისიონერები. ამ საშინელ სურათის ხილვით ცრემლით იღვროდენ ტყვეთ წაყვანილი ქართველნი. ეს საზარელი სურათი ბადებდა მათ გულში მტარვალთადმი უსაზღვრო ზიზღსა და შურის ძიებას. ამ საშინელ სურათს უცქერდა დიდი მოურავი. ის იდგა მოშო-

რებით უხმოთ გაშეშებული, როგორც შავი კლდის ქან-
დაკი, როგორც მრისხანე ანგელოზი. ვინ იცის რა სა-
შინელი ზღვა ღელავდა ამ დროს მის გულში!...

დაცხრა ჯალათთა მხეცი მარჯვენა. შეწყდა ბარბა-
როსული წამება. განისვენა სამარადისო ძილით ღვთაე-
ბრივმა დედოფალმა. მოკვდა წამებით მტარვალთა შორის
ქართველი დედა, მოკვდა ისე, რომ ერთიც არ დაუკვნი-
სია მის გულს; არც ერთი წყევლა და გმობა მტრისადმი
არ ამოსულა მის უმანკო ბაგეთაგან. კათოლიკე ბერებმა
დაკრძალეს ქეთევან წამებულის წმინდა ნაშთი და შემ-
დეგ გაუგზავნეს იგი მეფე თეიმურაზს. საქართველოს ეკ-
კლესიამ ეს იშვიათი ადამიანი შერაცხა წმინდათა შორის.

**კახეთის აოხრება, ლუარსაბ მეფის და ქეთევან დე-
დოფლის მოწამებრივი სიკვდილი, აი ის დიადი სხვერ-
პლი, რომელიც შესწირა საქართველომ ქრისტეს სარ-
წმუნოებას და უმთავრესათ რუსეთთან დაკავშირების სურ-
ვილს! აი ეს უმანკო სისხლი, რომელიც დაინთხა რუ-
სეთთან დაახლოვების საკურთხეველზე!...**

ჩაიდინა რა შაჰ-აბაზმა ზედიზედ ეს ორი საზარელი
საქმე, მისი არსება შეიპყრო ახლა უარესმა ფიქრმა: **მან
გადაწყვიტა მთელი ივერიის მოსპობა.** ის ამკარათ მზერ-
და, რომ რუსები აღარ ხუმრობდენ, ერეოდენ საქართვე-

- 72 -

ლოს საქმეებში, ამით კი დიდ საფრთხეში ვარდებოდა
მთელი სპარსეთი. ამავე დროს კახეთიდან მოსდიოდა არა
სანუგეშო ამბები: მისგან მოსპობილი ქვეყანა კვლავ
ახლდებოდა; მთებში გახიზნული ხალხი ბრუნდებოდა ბა-
რათ და საოცარი მხნეობით აშენებდა დანგრეულ სო-
ფელ-ქალაქებს, ქმნიდა ახალ ცხოვრებას. კახეთის ხალხი
მრავლდებოდა საოცარი სისწრაფით და უმკლავდებოდა
ფეიქარხანის ჯარებს.

ქართლიდან კიდევ უარესი ამბები მოსდიოდა შაის.
იქ იყო არეულობა დიდ მეზატონეთა შორის. მოკვდა
ქართლის მეფეთ დაყენებული ბაგრატ-მირზა, შაიმ მეფეთ
დანიშნა ბაგრატის შვილი **სვიმონი**, სუსტი, უნიჭო და
გამოუცდელი ჭაბუკი; მასვე დაუყენა გამგეთ და მზრუნ-
ველათ **გიორგი სააკაძე**, რომელიც არავითარ ყურადღე-
ბას არ აქცევდა ქართლის საქმეებს. პირიქით, სააკაძე

განგებ ხელს უწყობდა არეულობას, რადგან ამით სურდა დაემტკიცებია შაისთვის სვიმონ მეფის უნიჭობა და უვარგისობა. სააკაძეს უკვე ყავდა არჩეული სპარსეთში ქართლის მეფეთ შესანიშნავი კაცი, **ხოსრო მირზა**, დიდი სვიმონ მეფის ძმისწული. მაგრამ შაი განგებ არ აძლევდა მას ქართლის მეფობას, რადგან კარგათ იცოდა, რომ მის ხელში ქართლი გაძლიერდებოდა, ეს კი სრულებითაც არ სურდა შაჰ-აბაზს.

ყველა აბ მიზეზებმა შაი მიიყვანა იმ დასკვნაზე, რომ მოესრა ერთიანათ კახეთი, აყარა და გადაესახლება სპარსეთში მთელი ქართლი. ის შეუდგა მზადებას. ამავე დროს მან მოახდინა დიდი სამხედრო რჩევა, სადაც დაიბარა თავის საუკეთესო სარდლები, მათ შორის გიორგი სააკაძე, რომლის ერთგულობაზე დარწმუნებული იყო შაი. ირანის ლომი ვერ წარმოიდგენდა, თუ დიდი მო-

- 73 -

ურავი უღალატებდა მას და წინ აღუდგებოდა მის სატანურ განზრახვას. სააკაძე გააძევეს ქართლიდან, დაუპირეს სიკვდილი, წაართვეს ქონება, დაუწვეს სახლ-კარი. ერთათ-ერთი ბინა და თავშესაფარი მას ქონდა ახლა სპარსეთში, სადაც იგი, თავის გენიის წყალობით, გახდა პირველი კაცი და შეიძინა დიდი ქონება. ეჭვი არაა, ეს პირი ერთგული და სანდო იქნებოდა შაისთვის. მას ამიერიდან აღარ ეყვარებოდა საქართველო, რომ მისი სამშობლო დღეიდან იყო მხოლოდ სპარსეთი. ასე ბჭობდა შაჰ-აბაზი, მაგრამ სხვა რიგათ ფიქრობდა სააკაძე, რომელიც ცოცხლობდა მსოლოდ საქართველოსთვის, მისი გული ძგერდა ესდენ ტანჯულ საყვარელ სამშობლოსთვის. ამ დიად გრძნობებს მეტათ საიდუმლოთ მართვდა გულში ფრთხილი და აზიურ პოლიტიკაში გაწრვთნილი დიდი მოურავი. თავის საქციელით იგი ხიბლავდა შაჰ-აბაზს და აჩვენებდა თავს უერთგულეს კაცათ. და აჰა მოტყუვდა ცბიერი ყიზილბაში! ირანის ლომი გაება თავისივე გაბმულ მახეში.

მოხდა დიდი სამხედრო რჩევა. შაიმ ნათლათ დაუხატა სარდლებს სპარსეთის და საქართველოს ვითარება, აუწყა მათ თეიმურაზ მეფის საქციელი, აუხსნა თუ რა

მტკიცეთ დგას ქართლ-კახეთი თავის სარწმუნოებაზე, გა-
აცნო რუსთა ხელმწიფის პოლიტიკა და მისი ჩარევა სა-
ქართველოს საქმეებში, აუწყა თუ რა ხიფათში ვარდე-
ბოდა მთელი სპარსეთი რუსების ჩამოსვლით ამიერ კავ-
კასიაში. ამიტომ რა არის საჭირო ირანის კეთილდღეო-
ბისთვის? **უნდა გაწყდეს კახეთი; უნდა აიყაროს მთელი
ქართლი!...**

აი შაჰ-აბაზის აზრი და გადაწყვეტილება. მთელი
კრება აღტაცებით მიეგება შაის სატანურ განზრახვას. ახ-

- 74 -

ლა უნდა შეეკრიბათ დიდი ჯარები და საჩქაროთ შესე-
ოდენ ივერიას ერთიანათ მოსასპობათ. აქ ამ კრებაზე
წყდებოდა საქართველოს ბედი. ამიერიდან უნდა გამქრა-
ლიყო მთელი ივერია. მისი დამხობით კი ისპობოდა შემ-
დეგ საქართველოს სხვა ნაწილებიც, **კოლხიდა და მესხე-
თი**. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ამ დროს წამოდ-
გა ზეზე გიორგი სააკაძე. მან დინჯათ გადახედა კრებას
და მიმართა შაჰ აბაზს.

— „აზიის ბრწყინვალე მნათობო და მთელი ირანის
დიდო ბძანებელო! უსაზღროა შენი სიბრძნე და მიუწდო-
მელი შენი ზენაარი აზრები. ორთავიანი არწივი ჩაარ-
ჩობს თავის კლანჭებში ჯერ საქართველოს და შემდეგ
მთელს ირანს, თუ მან გზა იპოვა ამიერ კავკასიაში შე-
მოსასვლელათ. ამიტომ უნდა ემსხვერპლოს პატარა ერი
დიდ სახელმწიფოს, უნდა მოისპოს ივერია ირანის სა-
ბედნიეროთ. მაგრამ როგორ? ივერიაში ჯარის შესევით
ჩვენ ვერ მივაღწევთ მიზანს. ქართველთ არ დავიწყებიათ
შენგან კახეთის აოხრება. ამიტომ როგორც კი ცნობენ
ისინი სპარსეთიდან ჯარების დაძვრას, მაშინვე გახიზნავენ
მთებში თავის ცოლ-შვილს, დაიჭერენ ციხე-სიმაგრეებს
და გაამაგრებენ შესავალ გზებს. მოხდება დიდი ბრძოლა,
დაიღვრება დიდი სისხლი და მიზანს მაინც ვერ მივალ-
წევთ. ამის მაგალითია კახეთი, რომელსაც ემსხვერპლა
იმოდენა სპარსთა ჯარი. ბევრათ უმჯობესია ვეჩვენოთ
მათ მეგობრათ, ნელ-ნელა, ოსტატობით შევიყვანოთ ჯა-
რები ქართლ-კახეთში და დავიკავოთ სხვა და სხვა ხრი-
კებით ციხე-სიმაგრენი, დავიჭიროთ ხელმი მათი გასაქცე-
ვი გზები. ამ რიგათ მოვამწვდიოთ შუაში მთელი ხალხი,

მოფუსპოთ მათ გაქცევისა და დამალვის სახსარი. მაშინ ქართლ-კახეთის მოსრა, ან აყრა და გადასახლება მეტათ

- 75 -

ადვილი საქმეა. ამისთვის საჭიროა სვიმონ მეფეს ცოლათ შეერთოთ შენი შვილი-შვილი ყორჩიბაშის ქალი და დიდი ჯარიც გავაყოლოთ, ვითომ და მაყრათ, თან გაატანოთ დიდი ფეშქაშები თავად-აზნაურთა დასარიგებლათ. ამ რიგათ მოტყუვდება ქართლ-კახეთი. მათ ეგონებათ, რომ შენ მოყვრობა გსურს მათი და არა მტრობა. ცოტა ხანს შემდეგ გაგზავნით კიდეც ჯარებს, ვითომ და მისალოცათ. ამას შემდეგ კიდეც წავლენ ჯარები მისალოცავათ; გამართვენ ქართლში დიდ ლხინს, გამართვენ ალღუმებს. ამ დროს ნელ-ნელა ჩადგებიან ციხეებში და შეკრავენ გასაქცევ გზებს. აბას შემდეგ ივერიის ბედი გადაწყვეტილია: გინდ მოსპობთ ერთიანათ, გინდ აყრით და გადასახლებთ“.

ეს იყო სწორეთ ჯოჯოხეთური გეგმა. ამ გეგმამ ალტაცებაში მოიყვანა შაჰ-აბაზი და მთელი კრება. შაი გადაეხვია სააკაძეს, ჩაიკრა გულში და მისცა ჯილდოთ აურაცხელი ქონება. დიდი მოურავის ასეთმა ერთგულობამ მოხიბლა ირანის ლომი. ამრიგათ გაემა ბადეში აზიის პირველი დიპლომატი. ქართველმა გენიამ აჯობა ირანის გენიოსს. ქართველმა პატრიოტმა საოცრათ გააბრიყვა გაქნილი და გაიძვერა სპარსელი.

შაჰ-აბაზმა გასცა ბძანება. ყველაფერი შესრულდა იმ გეგმით, რაც მისცა მათ სააკაძემ. დაიბარეს სვიმონ მეფე, შერთეს ცოლათ ყორჩიბაშის ქალი, გადიხადეს სანაქებო ქორწილი და დიდის ამბით გაისტუმრეს ივერიაში, თან გააყოლეს მაყრათ დიდი ჯარი. შემდეგ ყველ ორ კვირაში მოდიოდენ ქართლში მრავალი ფეშქაშებით, ვითომ და მისალოცავათ, სპარსელი ჯარები საუკეთესო სარდლების მეთაურობით. ამ ჯარებს შაიმ გაყოლა სარდლათ და მრჩეველათ თვით გიორგი სააკაძე,

- 76 -

რომლის უფროსი ვაჟი პაატა თვითონ დაიტოვა მძევლათ.

სპარსთა ჯარებმა მოკლე ხანში დაიჭირეს ქართლის

ციხეები და გასახიზნი გზები. ამ რიგათ ხალხი მოამწყვდიეს შვაში. სპარსნი რგოლივით შემოეხვიენ მთელ ქართლს. ახლა კი მიხვდენ ქართველები თავის შეცდომას, მიხვდენ, რომ ყველა ეს ოინები, ქორწილი, ლხინ, ფემკაშები და აღლუმები იყო მოწყობილი მათ დასალუპავათ. ქართველები ეცენ სამალავ გზებს, მაგრამ ყველა ეს გზები ხელში ეკავათ სპარსელებს. ახლა ერთი ლა დარჩენოდათ მათ: **იარაღით ხელში ნამუსიანი სიიკვდილი**. საშინელმა ელდამ მოიცვა ივერია. ის აშკარათ მზერდა თავის განკითხვის დღეს, მზერდა მის კისერზე აღმართულ სპარსეთის ხმალს.

— **ან გამარჯვება აურაცხელ მტერზე, ან გამირული სიკვდილი ჯვრით და მახვილით ხელში!** აი ის აზრი, რამაც გაიელვა ქართველის გონებაში! აბობოქარდა მამადიანთა მღელვარე ზღვა; მუსლიმთა შავი ზვირთები შემოერთყენ ირგვლივ და უპირებდენ ჩანთქას მთელ საქართველოს. ამიერიდან უნდა მოსპობილიყო რუსეთთან დაკავშირების სურვილის გამო და ქრისტეს მცნებისათვის პაწაწა ერი. ამიერიდან უნდა გამქრალიყო ივერიაში ჯვრის ხსენება და ქრისტე აღდგას ლაღადება. ეს იყო ის უმაგალითო რისხვა, რომელიც მსოფლიო ისტოიის ჩარხის ტრიალმა მოუვლინა მრავალ ტანჯულ საქართველოს...

თუმც საშუალო საუკუნეებში ევროპამ წარმოშვა რამდენიმე ასიათასი **რაინდი ჯვაროსანი**, რომლებიც მედგრათ ებრძოდენ აზიაში თურქებს და სარკინოზთ ერუსალიმისა და წმინდა ჯვრის დასაცველათ, მაგრამ ნუ ავიწყდება იმავე დროს განათლებულ ევროპას, რომ

ამიერ კავკასიაში არსებობს ერი, რომელიც ათას წელს გამირული თავგანწირვით ებრძოდა ჯვრისა და ქრისტეს სარწმუნოების დასაცველათ მთელ მუსლიმს და მთელ აზიას; მის ფოლად გულზე საუკუნეთა სრბოლაში იმსხვრეოდა ბარბაროსთა ურიცხვი ტალღები, მარხცდებოდენ აზიის მტარვალები... **დაე იცოდეს მთელმა კაცობრიობამ, რომ ეს ჯვაროსანი ერი იყო პატარა საქართველო!**...

10. ივერიის გადარჩენა გიორგი სააკაძის მიერ.

1622 წელს მთელი ივერია გაივსო სპარსელი ჯარით. ქართლ-კახეთის ყველა სიმაგრენი და გასაქცევი გზები დაიკავეს ხელში. ქართველები გაებნენ მახეში. მათ შემოეხვია ირგვლივ და უპირებდა ჩანთქას მოყვრის ნიღამათ მოვლენილი მტერი. ვინ იყო მათი ქომაგი და დამხმარე ამ საშინელ დროს! კახეთი იყო თითქმის ერთიანათ განადგურებული, უმეფოთ და უპატრონოთ დაგდებული. შიდ თარეშობდენ სპარსნი ფეიქარხანის მეთაურობით. არა უკეთეს სურათს წარმოადგენდა ქართლიც. მას ძირს უთხრიდა შინაგანი მტერი. უმეფობამ წახსნა აღვირი სხვილ ფეოდალებს, რომლებიც დაერიენ ერთმანეთს მშვიერი მგლებივით. გამდიდრების და განდიდების მადასურვილი აღვიდა მათში უმაღლეს წერტილამდი. ისინი ეცემოდენ ერთმანეთს თავის რაზმებით, ართმევდენ ყმა და მამულს, ღვრიდენ უხვათ ძმათა სისხლს. ისინი არ უდებდენ თავს შაის მიერ დაყენებულ ბაგრატიონთა გვარის მამადიან მეფეთ და თარეშობდენ თავისუფლათ. ასეთ ანარქიას განიცდიდენ ქართლი და კახეთი,

- 78 -

როცა მათ თავს დაატყდა ეს უუდიდესი რისხვა. ისინი მიხვდენ, რომ დადგა მათი დაღუპვის წუთი, რომ ამიერიდან უნდა გაწყდენ ერთიანათ და აღიგავონ ქვეყნის პირიდან. ეს იყო ენით წარმოუთქმელი საბედისწერო ჟამი, რომლის მზგავსი ბედშავ ქართველ ერს არ განუცდია თავის ტრაგიზმით სავსე ისტორიაში. ქართველნი ეცენ სამალავებს, რომ გაეხიზნათ მაინც ცოლ-შვილი, მაგრამ ამაოთ. ყველა გზები დაკავებული ქონდათ სპარსებს. უსაზღრო სასოწარკვეთილებაში ჩავარდა უმწეოთ დარჩენილი ერი, მაგრამ ღმერთმა არ მოიძულა იგი. განგებამ მას მოუვლინა მხსნელი, რომელმაც სასწაულებრივ გადაარჩინა იგი დაღუპვას და დაუმარცხა შემოსეული მტერი. მთელი ივერიის და მით მთელი საქართველოს მხსნელი შეიქნა სამშობლოდან გაძევებული, მაგრამ სამშობლოსათვის თავდადებული გიორგი სააკაძე.

ჯერ ისევ სპარსეთიდან დიდმა მოურავმა ფრიად სა-
იდუმლოთ აუწყა ზაქარია კათალიკოსს ჯარის სპარსეთიდან
შემოსვლის მიზანი და თავის იდუმალი განზრახვანი ქვე-
ყნის გადარჩენის შესახებ. მოვიდა თუ არა საქართვე-
ლოში, სააკაძემ საიდუმლოთ ნახა **ზაქარია კათალიკოზი,
მირმანოზ წილკნელი ეპისკოპოზი, ზაზა ციციშვილი,
დავით ჯანდიერი, თამაზ ვაჩნაძე** და სხვა საუკეთესო
მამულიშვილნი, გამართა მათთან ერთათ შეთქმულო-
ბა სპარსთა წინააღმდეგ. ამ შეთქმულობის სულის ჩამ-
დგმელი შეიქნა თვით სააკაძე. შეთქმულთა პირით მან
გამხნევა შეშინებული ერი, მისცა ხსნისა და გადარჩენის
იმედი. აფრთოვანდა სულით დაცემული ხალხი. ამიერი-
დან მას აღარ ეშინოდა მრისხანე მტრის. მისი ქომაგი
იყო თვით დიდი მოურავი.

ამ დიადი საქმის სისრულეში მოსაყვანათ სააკაძეს

- 79 -

ყველაზე უფრო ეჭვირებოდა ერთი კაცი, ეს იყო **ზუ-
რაბ ერისთავი**. გიორგის შემდეგ ის იყო მთელ საქართ-
ველოში უპირველესი ვაჟკაცი და სარდალი. სააკაძის
შემწეობით ნუგზარის სიკვდლის შემდეგ შაიმ მას მისცა
არაგვის ერისთავობა. ზურაბს ქონდა დიდი გავლენა მთის
ქართველებზე, მას ადვილათ შეეძლო მოეყვანა საომრათ
და ქვეყნის სახსნელათ მთის არწივნი, **თუმ-ფშავ-ხეცსუ-
რნი** და მართლაც ივერიის ხსნა პირველათ ამათგან
უნდა დაწყებულიყო. ისინი იყვენ მტრის რგოლის გა-
რეშეთ. ამიტომ ამ მთის ქართველებს ზურაბის სარდ-
ლობით უნდა დაეწყოთ პირველი ომი შემოსეულ მტრის
წინააღმდეგ.

აი ამ თავის ცოლის ძმას, შვილივით გაზდილ
ზურაბს მიმართა დიდმა მოურავმა. ზურაბ იყო იმ დროს
ტიპიური ქართველი მებატონე თავის ნაკლით და ღირ-
სებით. დიდ ვაჟკაცობასთან და იშვიათ სამხედრო ნიჭ-
თან მას ქონდა შეთვისებული უსაზღრო პატივმოყვარე-
ბა და განდიდების სურვილი. მას არ ამოდრებდა მა-
მულიშვილური გრძნობა, ე. ი, სამშობლოს სიყვარული
და ქვეყნისთვის თავგანწირვა. ის იყო ვიწრო ეგოისტი,
პირადი ინტერესებით გაჟღენთილი ადამიანი. იგი მზათ
იყო თავის პირადობისთვის შეეწირა მთელი საქართვე-

ლო. გიორგის წყალობით ზერაბ შეიქნა მაჰ-აბაზთან მეტათ დაახლოვებული პირი და დადი საჩუქრებით დაჯილდოებული. შაისავე წყალობით, უფროსი ძმის ნაცვლათ ის გახტა არაგვის ერისთავი. ეს შაის წყალობა და დიდი ამაგი ახსოვდა ზურაბს. ის იყო შაის ერთგული. ამიტომ სპარსთა დალატის საქმეში არასდროს არ გაერეოდა იგი. პირიქით, ის დაგმობდა შაის მოლალატეს, ადვილათ გაამხელდა ამ საიდუმლო შეთქმულებას

- 80 -

და მით დაღუპავდა მთელ საქმეს. ეს კარგათ იცოდა სააკაძემ. მიუხედავად ამისა მან მიმართა ამ ფრიად უნდო და საშიშარ კაცს.

საკაძემ და ზურაბ ერისთავიც იყვნენ მტრის უმთავრეს ბანაკში სამუხრანოში. ორივეს ეხვია ირგვლივ სპარსელი ჯაშუშები და დიდი სიფრთხილით ადევნებდნენ თვალ-ყურს მათ მოქმედებას. ერთ დღეს გიორგიმ დაიბარა ჩუმათ თავის კარავში ზურაბ, მეტათ ფრთხილათ და საიდუმლოთ გაანდო მას შეთქმულობა, სთხოვა მონაწილეობის მიღება ამ დიდებულ საქმეში. სააკაძემ გაახსენა ზურაბს მაჰ-აბაზის სატანური აზრი და გადაწყვეტილება, დაანახა აურაცხელ მტრის შემოსევა, მათ მიერ ყველა სიმაგრეთა დაჭერა, დაუხატა ივერიის უნუგეშო მდგომარეობა, მისი სიცოცხლის უკანასკნელი წამი.

„ნუ თუ უნდა გაოხრდეს მთელი ქართლ-კახეთი?! ნუ თუ უნდა მოისპოს საუკუნოთ ქართველი ერი?! ნუ თუ საქართველოში უნდა აღმოიფხრას ქრისტიანობა?! ნუ თუ მშვენიერსა და მამაც ქართველთა ნაცვლათ ჩვენს ტურფა ქვეყანაში, ჩვენი წინაპრების სისალით მორწყულ სამშობლოში ამიერიდან უნდა დაბინავდნენ ურჯულონი, მურდალი სპარსნი, ეს ჩვენი ერის დაეძინარი მტერი?! ნუ თუ ჩვენ თვალწინ უნდა მოხტეს ეს საშინელება და ჩვენ ამ დროს ხელდაკრეფილი უნდა ვისხდეთ მტრის ბანაკში, უნდა შევცქეროდეთ ამ საზიზღარ უმაგალითო ამბებს?! ამას შემდეგ რაღათ ვატარებთ ქართველის სახელს! რაღათ გვკიდია წელზე ხმალი და გულზე ჯვარი, ეს ნიშანი ქრისტიანობისა! ან რა პირით უნდა წარუდგეთ საიქიოს ჩვენ დიდებულ წინაპრებს, რომელნიც გამირულათ ებრძოდნენ ათას წლობით მძვინვარე მუსლიმს,

შეირჩინეს სამშობლო და სარწმუნოება! რა პასუხი უნ-

81 –

და მიეცეთ მათ, როცა გვეტყვიან: — ჰეი თქვენ, მოლა-
ლატენო! რათ დაღუპეთ ქართველი ერი, ქრისტეს სჯუ-
ლი და ღვთის მშობლის წილათ ხდომილი ქუყანაო?!
ზურაბ, იცოდე ჩვენი სული ვერ მოისვენებს ვერც სა-
აქაოს და ვერც საიქიოს! ამიერიდან ჩვენ შუბლზე ეწე-
რება ერის ღალატი... ეს ზურაბ, ჩაუკვირდი ამ სიტყვებს!
ნუ გავხთებით წყევლის ღირსნი! ნუ შევიქნებით ქვეყნის
მოღალატენი!... ნე დავღუპავთ საქართველოს!...

ეს მხურვალე სიტყვები მოსჩქეფთა სააკაძის გულის
სიღრმიდან. ამ ძლიერმა სიტყვებმა ააღელვეს გულქვა
ზურაბი. ქუხდა დიდო მოურავი ამ მწვავე ხმებით და
სტიროდა ზურაბ ერისთავი. უგრძნო ვაჟკაცი ღვრიდა
მწარე ცრემლებს. მის გაქვავებულ გულში ჩაისახა აქამ-
დი უცნობი ძლიერი გრძნობა, ეს იყო სამშობლოს სი-
ყვარული...

ზურაბმა გაუშვირა ხელი სააკაძეს და თვალცრე-
მლიანი ჩაეკრა გულში.

„გიორგი, თუ ეს საქმე გქონდა ფიქრათ, რატომ
სპარსეთშივე არ მაცნობე, მაშინ არ დავტოვებდი იქ ჩემ
ცოლს. მხეცი შაჰ-აბასი ხომ წამებით მოკლავს იმ საბრა-
ლო ქალს! სომ ჩავარდი მის ცოდვაში!“

„ადრე გამხელა, სპარსეთშივე თქმა შეუძლებელი
იყო, ჩემო ზურაბ, იქ კედელსაც კი ყურები ესხა; გაგვი-
გებდენ ამ საქმეს და ჩაიშლებოდა ჩვენი გეგმა. შენ
ცოლს სწირავ, ჩემო ზურაბ, მე კი ჩემს საყვარელს, ჩემს
პირმშო შვილს, ჩემს პაატას, რომელიც ცბიერმა შაიმ
მომგლიჯა გულიდან და დაიტოვა მძევლათ. შენ მეორე
ცოლს ადვილათ იშოვი, მე კი ვერავინ დამიბრუნებს
ჩემს საყვარელ შვილს... მაგრამ გავიმაგროთ გული, ძვირ-
ფასო ძმაო! ჩავიდინოთ გმირობა; შევწიროთ სამშო-

- 82 –

ბლოს ცოლი და შვილი; საქართველო ბევრს მაგათთანას
წარმოშობს, ისინი კი ვერ წარმოშობენ საქართველოს!...“

ზურაბ მაინც კოკმობდა და სწუხდა ცოლის დატო-

ვებას. მაშინ სააკაძემ მიმართა ზურაბს და გაუტარა სხვა გვარი სიტყვა:

„ზურაბ, ნუ სწუხარ ძმაო! შეეჩვიე ამ საშინელ აზრს; იმედს ნუ გადიწყვეტ! შენ ახლა ისეთ პირობაში ხარ, რომ უფრო სხვა ქალი გეკადრება ცოლათ. შენ ახლა უპირველესი ერისთავი ხარ მთელ საქართველოში, შენ ღირსი ხარ თვით მეფის მოყვრობის. დამშვიდდი, მე მოვაწყობ ისე, რომ შეგერთავ ცოლათ ლუარსაბის დას ელენეს, შაჰ-აბაზის ნაცოლარს, ფეიქარხანის შეუღლდეს, ხომ გესმის, ზურაბ! ამით შენ გახთები ქართლის სამეფოს მემკვიდრეთ“...

ამ სიტყვებმა ელექტრონივით იმოქმედა ზურაბზე და მოაღბო მისი გული. ის ხელმეორეთ გადაეხვია სააკაძეს, შეფიცა ერთგულობა და სრული თავდადება ამ დიდ საქმეში. ამ დღიდან ორივე მეგობარი მხნეთ შეუდგენ ქვეყნის ხსნას და მტრის დამარცხებას. მეორე დღესვე ზურაბ წავიდა არაგვის ხეობაში და ოსტატურათ შეუდგა საქმეს.

საკაძის ასე ფრთხილათ დაწყებული საქმე არ დარჩა საიდუმლოთ ცბიერ შაჰ-აბაზს; მან შეიტყო ყველაფერი და საიდუმლოთ მოსწერა თვის ჯარების უფროს ყორჩიხანს, მოეკლა ჩუმათ დიდი მოურავი, შესდგომოდა საჩქაროთ კახეთის მოსპობას, ქართლის აყრას და გადასახლებას. რაღაც განგებით ეს შაის წერილი ხელში ჩაუვარდა თვით სააკაძეს, რომელმაც ნადირობის დროს ლოჭინოს მინდვრებში შეიპყრო სპარსეთიდან სწრაფათ მომავალი შიკრიკი, უნახა ეს ბარათი და, რა სცნო ყველაფერი, მო-

კლა იგი და იქვე ჩამარხა მიწაში; თვითონ კი საჩქაროთ შეუდგა საქმეს.

დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. შაიმ უკვე იცოდა მისი შეთქმულობა. ხვალ-ზეგ შაჰ-აბაზი პირველ შიკრიკს დაადევნებდა მეორესა და მესამეს. ამ რიგათ ჩაიშლებოდა მთელი მისი დაწყებული საქმე. სააკაძემ გააქროლა ცხენი, ჩამოუარა უმთავრეს შეთქმულებს, აუწყა მათ საქმის ვითარება, დაუხატა თავის გეგმა და მისცა პაემანი. ეს იყო 25 მარტი. ხარება დღეს სისხამ დილაზე უნდა დასცემოდა მტრის მთავარ ბანაკს სამუხრანოში ზურაბ

ერისთავი თავის მთის არწივებით, თუმ-ფშავ-ხევსურთა და არაგველთა ჯარით. აქვე ენდა მოშველებოდენ მათ ზაზა ციციშვილი და ქართლის სხვა შეთქმულნი თავის რაზმებით. სპარსთა მთავარ ჯარის დამარცხებას შემდეგ ქართველთ უნდა აეღოთ მტრის მეორე ბანაკი მცხეთს სიახლოვეს, შემდეგ თფილისი და იმ დღესვე უნდა დასცემოდენ მარტყოფს, სადაც იდგა სპარსთა დიდი ჯარი ფეიქარხანის სარდლობით. აქ ქართველთ უნდა მოშველებოდენ დავით ჯანდიერი და თამაზ ვაჩნაძე კახელთა ჯარით. ამ ერთ დღეს დიდ მოურავს უნდა მოესრა მტრის მთელი ლაშქარი, რომელიც განგებ დაქსაქსა რამდენიმე ალაგას, რომ დაესუსტებია იგი და უფრო ადვილათ გაეჟლიტა.

ამიტომ იყო, რომ სააკაძემ მისცა შაის ისეთი გეგმა. მან კარგათ იცოდა, რომ ერთათ შეჯგულულ სპარსთა მძლავრ ლაშქარს ვერ დაუმადრდებოდა ქართლი და ის დღე დაადგებოდა, რაც დაადგა კახეთს; მასთან ქართლელნი მაშინვე ეცემოდენ სამალავებს და მტერს არც დაუწყებდენ ბრძოლას. გიორგის კი სურდა ერთი დაკვრით მიწასთან გაესწორებია მტერი, ეძია შური და საუ-

- 84 -

კუნთ ადმოეფხრა შაჰ-აბაზის მულიდნ ივერიის ქილ

შეთქმულნი სწრაფათ შეუდგენ მზადებას, რადგან ქონდათ მიცემული მხოლოდ სამი დღის ვადა. სააკაძე დაბრუნდა მტრის მთავარ ბანაკში. ამ დროს გავარდა ხმა, თემურაზ მოდის საომრათ რუს-იმერთა დიდი ჯარითო. ამ ამბავმა მეტათ შეაფრთხო და ჩააფიქრა სპარსეთის ჯარები. ეს ხმები განგებ გაავრცელა სააკაძემ, რომ შიში შეეტანა მტრის ლაშქარში, თანაც დაავალა ზურაბ ერისთავს თავდასხმის დროს შორიდან ეყვირათ ბლომათ ბუკები, რომ სპარსელთ გონებოდათ ეს თეიმურაზის ლაშქარი; ბევრი ბუკი ნიშნავდა დიდ ჯარს.

შუალამეს გადასცილდა. გათენებამდი იყო მხოლოდ ორი საათი. მთვარე ეფარებოდა გოროზათ აშვერილ მთემს და ეთხოვებოდა მძინარ ბუნებას თავის ციატი სხივებით. სდუმდა არემარე, მხოლოდ ამ დუმილს არღვევდა მოუსვენარი არაგვი, რომელიც გიჟმაჟათ მიაგორებდა თავის

ზვირთებს. ტკბილათ ეძინა სპარსთა ლაშქარს სამუხრანოს ველზე. სთვლემდენ გუშაგნი. მხოლოდ ერთ მდიდრულ კარავში არ ეძინა ხუთ კაცს. ჯუბა-ჯავშნით იარაღში ჩამხსდარნი ეს ხუთი გმირი სიბნელეში სულგანაბული ელოდა განთიადს. ისინი გულის ფანცქალით მიჩერებოდნენ ჩრდილოეთს და უცდიდენ რაღაც ნიშანს. აჰა, ამოვიდა კიდეც ცისკარი და იწყო კაშკაში! ცოტა ხანს შემდეგ ამოჰკრა დილის ნიაგმა. არ ჩანდა ნიშანი; არ ისმოდა ბაიბური. მხოლოდ დრო გამოშვებით ამ სიჩუმეს არღვევდა ჭოტის სევდიანი ძახილი.

„ნუ თუ გვიღალატა ზუჩაბმა?! აგერ გათენებამ მოატანა... სად არიან ამდენი ხანი? უკმაყოფილოთ წაიწუნა გიორგიმ.“

-85 -

„მოვლენ, მამილო, უსათუოთ! ცოტა შევიცადოთ.“
უთხრა ჭაბუ ჩა და მოეხვია მამას.

ვინ იყვენ ესენი? ესენი გახდათ გიორგი სააკაძე და მის მიერ არჩეული ოთხი საუკეთესო ვაჟკაცი: **პაპუნა ვაშაყაშვილი, ელია დიასამიძე. პაატა ხერხეულიძე, და** თვით სააკაძის 18 წლის ვაჟი **ავეთანდილი**. ესენი ყავდა ნაცადი დიდ მოურავს მრავალ ომში, ამიტომ იმდენ მხედრებში მხოლოდ ესენი აირჩია სააკაძემ. ამ ოთხი კაცით უნდა დარეოდა სააკაძე მტრის სარდლებს და გაეწყვიტა ისინი. ეს იყო საბედისწერო ჟამი. ერთი ფიორი შეგვიანება, ოდნავ გონს მოსვლა მტრის ლაშქრისა სრულიად დაღუპავდა საქმეს, დაღუპავდა მთელ საქართველოს. აქ სამუხრანოში ამ ხარება დილას წყდებოდა საქართველოს ბედი: **ან მტრის დამარცხება და სრული თავისუფლება, ან სპარსთა გამარჯვება და მთელი ივერიის ამოჟლეტა.**

საქართველოს მომავალი ეკიდა ბედის სასწორზე

აჰა, შეფერადდა ცა, მოატანა დილის რიჟრაჟმა! ამ დროს მოისმა შორს ბუკის ხმა. ეს ხმა თან და თან ახლოვდებოდა და გუგუნით ეფინებოდა მიდამოს. შეტორტმანდა ხუთი მამაცის გული. სიხარულის ელფერი მოედვათ სახეზე.

„ზურაბია, ზურაბი თავის მამაცი ჯარით!“ შესძახა დიდმა მოურავმა და წამოვარდა ზეზე. — „ახლა კი დადგა, შაჰ-აბაზო, წამი შურისძიებისა! დღეიდან შენ გაი-

გებ, თუ რას ნიშნავს ქართველი ერი, შენ უმზადებდი მას სიკვდილს, ტყვეობას, გაჟლეტას, მაგრამ არა! გაწყდება შენი ჯარი, მოისპობა ოდესმე მთელი ირანი, პატარა საქართველო კი დარჩება ისევ ცოცხალი. მის გვერდით დაიმსხვრენ დიდი იმპერიები, გაწყდენ მტარვალნი, ქართველი ერი ისევ ცოცხალია და იცოცხლებს საუკუნოთ“...

- 86 -

საკაკაძემ მოიხადა ქუდი და დაიჩოქა, მას მიბაძა ოთხივე ვაჟკაცმა.

„ძლიერო ღმერთო, შენ შეიბრალებს ესდენ ტანჯული საქართველო! შენ იხსენ იგი ამ საშინელ ხიფათისაგან! შენ მომადლე მას გამარჯვება! ღვთის მშობელო ქალწულო, შენ მიაპყარ მას შენი მოწყალე თვალი! ნუ გასწირავ შენს წილათ ხდომილ უბედურ ივერიას! ნუ გაახარებ ქრისტეს მტერს! შენ იხსენ დალუპისაგან შენი მოსავი ერი!“... დადადებდა მხურვალეთ და ხელაპყრობით დიდი მოურავი; თვალთაგან სდიოდა ცრემლი.

— „ძმებო! — მიმართა მან თავის გმირებს, — დადგა განწირვის დღე... **ან სიკვდილი, ან გამარჯვება!**... მოზღვაებულა მტერი, ის უპირებს ჩანთქას ჩვენს ტანჯულ სამშობლოს. დღეს ჩვენა ვართ მისი პატრონი. დღეს ჩვენ გვარგუნა ღმერთმა მისი ხსნა და მფარველობა. გალაღებული მტერი დანავარდობს ყოველ კუთხეში და უპირებს გაჟლეტას ჩვენ ხალხს. გამხნევდით ძმებო! სამშობლოს სიყვარულმა შთაგბეროთ გმირული სული! ნუ შეგაშინებთ მტრის სიმრავლე! **ან მოგვკვდეთ ჩამუსიანათ, ან მოუპოვოთ ტანჯულ სამშობლოს სანეტარო თავისუფლება!** ძმებო, დროა მოქმედების! მომყევით!... **სიკვდილი მტარვალთ!**“ შესძახა სააკაძემ მგრგვინავი ხმით და იძრო ხმალი.

ამ დროს შემოვარდა კარავში სპარსელი შიკრიკი.

„დიდო მოურავო, ყორჩიხანი გიბარებს ჩქარა...“

ძლივს წარმოსთქვა სპარსმა გულხეთქებით.

გიორგი და მისი ოთხი ამხანაგი სწრაფათ შესხდენ იქვე შეკაზმულ ცხენებზე და გაეშურენ მთავარ სარდლის კარავისკენ, სადაც თავი მოეყარათ კიდევ ყველა სარდლებს და გაფითრებული შეცქეროდენ ერთმანეთს.

თენდებოდა. ნელ-წელა ქრებოდა ბინდი. ათასი ბუკ-ნადარის მჭექარე ხმა თანდათან ახლოვდებოდა და საშინელი გრიალით ედებოდა ტყესა და ველს. ეს შემზარავი ხმა შიშისზარს სცემდაა მტრის ლაშქარს.

— „ეს რა ხმაა, გიორგი! მისვლის უმაღლვე მიაძახა ყორჩიხანმა.

„ეს ის ხმაა, რომ დადგა ჟამი შურისძიებისა! დადგა ჟამი სპარსთა გაჟლეტისა და საქართველოს თავისუფლების! სივდილი მტარვალთ!“ ლომივით დაიგრგვინა დიდმა მოურავმა, იქრო შუბი და გაუყარა გულში ყორჩიხანს. მტრის მთავარსარდალი დაეცა მკვდარი. ხუთივე გმირი მახვილით ხელში ემგერენ სპარსეთის სარდლებს და გაავლეს მუსრი. ერთ წუთს შემდეგ ისინი დაერივნ მტრის ზარდაცემულ ლაშქარს და იწყეს მათი უწყალოთ ჟლეტა. ამ დროს მოვიდა მაშველი ჯარიც ზურაბ ერისთვის სარდლობით. როგორც მშიერი ლომნი, თუშ-ფშავ-ხევსურნი საშინელი ყიჟინით დაესიენ მტერს. შეიქნა გულსაზარი ჟლეტა. ქართველის ხმალი თვრებოდა სპარსელის სისხლით. დიდი მოურავის და ზურაბ ერისთვის ერთი შეტევით იფანტებოდა მტრის დასტები, მათ მახვილის წინაშე გარბოდენ ისინი გულის ხეთქებით.

ამ დროს მიეშველენ ქართველებს თეიმურაზ მუხრანბატონი, ზაზა ციციშვილი და სხვა თავადები თავის რაზმებით. ისინი შემოერთყენ მტრის ბანაკს, შეუკრეს გასაქცევი გზა და იწყეს სპარსთა უმაგალითო ჟლეტა. ყველაფერი ხდებოდა სააკადის მიერ წინ და წინ განსაზღვრული გეგმით. ზეცის რისხვა დაატყდა თავზე ირანის ლაშქარს ამ ხარება დილას. ქართველის მახვილი უმოწყალოთ ჟლეტდა სპარსელთ. დაფრთხალი მტრები შიშის გამო ვერ ცნობილობდენ და ხოცდენ ერთმანეთს.

კიდევ ერთი საათის ხელჩართული ბრძოლა და გაწყდა ერთიანათ მტერი. მხოლოდ რამდენიმე კაცმა ძლივს უშველა თავს გაქცევით, გადარჩენ სიკვდილს და ტყვეობას. მტრის მთელი ბანაკი და აუარება სიმდიდრე დარჩა ჯილდოთ გაბრუებულ ქართველთ, რომელნიც სიხარუ-

ლით ეხვეოდენ ერთმანეთს და ულოცავდენ გამარჯვებას.

გიორგიმ ცოტა ხნით დაასვენა აქ თავისი ჯარი და შემდეგ გაემართა მცხეთისკენ, რის სიახლოვეს ახლათ აგებულ ციხეში იყო გამაგრებული სპარსელი ჯარი. სააკაძემ მიიტანა იერიში ციხეზე, ერთი საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღო იგი და გაჟლიტა სპარსნი. აქ მოხთა ერთი საოცარი რამ: როცა სააკაძე ბრძოლაში იყო გართული, უკანიდან მიეპარა მას ერთი ახალგაზდა სპარსი, მიაძახა: „მოკვდი, მოღალატევ!“ და მოუქნია ხმალი. ერთი წამი და უდიდესი გმირი უნდა გამხდარიყო მტრის სითამამის სხვერპლი, მაგრამ ამ დროს იელვა უცებ ხმა-ლმა ჭაბუკ ქართველის ხელში და სპარსელის თავი გაგორდა ძირს, თან მიაძახა: — „მამაჩემმა მოკლა მამაშენი და მე ჩემს ძვირფას მამას მოგაკლევინებდიო!“ სპარსელი იყო ყორჩიხანის შვილი **იმამ ვერდი**, ქართველი კი სააკაძის 17 წლის ვაჟი **ზურაბი**.

აქედან დიდი მოურავი მიაღვა **თფილისს**, აიღო ყველა ციხე, წარიყალას გარდა, ჩააყენა მათში თავის მცველები, შევიდა თფილისში, გაჟლიტა სპარსნი და ბევრიც დაატყვევა. სვიმონ მეფემ მოასწრო გაქცევა. დიდათ გამაგრებულ წარიყალას ციხეს სააკაძემ შემოარტყა ალყა. ეს მაგარი ციხე უნდა აღებულიყო უწყლობით, მაგრამ თფილისში გაჩდა ორი მოღალატე, რომელთაც დიდი სამსახური გაუწიეს მეციხოვნე სპარსებს და მით დააბრკოლეს ციხის აღება. ეს მოღალატენი

- 89 -

იყვენ თფილისის მოქალაქე სომხები **გიორგი გორგიჯანიძე** და **გარსო ჯანუაშვილი**. დიდმა მოურავმა გაუგო ორივეს ღალატი, ერთი ჩამოარჩო საჯაროთ, მეორეს კი თავი მოაკვეთინა. ამის მიზეზით იყო, რომ მოღალატე გორგიჯანიძის შვილმა ისტორიკოსმა **ფარსადან გორგიჯანიძემ** დასწერა სააკაძის შესახებ ყალბი ცნობანი და დასწამა საზიზღარი ცილი, ე. ი. გამოიყვანა იგი ქვეყნის მოღალატეთ, რამაც მეცთომამში შეიყვანა შემდეგი მწერლები და მით გმირის წმინდა სახელს მოსცხეს სამარცხვინო ჩირქი.

იმ დღესვე თფილისიდან სააკაძემ თავის ჯარით გასწია მარტყოფისკენ ფეიქარხანზე დასაცემათ. სამხრობის

დროს მიადგა მარტყოფს; მეორე მხრით დაეცენ მტერს ვაჩნაძე და ჯანდიერი კახელი ჯარით. შეიქნა აქაც ხელჩართული ომი. გალაღებული ქართველნი აწვებოდენ მტერს ორი მხრით და ავლებდენ მუსრს.

ველარ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს შუაში მომწყვდეულმა მტრის ჯარმა, დაფრთხა და დაეცა სულით. ზოგმა მოასწრო გაქცევა; მეტი ნაწილი კი ჩაუვარდა ტყვეთ ქართველებს, რომელთაც დარჩათ დავლათ მტრის მთელი ბანაკი და ქონება. ფეიქარხანმა სააკაძის მოსვლამდი მოასწრო გაქცევა თავის ცოლშვილით. მან ადრევე გაიგო სპარსელ ჯართა დამარცხების ამბავი და უშველა თავს.

ახლა სააკაძემ დაჰყო რაზმებათ თავის მამაცი ჯარი და გაგზავნა ზოგი კახეთს სათარეშოთ გასულ სპარსთა ჯარების გასაჟლეტათ, ზოგიც ქართლს მტრის რაზმების მოსასპობათ, რომელთაც ეკავათ ხელში ხეობანი და სახიზნი ადგილები. თვით სააკაძემ იახლა ზურაბ ერისთავი, საჩქაროთ გაედევნა ფეიქარხანს და მიეწია მტკვართან. უზომოთ შეშინებულმა ყიზილბაშმა ძლივს

- 90 -

გაასწრო სააკაძეს თავის ცოლით და მცირე ამალით. მთელი მისი ჯარი დარჩა ტყვეთ დიდ მოურავს, აგრეთვე ჩაიგდეს ხელში ფეიქარხანის მთელი ქონება.

ასე ბრწყინვალეთ დამთავრდა ეს დიდებული დღე. მოხთა დაუჯერებელი ამბავი: **ამ ერთ დღეს მოისპო უძლეველი მტერი, გადარჩა დაღუპვას მთელი საქართველო!.. ამ ერთ დღეს გიორგი სააკაძემ ჩაიდინა ნამდვილი სასწაული, ჩაიდინა ისეთი რამ, რომლის მზგავსი არც ერთ სამხედრო გენიოსს არ ჩაუდენია არსად და არას დროს!** სააკაძემ ერთ დღეს გაჟლიტა ოთხ ალაგას მტრის დიდი ჯარები და იხსნა დაღუპვისაგან მთელი ივერია, შეგვიძლია ვთქვათ მთელი საქართველო, რადგან ივერიის აოხრებას მოყვებოდა კოლხიდა-მესხეთის დაღუპვაც და მით გაქრებოდა საქართველოში ქართველი ერის სახელი.

საკაძე და ზურაბ ერისთავი გავიდენ ტკვარში და გაედევნენ ფეიქარხანს, მაგრამ ველარ მიწვდენ. ნაცვლათ ამისა ისინი შეესიენ სპარსეთის სამფლობელოს და დაიპყრეს მისი კუთხენი: **განჯა, ყარაბაღი, ბარდა,**

ქაბალი, არეში, ყაზახი, შამშადილი და შაქი, ჩააყენეს ციხეებში თავის ჯარები, დაბეგრეს ხალხი და აუარება ალაფით დაბრუნდენ შინ.

ქართლ-კახეთი აივსო დავლით. სპარსელ ჯართა მთელი ქონება, ცხენი, ჯორი, აქლემი, სურსათი, სამოსელი და განძეულობა დარჩათ ქართველებს. ამას ზედ დაერთო სააკაძისა და ზურაბის მიერ მოტანილი ალაფი. იშვებდა ხალხი. მთელი ივერია დღესასწაულობდა საშინელ ხიფათისაგან გადარჩენას და ბრწყინვალე გამარჯვებას. ქართლ-კახეთის ყოველ კუთხეში ისმოდა გიორგი სააკაძის ქება-დიდება. ეკლესიებში იხდიდენ პარაკლი-

- 91 -

სებს დიდი მოურავის სახელზე. ხალხის გულში მან მოიპოვა უღრმესი სიყვარული. ის შეიქნა ხალხის სათაყვანო კერპი, უძლეველი გმირი, სალოცავი წმ. გიორგი.

11. მარაბდის ომი.

გადარჩა დაღუპვას ორო სამეფო, ქართლი და კახეთი. მაგრამ არც ერთს არ ყავდა მეფე. ახლა მეტათ ადვილი იყო ორივე სამეფოს შეერთება. მაგრამ ვინ იქნებოდა მათი მეფე? ყველაზე უფრო ღირსეული იყო თვით გიორგი სააკაძე, როგორც თავის გარეგნობით, ისე ფრიად მაღალი ჭკუით და სამხედრო გენიოსობით. ის იყო ნამდვილი სამეფო კაცი. ის დაამშვენებდა დიდ იმპერიის ტახტს. მასთან გიორგი იყო მთელი ივერიის გადამრჩენი, მეთაური, პატრონი; ის იყო ქვეყნის ფაქტიური მეფე. ხალხი აღმერთებდა მას. მამ საჭირო იყო მხოლოდ გვირგვინის კურთხევა და მეტი არაფერი. თავის გამეფებით სააკაძე ადვილათ მიაღწევდა თავის დიდხნის მიზანს, — **საქართველოს გაერთიანებას. ივერიის, კოლხიდის და მესხეთის შეერთება, მით საქართველოს ძველი დიდების აღდგენა, — აი, რა იყო დიდი მოურავის უზენაესი მიზანი!** ის არ იხედებოდა ჩრდილოეთისკენ, არ უპოტინებდა ხელებს რუსეთს, არ თანაუგრძნობდა ლუარსაბ-თეიმურაზის პოლიტიკას. რომელიც მას მია-

ჩდა სამშობლოსთვის დამღუპელი. სააკაძის აზრით შერ-
თებული საქართველო ადვილათ შეძლებდა როგორც
ძველათ, ისე ახლაც და მომავალში მტრების მოგერებას,
თავის გავლენის აღდგენას ამიერ კავკასიასა და მცირე
აზიაში. თუ დღეს საქართველო უძღურია, თუ დღეს

- 92 -

ქენჯნიან მას სპარსნი და ოსმალნი, ამის მიზეზია მისი
დაფლეთა რვა სამეფო-სამთავროებათ, რომლებიც არ ეხ-
მარებიან ერთმანეთს და მით უფრო ასუსტებენ ისედაც
პატარა საქართველოსო. ასე ფიქრობდა დიდი მოურავი.

მაგრამ სააკაძე არ იყო პატივ-დიდების მაძებარი კა-
ცი. ის იქცეოდა ისე, როგორც თხოვილობდა თავის
სამშობლოს უზენაესი ინტერესი. საქართველოს კეთილ-
დღეობა და შინაური მშვიდობა კი ითხოვდა, რომ ივე-
რიის მეფეთ ყოფილიყო ისევ ბაგრატიონთა გვარის შთა-
მომავალი. სააკაძის გამეფებით საშინლათ აღელდებოდენ
ქართლ-კახეთის თავადები და მოახდენდენ ამბოხებას. რო-
გორც მეფეს, სააკაძეს თავის ნებით არ დაემორჩილებო-
დენ კოლხიდა და მესხეთი. ამიტომ საქართველოს გაერ-
თიანების გამო უნდა მომხდარიყო სამოქალაქო ბრძოლა,
ძმათა შორის სისხლის ღვრა, საქართველო უნდა გამხდა-
რიყო შინაურ ომების ასპარეზათ, რაც მეტათ დაასუ-
სტებდა ჩვენ ქვეყანას და აქცევდა ადვილათ ჩასანთქავ
ლუკმათ გარეშე მტრების ხელში.

აგრეთვე თავისუფალი ივერია აღარ ისურვებდა მე-
ფეთ მამადიანს ბაგრატიონის გვარისას. ამიტომ სააკაძის
კანდიდატი ფრიად ნიჭიერი, მაგრამ მამადიანი **ხოსრო
მირზა ბაგრატიონი**, დიდი სვიმონ მეფის ძმის წული,
დღეს აღარ გამოდგებოდა; მას მეფეთ არ ინდომებდენ
სპარსეთზე ისე ბრწყინვალეთ გამარჯვებული ქართველე-
ბი. მათ უნდოდათ ბაგრატიონთა გვარის ქრისტიანი მე-
ფე. ასეთი კი იყო ქეთევან წამებულის შვილი კანეთის
ყოფილი მეფე **თეიმურაზი**.

ყოველივე ეს კარგათ იცოდა დიდმა მოურავმა, ამი-
ტომ გაუგზავნა კაცები თეიმურაზს და მოიწვია ქართლ-
კახეთს მეფეთ. იმედ დაკარგული თეიმურაზი ის იყო

- 93 -

ჯდებოდა გემში და აპირობდა რუსეთს წასვლას, რომ მიიღო ეს ფრიად სასიხარულო ამბავი. ის მაშინვე გაეშურა ქართლისკენ. იმერეთის საზღვარზე მას დახვდნენ გიორგი სააკაძე და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურნი მდიდრულათ მორთულნი, მიესალმნენ მეფეს, გამოუძღვენ და მოიყვანეს მცხეთას, სადაც დიდი ზეიმით უკურთხეს გვირგვინი. ამ რიგათ შეერთდა დიდი ხნის განშორებული ქართლი და კახეთი. იშვებდა უზომოთ გახარებული ერი; ის იყო თავისუფალი, მას ყავდა ქრისტიანი მეფე. სააკაძემ მიართვა მეფეს ძვირფასი სამკაული, არაბული ცხენები და მდიდარი ხაზინა, რომელიც წაართვა დავლათ სპარსებს.

ჩაუვიდა ეს ამბავი შაჰ-აბაზს, შეიტყო თუ რა რიგათ უღალატა მას სააკაძემ, სცნო თავის ჯარების ასე უწყალოთ ჟლეტა, ქართლ-კახეთის შეერთება, თეიმურაზის გამეფება; და ყოვლივე ეს ჩაიდინა ვინ? მასთან შესიზნულმა, მისგან წყალობით ავსებულმა, სამშობლოდან გამეფებულმა გიორგი სააკაძემ. შაის გამწარებას არ ქონდა საზღვარი. თავისივე კბილით ის იგლეჯდა თავის ხორცს.

შაჰ-აბაზმა საჩქაროთ გასცა ბძანება შეეკრიბათ საუკეთესო ჯარი. მან მიმართა მოწოდებით მამადიელ აზიას და გამოუცხადა ივერიას ჯვაროსნობის ომი. გაბრაზებულმა შაიმ აამხედრა მთელი სპარსეთი, მთელი მუსლიმი პაწაწა ქრისტიან ერის წინაამდგე. ამ შემთხვევაში შაის არ ამოქმედებდა მარტო შურის ძიება. ამიერიდან ირანის კეთილდღეობისთვის შეიქნა ფრიად საშიშარი სააკაძის გენიით აფრთოვანებული შეერთებული ქართლ-კახეთი. საჭირო იყო ახლავე მათი დაცემა და დამსხვრევა, სანამ ისინი მოითქვამდნენ სულს და მოიკრეფდნენ ღონეს.

- 94 -

შაჰაბაზმა შეაგროვა 200.000-დი მეომარი; აქედან წინ და წინ გამოგზავნა საქართველოში 150.000 კაცი საუკეთესო სარდლების მეთაურობით, მთავარსარდლათ კი მისცა თავის საკუთარი სიძე შესანიშნავი სარდალი **ყორჩიზაში**. თვით შაჰ-აბაზი დარჩა სპარსეთს. ის მოერიდა სააკაძეს. ალბათ მას ეშინოდა დიდი მოურავის სამხედ-

რო გენის და მისგან დამარცხების.

ჯარის წამოსვლამდი შაჰ-აბაზმა მოაკვლევინა წამებით მძევლათ მყოფი სააკაძის უფროსი ვაჟი პაატა, ჩასდომისი მოჭრილი თავი ტომარში და გაუგზავნა საჩუქართო დიდ მოურავს. ეს საშინელი საჩუქარი მიიღო სააკაძემ. მან გახსნა ტომარი და ამოიღო უსაყვარლესი შვილის მოჭრილი თავი. გამწარებულმა მამამ ჩაიკრა იგი მკერდში. საშინელი გმინმა აღმოხდა გმირის გულიდან. თვალთაგან გადმოსკდა ცრემლები. დიდხანს გოდებდა უნუგეშო მამა დაკარგულ შვილზე.

— „შვილო პაატა, — მოსთქვამდა დიდი მოურავი, — შენ გაგწირა ქვეყნისთვის შენმა უბედურმა მამამ... შენ გამსხვერპლა ბედშავმა საქართველომ... შენ მოკვდი გმირულად და მაგ მოწამებრივი სიკვდილით იხსენ დალუპისაგან შენი ტანჯული სამშობლო... შენ განშორდი ამ მქენჯნავ წუთისოფელს და ახლა ნეტარებ ზეცას, მე კი კუბოს ფიცრამდი უნდა ვიტანჯო უშენოთ, უნდა ვიტანჯო იმ ფიქრით, რომ მიგეცი პირში გაცოფებულ აფთარს... მაგრამ ვიფიცავ შენს წმინდა სახელს, ჩემო ძვირფასო შვილო, რომ საზიზღარ შაის დაუსვამ ფასათ შენს წამებით სიკვდილს... მხეცო შაჰ-აბაზ, შენ მოჰკალ წამებით ჩემი პირმშო შვილი, მაგრამ ვფიცავარ ამის ნაცვლათ თვით სპარსეთს ჩაუსო გულში მკვლელი მახვი-

- 95 -

ლი... შენ მოჰკალ ჩემი შვილი, მე მოვსპობ მთელს ირანს, თუ ბედმა არ მიმუხთლა!“...

გიორგიმ დაასაფლავა შვილი, რომლის ტანი მოატანია სპარსეთიდან, და შეუდგა მზადებას. ჯერ კიდევ ადრე სპარსთა ჯარების დამარცხებას შემდეგ, მან იცოდა კარგათ, რომ შაი არ დაწყნარდებოდა და დიდი ჯარებით წამოვიდოდა ივერიის მოსასპობათ. ამიტომ მეფის კურთხევას შემდეგ დიდი მოურავი მაშინვე შეუდგა საქირო სამზადისს და შეკრიბა ქართლ-კახეთიდან 20.000 საუკეთესო მეზრდოლი, გაამაგრა ციხეები და შემოსასვლელი გზები.

ამ დიდ განსაცდელის დროს, სამწუხროთ, ისევ იჩინა თავი პირადმა შურმა და მტრობამ. სააკაძის სახელი, დიდება და ქვეყნის მართვა-გამგეობა შურით ავსებ-

და ქართლ-კახეთის თავადებს. თეიმურაზ თავის ამალით ატარებდა დროს ქეიფსა და ნადირობაში. მას არ ცალოდა ქვეყნისთვის. ამიტომ შეერთებულ სამეფოს მზრუნველი, მისი ფაქტიური მეფე იყო ისევ დიდი მოურავი. ის მართავდა ქვეყანას, ის ცვლიდა და აყენებდა მოხელეებს. ხალხის თვალში ხომ ის იყო ნამდვილი ღმერთი. სააკაძის ასეთი დიდება შურით ავსებდა თვით მის გაზდილ ზურაბ ერისთავს, აგრეთვე მეფე თეიმურაზს. ზურაბიც მონაწილე იყო ივერიის გათავისებულებაში, მაგრამ ყველგან ქუხდა მხოლოდ დიდი მოურავის სახელი. თეიმურაზი იყო მეფე, მაგრამ ხალხი მეფეთ ცნობდა მხოლოდ სააკაძეს.

ამ შურმა და მტრობამ იჩინა თავი სწორეთ იმ დროს, როცა ყველაზე უფრო საჭირო იყო ერთათ, თანხმობით მოქმედება საშიშარ მტრის წინააღმდეგ. სპარსთა დიდი ლაშქარი შემოვიდა ქართლში და დაბანაკდა მდ.

- 96 -

ხრამსა და ალგეთის ნაპირას შულავერსა და მარაბდის შუა. ქართველი ჯარი კი იდგა კოჯორსა და ტაბახმელაზე. აქ ელოდნენ ულმოხელ მტერს, რადგან იდგა ივლისის პაპანება და შეუძლებელი იყო ამ გრილ ადგილებიდან დაძვრა. სააკაძეს სურდა ამ ვიწროებში შეეტყუებია სპარსთა ლაშქარი და აქ დაეცა მათ თავზე ზეცის რისხვა. აი სწორეთ აქ ამ ქართველი ჯარის ბანაკში იჩინა თავი სააკაძის ბტრობამ. ქართლ-კახეთის თავადებმა ჩამოართვეს მთავარსარდლობა ამ სამხედრო გენიოსს და გადასცეს ჯარის უფროსობა უნიჭო მეფე თეიმურაზს. ამ გარემოებამ დალუპა დიდებული საქმე და მოახდინა ქართველი ჯარის საბედისწერო დამარცხება მარაბდის ველზე.

დიდი მოურავის მტრებმა გადასწყვიტეს მოხტომოდენ სპარსებს. სააკაძე კი უმტკიცებდა, რომ ამ საქციელით ისინი დალუპავდენ საქმეს, რადგან ქართველი ჯარი შედარებით მეტათ მცირეა და გაშლილ ადგილზე ადვილი დასამარცხებელი, მასთან ამ პაპანებაში იმ ცხელ ადგილებში ჯარის ჩაყვანა შეუძლებელია, რადგან საშინელი სიცხე დათენთავს მას, წაართმევს ძალას და მხნეობას, მაშინ როდესაც იმგვარ სიცხეს მიჩვეულია სპარსნი და კარგათ იომებენო. უმჯობესია აქვე გავმაგრდეთ ამ

გრილ ალაგას და ამ ვიწროებში შემოვიტყუოთ მტერი, სადაც ადვილათ დავამარცხებთო. ამ ბრძნულ რჩევას მიემხრო რამდენიმე შეგნებული პირი; დიდი უმეტესობა კი გაიძახოდა: ჩაუხტეთ სპარსებსაო. გაგადა უმრავლესობის აზრი. დაიძრა დაბლეთისკენ ქართველი ჯარი. მას თან მისდევდა გულის ტკივილით დიდი მოურავი. ის წინდაწინვე გრძნობდა ქართველი ჯარის დამარცხებას.

იალლუჯის მთებიდამ წითლათ ამოცურდა დიდი მნათობი და მოფინა მიდამოს ცხელი სხივები. დაგუბებული

- 97 -

ჰაერი სულს უხუთავდა კაცს ხრამისა და ალგეთის ხეობაში. მატულობდა თანდათან სიცხის ბული... ამ დროს გამოჩდა ქართველი ჯარი. ის მიდიოდა სამხედრო სიმღერით სპარსთა ბანაკზე დასაცემათ. მოწინავე ჯარის წინ მოაქროლებდენ მერანს ორი შესანიშნავი სარდალი, **დავით ჯანდიერი** და **ალათანგ ხერხეულიძე**. ესენი არ შეუშინდენ მტრის თოფსა და ზარბაზნებს, მიიტანეს თამამათ იერიში და მიადგენ მტრის ჯებირებს. სპარსებმა მისცეს ცეცხლი. მოწინავე ჯარის სარდლები გმირულათ გადაცინდენ ჯებირებზე მახვილით ხელში და ეძგერენ მტერს. მათ მიყვა ქართველი ჯარი და მშვიერი ლომივით დაერია მტრის უამრავ ლაშქარს.

სპარსნი არ შეუშინდენ ასეთ გაბედულ იერიშს და თამამათ დახედენ ქართველებს. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. მზის სხივებზე ლაპლაპებდა სისხლიანი შუბი, ხმალი და ხანჯალი. ისმოდა საშინელი ჩახა-ჩუხი. ჰაერში ტრიალებდა დაჭრილ-მომაკვდავთა საზარო კვნესა და გმინვა. სიცხე მატულობდა, ჩამოწვა ბრძოლის ველზე საშინელი ბული. შეგუბდა სული. ამ საშინელმა სიცხემ მოსხლიტა წელში ქართველი ჯარი. მან დაკარგა მხნეობა. ამას ხელს უწყობდა მტრის სიმრავლე, რომელიც საოცარი ენერგიით ებრძოდა ქართველ ჯარს და აწვებოდა ყოველ მხრიდან. გალადებულმა მტერმა მოუღო ბოლო ქართველთა მოწინავე ჯარის სარდლებს და სხვა ცნობილ ვაჟკაცებს. მოკვდენ გმირულად დავით ჯანდიერი და ალათანგ ხერხეულიძე. ამ ამბავმა შეაფრთხო ქართველთა მოთენთილი ჯარი. მან თითქმის იბრუნა პირი და მზათ იყო გასაქცევათ. მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი საოცარი რამ: უცებ

შეიქნა საშინელი არეულობა მტრის რაზმებში. ვიღაც მხედარი ბუმბერაზის ტანით მუზარად მოხდილი დაა-

- 98 -

ქროლებდა თეთრ მერანს სპარსელთა ჯარში, იქნევდა ხმალს, თავის მჭექარე ხმით და მძლავრი მარჯვენით შექონდა ყველგან შიში და სიკვდილი. ეს იყო **გიორგი სააკაძე**, რომლის დანახვაზე გარბოდენ მეშინებული სპარსნი. რა შეატყო სააკაძემ, რომ ქართველი ჯარი განსაცდელშია და საქმე ილუპება, ვეღარ მოუთმინა გულმა და გასწირა თავი. მან მოიხსნა მუზარადი და პირახდილი შეიჭრა მცირე ამალით მტრის რაზმებში. თავის ძლიერი მკლავით და მგრგვინავი ხმით მან შეიტანა ყველგან შიში და რისხვა, მან დაუხოცა მტერს საუკეთესო სარდლები. სპარსებმა იცვნეს იგი.

— „თავს უშველეთ!.. დიდი მოურავი!“... ეს სიტყვები ელვის სისწრაფით მოედვა მტრის ლაშქარს და დასცა შიშის ზარი. სააკაძის ასეთმა სიმამაცემ ააფრთოვანა ქართველი ჯარი. მან მხნეთ შეუტია გალაღებული მტერს.

ვეღარ გაუძლო მტერმა სააკაძის თავგანწირულ გმირობას და იბრუნა პირი გასაქცევათ. ყველაზე წინ გარბოდა სპარსთა ცხენოსანი ჯარი. იმას გაედევნენ ქვეითნიც. მათზე არ მოქმედობდა არც სარდლების ბძანება, არც ხვეწნა, არც მუქარა. გარბოდა საოცარი სისწრაფით შიშით შეპყრობილი სპარსთა ლაშქარი.

ამასობაში დაღამდა კიდეც. ეს არ იყო მტრის სრული დამარცხება. დამარცხდა მხოლოდ სპარსთა ერთი ნაწილი. მეორე ნაწილს ისევ ხელში შერჩა მთელი ბანაკი და სიმაგრენი. დილით ადრე ქართველმა ჯარმა მედგრათ შეუტია სპარსელებს. წინა დღის გამარჯვებით გალაღებული ქართველნი თამამათ აწვებოდენ მტრის რაზმებს. მათ ვეღარ უმაგრდებოდენ ერთჯენვე მეშინებული სპარსნი, რომელთაც ყველგან ელანდებოდა მუზარად მოხდი-

- 99 -

ლი სააკაძე. მედგარ ბრძოლას შემდეგ დამარცხდენ სპარსნი და იწყეს გაქცევა. მთელი მათი ქონება და ბანაკი

დარჩათ ქართველებს. ქართველი ჯარი გაედევნა მტერს და გაავლო მუსრი. შეშინებული სპარსნი ყრიდენ გზაზე თავის იარაღს, თოფებს, ზარბაზნებს, სურსათს და გარბოდენ ზარდაცემული, გარბოდენ მტრის სარდლები, ყველაზე წინ გარბოდა მთავარ სარდალი ყორჩიბაში, დამარცხდა აურაცხელი მტერი. სასწაულებრივ გაიმარჯვეს ქართველებმა და ეს მოხდა განსაკუთრებით გიორგი სააკაძის წყალობით.

ჩამოწვა შუადღის პაპანება. გახურებულ თორნეს დაემგზავსა მარაბდის ველი. საშინელ სიცხით შეწუხებული ქართველები წვებოდენ ზოგი წყალში, ზოგიც ხეებ ქვეშ ბაღებში, ბევრიც აბინავებდა ნაშოვარ ალაფს. ამ რიგათ ქართველი ჯარი იყო გაბნეული 10-15 ვერსზე.

მხოლოდ ერთ ალაგს შეჯგუფულიყო მთიელთ ჯარი და იყო რაღაც ფაცა-ფუცში. მათი სარდალი ზურაბ ერისთავი დაჭრილიყო ომში და გარს ეხვიენ მისი ერთგული მხედრები.

ამ დროს მარაბდის სერის წვერვალზე გამოჩდა რაღაც შავი ღრუბელი. ეს ღრუბელი მოძრაობდა და სწრაფათ ეშვებოდა ძირს. გოცებულმა ქართველებმა შეამჩნიეს მტრის ახალი ლაშქარი, რომელიც საოცარი სიჩქარით მოდიოდა ზურაბის ჯარზე დასაცემათ. წინ დახედულმა შაკ-აბასმა პირველ ლაშქარს დაადევნა მეორე ჯარი **60000 კაცისაგან** შემდგარი საუკეთესო სარდლების, **ხოსრო მირზას, ამირგურიხანის და შაბადახანის** მეთაურობით. ეს ჯარი ეკვეთა ზურაბ ერისთავის რაზმს და შემოერთყა ირგვლივ. დასვენებული სპარსნი ეცენ ბრძოლით დაქანცულ და სიცხით მოთენთილ ერთ მუჭა

- 100 -

ქართველთ. შეიქნა ხელჩართული მრძოლა. როგორც ძლიერი ლომი თავის ბუნაგში, ისე გამწარებით იბრძოდა დაჭრილი ზურაბი, აწყობდა რაზმებს და მუსრავდა მტერს.

რა ნახეს ქართველებმა სპარსთა ასეთი თაედასხმა, იწყეს დენა ყოველ მხრიდან. მათ მედგრათ შეუტიეს მტერს, მაგრამ მტერი იყო დიდათ ძლიერი თავის სიმრავლით. ზურაბს გაუჭირდა საქმე. იგი თხოულობდა შველას. მტრის ასეთმა სიმრავლემ თეიმურაზ მეფეს

დასცა თავზარი. იგი დაიბნა, დაეცა სულით, დაკარგა გონება; ის ვერ აძლევდა თავის ჯარს ვერავითარ განკარგულებას. დაირღვა ბრძოლის გეგმა. აღარ იყო მეთაური, მთავარსარდალი. ყველა იქცეოდა ისე, როგორც სურდა. დაეცა მტრის შუაგულ რაზმებში სისხლის დენით გულშეწუხებული ზურაბი, იგი ძლივს გამოათრევს ცოცხალ-მკვდარი თავგანწირულმა მთიელებმა. ქართველ ჯარს დაებნა დავთარი. ის შედრკა და იწყო უკან დახევა. კიდევ ნახევარი საათი და დამარცხდებოდა ერთიანათ ჩვენი ჯარი, რომ ამდროს არ გასჩენოდა მხსნელი.

ამ საერთო ჟრიალში გაისმა დიდი მოურავის მჭექარე ხმა. სააკაძე და **ბარათა ბარათაშვილი** თავის რაზმით გაედევნენ ყორჩიბაშს და ისიც იყო დაბრუნდენ უკან. რა ცვენს ახალი მტრის თავდასხმა, ეკვეთენ მას, როგორც შევარდენი. ამათ თან ახლდა მესხეთიდან მოსული **მანუჩარ ათაბაგი** 300 ვაჟკაცით. განახლდა ბრძოლა. ქართველებმა მოიცეს გული. სააკაძის დანახვაზე ისინი იქცენ გამირებათ და უმაგალითო სიმამაცით შეუტეეს გალაღებულ მტერს. პირიქით, დიდი მოურავის დანახვამ და მეხივით ძლირმა ხმამ შიშისზარი დასცა სპარსთა მხედრობას. შედრკა მტერი. მან დაკარგა სიმა-

- 101 -

მაცე. კიდევ ერთი საათი ასეთი ბრძოლა და უსათუოთ დამარცხდებოდენ სპარსნი, მაგრამ ბედათ უსწრო ღამემ და გაყარა მებრძოლნი.

საბედისწერო შეიქნა ქართველთათვის ეს ბნელი ღამე. ამ სიბნელეში მათ შემოერთყა ზურგიდან ყორჩიბაში თავის ჯარით. მას შეეტყო მაშველი ჯარის მოსვლა და მაშინვე უკან დაებრუნებია თავის დამარცხებული ლაშქარი, უკვე დასვენებული და რაზმებათ დაწყობილი. წარმოუთქმელი ელდა დასცა ქართველებს ამ ამბავმა. ახლა კი მიხვდენ სააკაძის მტრები თავის შეცდომას, მაგრამ გვიანდა იყო. მთვლი ჯარი და მასთან მთელი საქართველო ხდებოდა მათი პირადი შურის და უნიჭობის სხვერპლი. ახლა კი გაცლა სჯობდა ბევრათ, მაგრამ წასვლა შეუძლებელი იყო, რადგან რიცხვით ათჯერ მეტი მტერი შემოხვეოდა რკინის რგოლივით. ახლა მხოლოდ ორი რამ რჩებოდა ქართველთ: **ან ტყვეობა,**

ან სრული ამოწყვეტა.

დაუვიწყარია ეს ღამე საქართველოს ისტორიაში. აქ იფეთქა საოცარი ძლიერობით ქართველთა გმირობამ და სულის სიდიადემ. სიკვდილის ლანდმა ქართველი ჯარი აქცია უმაგალითო გმირათ. შეითქვენ ვაჟკაცნი. იმათ შეფიცეს ერთმანეთს, რომ გაწყდენ ერთიანათ ბრძოლის ველზე, მტერს კი არ აჩვენონ ზურგი, არ დანებდენ ლაჩრულათ. ამგვარ გმირობის მაგალითს აძლევდენ ჯარს სულიერი მამებიც კი, მაგ. **რუისის მიტროპოლიტი დომენტი**, ფრიად განათლებული პირი, **მარტყოფის მიტროპოლიტი**, **ხორჭაშნელი**, **ალავერდელი** და სხ. ეს სულიერი მამები მახვილით ხელში ემზადებოდენ მტერთან საომრათ ქრისტიანობის დაცვისათვის.

მთელი ღამე არ ეძინა ქართველებს. ისინი იყვენ

- 102 -

მზადებაში. დილის რიჟრაჟზე მათ მიიღეს წმ. ზიარება დომენტი მიტროპოლიტის ხელით და მოემზადენ სასიკვდილოთ. ამოკრა დილის სიომ და ააშრიალა ფოთლები. აწყვიპინდა ზურნა სპარსთა ბანაკში. ახმაურდა ბუკი და ნაფირი ქართველთა შორის. დაიგრიალა თოფმა, იწყო საზარო ღრიალი ზარბაზნის მშვიერმა ხახამ. აიშლენ რაზმები, აპრიალდენ შუბები, იელვა ხმალმა... გალაღებული სპარსი და თავგანწირული ქართველი დაეტაკენ ერთმანეთს სიკვდილ-სასიცოცხლოთ. შეიქნა საშინელო მრძოლა. სისხლის ღვართქაფს მიქონდა კაცი და ცხენი. დაჭრილის კვნესა და მომაკვდავის მწარე გმინვა წვდებოდა ზეცას, მაგრამ ზეცა სდუმდა; იგი გულცივათ დაცქეროდა მარაბდის მინდორს თავის ფირუზა სახით. მთების წვეროდან წითელ ბურთივით ამოგორდა დიდი მნათობი და დააშტერა ბრძოლის ველს თავის სისხლიანი თვალეზი. აქ იღვროდა კაცის სისხლი, აქ ადამიანი კლადა ადამიანს...

გაშვადლდა; გაჭირდა საქმე; ერთგვარი სიმამაცით იბრძოდა ორივე მხარე. მტერი აწვებოდა ქართველებს ყოველ მხრიდან და უხუთავდა სულს. სიცხე მატულობდა. იგი ართმევდა ძალას დაქანცულ ქართველს. სიცხეს ჩვეული სპარსი იბრძოდა მედგრათ. გიორგი სააკაძე დაქროდა რაზმიდან რაზმში, ამხნეებდა ქართველთ, ვარ-

დებოდა მტრის შუაგულ რაზმებში, შექონდა შიში და სიკვდილი. მასვე ბაძავდენ სხვა გმირებიც, მაგრამ მტერი იყო ფრიად მრავალი, ქართველნი კი მეტათ მცირე. ამ საშინელ ბრძოლაში გაწყდენ **ცხრა ძმა ხერხეულძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი**; აქვე მოკლეს სახელოვანი ვაჟკაცი **ბაადურ ციციშვილი, მარტყოფის მიტროპოლიტი, ხორჭაშნილი**, სხვა მრავალი თავად-აზნა-

- 103 -

ური და საღვდელი პირი. განახევრდა ქართველი ჯარი, გაწყდა 18,000 სპარსი, მაგრამ ბრძოლას არ უჩანდა ბოლო. სააკაძეს მოუკლეს ცხენი და შემოეხვიენ მოსაკლავათ, მაგრამ ამ დროს მისი მხსნელი შეიქნა მთის ვაჟკაცი **ლომი ჩრდილელი**. მან დახოცა სააკაძის თავდამსხმელნი, მიართვა დიდ მოურავს ცხენი, თვითონ კი ქვეითათ იწყო მედგარი ბრძოლა. სააკაძე მიწვდა ცხენის მკვლელს, აკაფა ხმლით, მისი ცხენო მისცა თავის მხსნელს და მით გადუხადა სამაგიერო.

შედრკენ ქართველნი. სიცხე უხუთავდა სულს და უკვეთდა მუხლებს. მათ იბრუნეს პირი, სურდათ გასვლა ამ რგოლიდან, მაგრამ გასავალი გზა არსად იყო. მაშინ სააკაძის ბძანებით ეძგერენ თავის რაზმით მტრის ერთ მხარეს მისი შვილი **ავთანდილი** და ცოლისძმა **დათუნა ერისთავი**, გააპეს მტერი და მისცეს ქართველთ გასავალი გზა. ქართველებმა მოითქვეს სული და შეუდგენ ისევ მედგარ ბრძოლას.

ამ დროს გავარდა საბედისწერო ხმა: „**მოკლეს თეიმურაზ მეფე**“. ეს ხმა ელექტროს ნაკადივით მოედვა ქართველთ და დასცა სულით. მათ გაუწყვიტეს საუკეთესო სარდლები, ახლა მოუკლეს მეფეც. შიშმა აიტანა დაჭრილ-დაქანცული ქართველი ჯარი. მან ვერ შესძლო მეტი და იბრუნა პირი გასაქცევათ. ყველაზე წინ გარბოდა თვით მეფე თეიმურაზი. მის ნაცვლათ მოეკლათ **თეიმურაზ მუხრან ბატონი**.

ბევრი ეცადა სააკაძემ ქართველი ჯარის შეჩერება, მაგრამ ვერას გახდა. მათზე ვერ ჭრიდა ვერც თხოვნა, ვერც მუდარა. მაშინ, ხალხის გადმოცემით, სააკაძემ ჩასო მიწაში ხმალი და გადატეხა შუაზე ამ სიტყვებით:

„ასე მოეღოს ბოლო მათ, ვისიც მიზეზით დღეს საქართველო იღუპებაო“...

ასე დასრულდა ეს უმაგალითო ბრძოლა მარაბდის ველზე! აქ გაწყდენ გმირულათ საუკეთესო ქართველნი, რომელთა ხსოვნა ღრმათ მარხია ერის გულში...

12. დიდი მოურავის სათარეშო ბრძოლა.

გამარჯვებული სპარსნი შევიდენ ქართლში. მათ თფილისში დასვეს მეფეთ გაქცეული სვიმონი და იწყეს ციხე-სიმაგრეთა დაჭერა. თეიმურაზ მეფე ძველებურათ გავარდა იმერეთს. დარჩა ისევ უპატრონოთ ქართლი და კახეთი. ჯარი აღარ იყო, რადგან 20.000-დან 9.000 გაწყდა ბრძოლის ველზე, დანარჩენი, ზოგი დაიჭრა მძიმეთ, ზოგიც მიეპატრონა თავის ოჯახს. ხალხი ეცა სახიზნ ადგილებს. დიდმა თავადებმა კი განუცხადეს სპარსებს მორჩილება და იწყეს მათ სარდლებთან დამეგობრება. მათ დაავიწყდათ ერი და სამშობლო. ქვეყნის პირველი მოღალატე შეიქნა ზურაბ ერისთავი, რომელიც ხოსრო-მირზას შემწეობით დაუახლოვდა ყორჩიბაშს. სააკაძის მეოხებით ზურაბი გახდა თეიმურაზ მეფის სიძეთ. თეიმურაზმა მიათხოვა მას თავის ასული **დარეჯან**; მიუხედავად ამისა, ამ უნდო ადამიანმა ზურგი აქცია თავის სიმამრს და იწყო ისევ შაჰ-აბაზის ერთგულობა; ამას მოითხოვდა მისი პირადი ინტერესი.

მრისხანე შაიმ გასცა ბძანება მოესრათ ერთიანათ მთელი ივერია. ახლ ქართლ-კახეთი ჩავარდა უარე განსაცდელში. მას არ ყავდა ჯარი, სარდლები, მეთაური. საუკეთესო ვაჟკაცნი და ერის ბელადნი გაწყდენ ბრძო-

ლის ველზე. მეფე გაიქცა იმერეთს. გამარჯვებული მტერი შევიდა ქართლში და იწყო თარეში. სპარსნი მოქმედობდენ ფრთხილათ და ხერხიანათ. უმწეოთ დარჩენილ ხალხის ერთად ერთი ნუგეში იყო მთა. და აჰა იწყეს

მთისკენ დენა სახიზნავათ თავის ცოლ-შვილით და სარჩო-საბადებლით! საქართველოს მოელოდა უარესი რისხვა. მთელი ივერია უნდა შეღებულიყო წითლათ, უნდა გაწყვეტილიყო ქართველი ერი...

ამ შავბნელ დროს ქართლში იყო ერთი კაცი. იგი არ შეუშინდა მტრის სიმრავლეს, არ განუცხადა მას მორჩილება, არ გააგდო ხელიდან მახვილი. ეს დიდებული კაცი შეიქნა ერის ქომაგი და მხსნელი. მან შეაგროვა **სამოცამდი** საუკეთესო ვაჟკაცი და გაუმართა მტერს **სათარემო ბრძოლა**. ის სარგებლობდა მარჯვე ადგილებით, ვიწრო ხევებით, ბნელი ღამეებით, ესხმოდა თავგანწირვით სხვა და სხვა ალაგას დაბანაკებულ სპარსებს და ადენდა მუსრს, ართმევდა სურსათს და იარაღს. ეს უკვდავი მამულიშვილი იჩენდა ზღაპრულ სისწრაფეს და სიმამაცეს. მისი მოქმედება იყო რაღაც ტიტანური და დაუჯერებელი. მართლაც ვერ დავიჯერებდით, რომ ამას არ აღნიშნავდეს იმ დროის მწერლები, **ისკანდერ მუნჯი, არაქელი**, შემდეგ **არჩილ მეფე** და **იოსებ თფილელი**.

ვინ იყო ეს დიადი მამულიშვილი? ვინ იყო ეს ზეკაცი? ეს იყო ისევ **გიორგი სააკაძე**. დიდი მოურავი თავის მცირე რაზმით ახდენდა ნამდვილ სასწაულებს. **ეს უშიშარი გმირი სამოცი კაცით უმკლავდებოდა მტრის ლეგიონებს, მტრის ასიათასს მეომარს...** ამგვარი მაგალითი არ მომხდარა ჯერ მსოფლიო ისტორიაში. ამ ერთი მუჭა რაზმით სააკაძე ელვის სისწრაფით ეცემოდა თავზე შუაგულ ქართლში მიმავალ მტერს და ადენდა

- 106 -

მუსრს. ბევრ ალაგას მან მისცა სპარსებს დიდი ზიანი, მაგ. **თფილისთან, ავჭალასთან, წიწამურთან, ღართის კართან, არაგვზე** და სხ. სააკაძე თავის მამაცი რაზმით შევარდენივით ესხმოდა ყველგან და ადენდა მტერს სისხლის ღვართქაფს. ამ უმაგალითო თავგანწირვამ მეტათ შეაფრთხო სპარსნი და ჩააგდო საგონებელში. პირიქით, სააკაძის ასეთმა გმირობამ გაამხნევა ქართველნი. მის დროშის ქვეშ იწყეს დენა საუკეთესო ვაჟკაცებმა. ახლა სააკაძეს შეუგროვდა რამდენიმე ასი მეზრძოლი. მისმა ძალამ იმატა ერთი ხუთად. ეს რაზმი მან დაყო წვრილ დასტებათ და მიუსია მტერს ყოველ მხრიდან.

საკადმით ფრიად შევიწროებულმა სპარსის სარდლებმა მიმართეს ხერხს: მათ დაუწყეს ლაქუცი ქართლის დიდებულთ, აავსეს ჯილდოთი ქართლის თავადნი და სამღვდელთა, ეჩვენებოდნენ მათ მოყვრათ და ერთგულათ. ამ ყიზილბაშურ ხრიკით მათ აამღვრიეს შიგნით წყალი, აამხედრეს სააკადის წინამდევ თვით ქართლის თავადნი და ღვდელ-მთავრები. გასჭრა სპარსულმა პოლიტიკამ, მონურმა სულმა შეიპყრო წარჩინებული ქართველები. მათ გაუგზავნეს სააკადეს დესპანებათ თფილელი მიტროპოლიტი **დიონისე** და მცხეთის სამთავროს ეპისკოპოზი **ტროფილე**. ისინი მივიდნენ დიდ მოურავთან, დაიჩოქეს მის წინაშე და შეევედრენ ჩაეგო ხმალი და აელო ხელი უბრალო სისხლის ღვრაზე.

„არ არის ოჯახი მთელ ივერიაში, სადაც არ ისმოდეს გლოვა და ტირილი ომში დაკარგულ ძმებსა, ქმარსა და შვილებზე. მთელი ქართლ-კახეთი შემოსილია შავი ძაძუებით. დიდი ხანია შევეჩვიეთ სპარსთა მონობას. დიდი ხანია ჩვენი ერი ასრულებს შაის ბძანებას. სად გვაქვს იმდენი ძალა, რომ გავუმკლავდეთ დიდ ირანს,

- 107 -

შევებრძოლოთ ყეენის ლაშქარს! დიდო მოურავო, გევედრებით მუხლმოდრეკით ჩააგო ხმალი და მისცე მშვიდობა წამებულ ერს. კმარა ამდენი სისხლსი და უსარგებლო სხვერპლი!“ ... ევედრებოდნენ სააკადეს ტროფილე და დიონისე.

„მე შევწყვეტ ბრძოლას მაშინ, როცა ქართლ-კახეთი იქნება სრულიად თავისუფალი! მე ჩავაგებ ქარქაშში სისხლიან ხმალს მხოლოდ მაშინ, როცა ჩემს ძვირფას სამშობლოში არ იქნება არც ერთი სპარსელი მეომარი! ააი ეს არის ჩემი უკანასკნელი პასუხი!“ უთხრა მათ მტკიცეთ დიდმა მოურავმა და გაისტუმრა პატივისცემით. ღვდელმთავრები გამოდრდნენ სააკადეს წყევლით და კრულვით.

დიდმა მოურავმა უმატა მხნეობას. მან მიიმხრო ქსნის ერისთავი იასე, ბარათაშვილები, ზურაბის ძმები, გიორგი და დათუნა, აგრეთვე ზემო ქართლის ზოგიერთი თავადი. მან აფრინა ყველგან კაცები და ახდენდა საერთო ამბოხებას. სააკადის ასეთი თავგანწირვა ყველას უდ-

გამდა გმირულ სულს და იწვევდა მასთან საომრათ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ყორჩიბაშს ყავდა ქართლში სიძეთ ფრიად გავლენიანი თავადი **ანდუყაფარ ამილახვარი**, მამადიანი, ქვეყნის მოღალატე და შაის დიდი ერთგული. ჯერ კიდევ ადრე, სპარსთა პირველ შემოსევის დროს, სააკაძემ დაიჭირა ანდუყაფარ მისი ცოლშვილით და დაამწყვდია არშის ციხეში მყინვართან დარიალის ხეობაში, რათა მას არ შეეშალა ხელი ქვეყნის განთავისუფლების საქმეში. ამ თავის სიძის ციხიდან გამოყვანა მოისურვა ყორჩიბაშმა, ამიტომ გაგზავნა მის გამოსახსნელათ **12000 მეომარი** საუკეთესო სარდლების მეთაურობით. აქ იყვენ

- 108 -

სხვათა შორის, ხოსრო მირზა, შაჰბადახანი და ამირგურიხანი. ეს ჯარი არაგვის ხეობით უნდა ასულიყო არშის ციხეში. ამრიგათ მათ უნდა გაეარათ ზურაბ ერისთავის საფლობელოზე. ყორჩიბაშის თხოვნით, ზურაბმა მისცა ნება გაეარა სპარსელ ჯარს მის მამულზე. ჯარიც აყვა არაგვის ხეობას, მივიდა არშის ციხეში და გაათავისუფლა ანდუყაფარი.

სწორეთ აქ გააბა ისინი მახეში გიორგი სააკაძემ. მან მიიმხრო ზურაბის ძმები, რომლებიც დახვდენ სპარსებს მთიელთა ჯარით და არ მისცეს უკანვე ჩამოვლის ნება. მაშინ სპარსებმა არჩიეს ქსნის ხეობით ჩამოვლა. მათ წინ გაუძღვა თვით ანდუყაფარ, რომელმაც კარგათ იცოდა გზებ. მაგრამ სპარსებს ქსნის ვიწროებში დახვდენ თავის რაზმებით სააკაძე, ქაიხოსრო მუხრან ბატონი და იასე ქსნის ერისთავი. აქ სპარსებს თავს დაატყდათ საშინელი მარცხი, ისინი თავგვივით გაებენ მახეში. წინიდან მათ ყავდათ ულმობელი მტერი, — დიდი მოურავი, უკანიდან კი აწვებოდენ თავის ვაჟკაცებით ზურაბის ძმები, დათუნა და გიორგი. სპარსნი მოემწყვდენ შუაში. გაქცევის გზა არსაით იყო. გააფრთებული ქართველნი დაერიენ სპარსებს და გაავლეს მუსრი. მთელი ორი დღე ჟლიტეს მტერი; მათი ლეშით გაივსო მდინარე; ქსანი შეიღება წითლათ. გაწყდენ ერთიანათ სპარსნი, დაიხოცენ მათი სარდლები, შაბადახანი, ამირგურიხანი და სხ. გადარჩენ მხოლოდ ანდუყაფარ თავის

ცოლშვილით და ხოსრო მირზა. ამ ბრძოლის დროს იმათ მთის ბილიკებით გადაასწრეს სამშვიდობოს და მივიდნენ ყორჩიბაშთან.

ეს დიდი მარცხი დამართა მტერს გიორგი სააკაძემ. ამ საშინელმა დამარცხებამ, ისკანდერ მუნჯის აზრით,

- 109 -

წელში გაწყვიტა სპარსთა ლაშქარი. არც ეს აკმარა მათ დიდმა მოურავმა: სპარსებს კიდევ ადრე ხელში ეკავათ მესხეთის მეტი ნაწილი, თურქთაგან წართმეული. სააკაძე გადვიდა ჯავახეთს, მიიმხრო მესხეთის შესანიშნავი გმირი ელია დიასამიძე და მოახდინა ამბოხება. მან დაამარცხა ზედიზედ სპარსელი მეციხოვნენი და წაართვა ციხეები: აწყვერი, ახალციხე, ასპინძა, ხერთვისი, ფარავანი და სხვ. სააკაძეს სურდა მესხეთი გაეთავისუფლებია სპარსთაგან და მეამბოხე მესხებით თავზე დასცემოდა ყორჩიბაშს.

საკაძის ასეთმა სამხედრო ხერხმა დაუბნია დავთარი სპარსებს. ყორჩიბაშმა გაგზავნა მესხეთს დიდი მამუელი ჯარი. ამ ჯარს ერთი მხრით დახვდა ელია დიასამიძე თავის მამაცი რაზმით, მეორე მხრით კი სააკაძე თავის ვაჟკაცებით. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. სპარსნი დამარცხდნენ საოცრათ. სააკაძემ აფრინა ელჩი სულთანთან და მიულოცა გამარჯვება. ამრიგათ მან მოხიბლა თურქთა ბძანებელი და ჩაითრია ომში. სულთანმა ისარგებლა ამ მარჯვე დროთი და იწყო მზადება სპარსთა წინამდევ ბაღდადის და ქურთისტანის წასართმევათ. სააკაძეს კი შემოუთვალა დიდი მადლობა და უძღვნა ძვირფასი საჩუქრები, თანაც დაპირდა მამუელ ჯარს.

მესხეთიდან სააკაძე გადვიდა კოლხიდას; დაიარა გურია, სამეგრელო, იმერეთი და მოუწოდა მათ ქართლ-კახეთის დასახმარებლათ. ისინი დიდის თანაგრძნობით შეხვდნენ ამ მოწოდებას და იწყეს მზადება.

ამ ამბავმა მეტათ შეაფრთხო სპარსნი. ყორჩიბაში ჩავარდა საგონებელში. თუმც მას ეკავა ხელში ქართლის ციხე-სიმაგრენი და მისი მომხრე იყვნენ თავადთა უმეტესობა, მაგრამ სააკაძის ერთი გაჩენა საზღვარზე იმერ-

- 110 -

თა ჯარით საკმაო იყო, რომ მთელი ქართლი გადასულიყო მისკენ. ამავე დროს ის მზერდა ოსმალთა ამხედრებას. სააკაძე თვით უწყობდა მათ ხელს. სპარსეთს კი არ ქონდა იმდენი ღონე, რომ გამკლავებოდა სულთანს. ამის გამო ყორჩიბაშმა გაამაგრა კარგათ თფილისის, გორის, ბირთვისის და სხვა ციხეები და მოემზადა წასასვლელათ.

საკაძემ გაიგო ეს, აღარ მოუცადა იმერთა ჯარის შეკრებას, გადმოვიდა ქართლს თავის რაზმით, დაეცა გორის ციხეს, აიღო იგი და მიაშურა თფილისს. აქ მან სცნო სპარსთა ჯარის გაქცევა. უკან გაკიდება გვიანდა იყო. ყორჩიბაში ამ დროს გასულიყო უკვე არეზს გაღმა და გარბოდა თავის ლაშქრით, როგორც ნამდვილი დამარცხებული, გარბოდა გულის ხეთქებით ეს ირანის მთავარსარდალი, მას ელანდებოდა ყველგან დიდი მოურავის მრისხანე სახე. ამრიგათ ხელმეორეთ გადარჩა ივერია საშინელ ხიფაფს. ახლაც მისი მხსნელი შეიქნა უკვდავი გმირი გიორგი სააკაძე. მან შეასრულა თავის სიტყვა: იხსნა სამშობლო დალუპვისაგან, შემუსრა ირანის ძალა, გარეკა სპარსნი და დამშვიდებით ჩააგო ქარქაშში თავის სისხლიანი ხმალი...

13. ქართლ-კახეთის დამშვიდება და ახალი ღალატი.

ივერიაში სააკაძეს დახვდა საზარელი სურათი: უმეფობას წაეხსნა ლაგამი ზოგიერთ დიდ თავადისთვის; ისინი შესეოდენ ერთმანეთს თავის რაზმებით და იკლებდენ. იყო ერთი სამარცხვინო სისხლის ღვრა მომმეთა შორის, ჩხუბი და კინკლაობა. განდიდების სენით და ბევრის შეძენის ალღოთი აღძრული თავადები არ ზოგავდენ არც მოყვრებს და არც ახლო ნათესავთ. ყველას სურდა მეტი ყმა და მამულის ხელში ჩაგდება. ამ სამარცხვინო ბრძოლაში წყდებოდენ ყმები, უმწეო ხალხი. ასეთი მოქმედება დიდ ზიანს აძლევდა ქვეყანას და იყო არა ნაკ-

ლებ დამღუპველი, ვინემ მტრის შემოსევა. იქით ზურაბ ერისთავს დაეთხარა თვალები თავის ძმა გიორგისთვის, დაეპყრა ერწო-თიანეთი, ახლა კი შესეოდა ფშავ-ხევსურეთს. იყო ერთი სოფლების გადაბუგვა, მიხტომ-მოხტომა და გაუთავებელი სისხლის ღვრა. აქეთ მძლავრობდენ ანდუყაფარ ამილახვარი და იასე ქსნის ერისთავი.

ამათ ღალატით ჩაიგდეს ხელში სახელოვანი გვარი **ღაზნელები** და ამოწყვიტეს ერთიანათ. მათი მამული გაიყვეს ძმურათ. ანდუყაფარ გამაგრებულიყო სპარსთა რაზმით **სხვილოს ციხეში** და იქიდან შიშის ზარს სცემდა მიდამოს. იასე ერისთავმა კიდევ ამოსწყვიტა ერთიანათ ცოლშვილით თავის კვიდრი ძმა შანშე და მისი მამული დაისაკუთრა თვითონ. იქით კიდევ გამდგარიყვენ ბარათაშვილები, ლორის მელიქები და სხ.

ამგვარივე ამბები ხდებოდა კახეთშიც. ამ ტურფა ქვეყანას შესეოდენ ლეკნი, ცარცვა-რბევით და ტყვის

- 112 -

ტაციობით იკლებდენ სოფლებს. ასევე იქცეოდენ ქართლში ოსებიც, რომელნიც გადადგომოდენ ქართლის მეფეს. ურთი სიტყვით არსებობდა ყველგან სრული ანარქია.

ასეთ უნუგემო სურათს წარმოადგენდა სისხლით მორწყული ივერია, როცა გადმოვიდა ქართლში თავის რაზმით გიორგი სააკაძე. სამშობლოს გმირი მაშინვე ეცა გორს, რომელიც ეკავა ანდუყაფარს სპარსთა ჯარებით, დაამარცხა მტერი და აიღო ციხე. ანდუყაფარ შეეხიზნა თფილისში თავის ქვისლს სვიმონ მეფეს. იასე ერისთავმა იცოდა სააკაძის ძალა და თავის ნებით დამორჩილდა მას. დააცხრო დროებით თავის გაუმადლარი გული მთის აფთარმა, ზურაბ ერისთავმა. დიდი მოურავის ჩამოსვლამ შეაშფოთა მათი თარეში და მოდრიკა გმირის წინაშე. სააკაძეც მოექცა მათ ღმობიერათ, განსაკუთრებით ზურაბს და იასეს, რომელთა სამხედრო ნიჭს დიდ პატივს ცემდა იგი, მასთან აფასებდა მათ დიდ ღვაწლს ქვეყნის გათავისუფლების საქმეში.

ახლა სააკაძემ მოინდომა სპარსების განდევნა ბირთვისის ციხიდან, რის გამო მისწერა ბარათი **ხოსია ბარათაშვილს**, სთხოვა მიეცა მისთვის მხარი და გაედევნა

ციხიდან სპარსნი.

„ქართველებს აბა რა მოუცია ჩემთვის, რომ ამას მთხოვო! პირიქით, სპარსნი დიდ წყალობას მაძლევენ, მაჯილდოებენ, ამიტომ მართებს მათი ერთგულობა და სამსახურიო,“ სწერდა პასუხათ ბარათაშვილი. ხოსიას ასეთი პასუხი საოცრათ გვაგონებს დღეს ზოგიერთ ვაჟბატონის საქციელს, რომელთა კელენჯერ გულიდან ჩინსა და ორდენს ამოუფხვრია ქართველი ერის და სამშობლოს სიყვარული.

- 113 -

საღამოს ჟამს სააკაძემ საჩქაროთ გასწია თავის რაზმით და დილის რიჟრაჟზე მოულოდნელათ დაეცა თავზე ხოსია ბარათაშვილს ტბეთის სიმაგრეში, შეიპყრო იგი და დააპატიმრა. შემდეგ დაეცა ბირთვისის ციხეს, აიღო იგი და გაჟლიტა 500 მეციხოვნე სპარსი. აქედან სააკაძე ეცა ლორის მელიქებს, მიიტანა იერიში და აიღო ციხე. მელიქებმა მოასწრეს გაქცევა ციხის ხვრელიდან. შემდეგ აიღო **სამშვილდე, დმანისი** და გაწყვიტა მათში მყოფი სპარსთა ჯარები. თვით სვიმონ მეფე თავის მომხრეებით სააკაძემ დაამწყვდია თფილისის უმთავრეს ციხეში, რომლის აღება შეუძლებელი იყო მცირე რაზმით. რაკი ამ რიგათ დაამშვიდა ქართლი, სააკაძემ გადმოიყვანა იმერეთიდან გაქცეული თეიმურაზი და დასვა ისევ ქართლ-კახეთის მეფეთ.

ამათ შემდეგ სააკაძე შეუდგა **ოსთა და ლეკთა** ალაგმას. ჯერ გადვიდა ოსეთს, დაამარცხა სასტიკათ ოსნი, აიღო მათი სიმაგრენი, ჩააყენა შიგ თავის მეციხოვნენი, დაბეგრა ხალხი, ამრიგათ მთელი ოსეთი მოიყვანა მორჩილებაში. შემდეგ მოურავმა შეაგროვა ქართლ-კახეთში საკმაოთ ძლიერი ჯარი, გადვიდა კავკასიონის მთებზე და დაეცა ლეკებს. დიდი მოურავის მოულოდნელმა შემოსევამ თავზარი დასცა ამ მტაცებელ ხალხს. სააკაძემ გასტეხა **დაღესტანი**, აიღო მათი მაგარი ციხეები, მოიყვანა მორჩილებაში მთელი ლეკეთი და დაადო ბეგარა, თანაც გადმოიყვანა ტყვეთ წყევანილი კახნი.

ახლა კი საჭირო იყო შიგნით მუშაობა, გავერანებულ ქვეყნის მოშენება და აღორძინება. ამ მიზნით სააკაძემ უბინაო ხალხს მისცა ბლომათ ადგილები, უმთავ-

ვრესათ კახეთში და დააბინავა, თანაც დაეხმარა ფულით და ნადავლით, გაათავისუფლა ისინი დროებით ბეგარი-

- 114 -

საგან, ამ რიგათ მოასულიერა და მისცა ცხოვრების სახსარი. ამგვართვე დააბინავა სააკაძემ გათათრებული ქართველები, რომლებიც დააბრუნა ლეკეთიდან და სპარსეთიდან. ამავე დროს მან გაიყვანა არხები, ააგო ხიდები და ბოგირები. ამრიგად ხელი შეუწყო მეურნეობის აღდგენას და დაბა-სოფლების აყვავებას. გაშენდა სოფლებო და ქალაქები. დამშვიდდა ქვეყანა, ხალხი შეუდგა გულმოდგინეთ მუშობას, დანგრეულ ციხე-კოშკების და ტაძრების განახლებას. გაშენდა ბაღები და ვენახები, ამწვანდა მინდვრები პურის ყანებით, გაიშალა სამოვარზე ცხვარი და ძროხა, აღორძინდა თანდათან ვაჭრობა-მრეწველობა. ხალხი დადიოდა თამამათ ტყესა და ველში, სოფლიდან სოფლათ. მას აღარ ეშინოდა შინაურ და გარეშე მტრების, ყველა დააცხრო დიდმა მოურავმა. ერთი სიტყვით სააკაძე შეიქნა მთელი ივერიის დამამშვიდებელი, პატრონი, ქომაგი და მეთაური. მას აღმერთებდა ხალხი, მას შეყურებდა დიდი და პატარა, ის იყო ყველას მამა, ფაქტიური მეფე.

საკაძის ასეთი მოქმედება და პატივდიდება შურით ავსებდა ორს ადამიანს; ესენი იყვენ **თეიმურაზ და ზურაბ ერისთავი**. ამ ორს გულზვიად არსებას ვერ მოენელებია დიდი მოურავის ასეთი გაძლიერება და ქვეყნის მართვა.

„მე მეფე ვარ მხოლოდ სახელით, ის კი ქვეყნის გამგეა და ბრძანებელი. მე გვირგვინი მაღვია თავზე, ის კი განაგებს მთელ ივერიას. რაღა ვარ მე ამას შემდეგ!“ გაიძახოდა ბრაზით თეიმურაზი. შურმა ჩააქრო მის გულში სააკაძის იმდენი ამაგი და ქვეყნისთვის თავდადება. კიდევ უფრო მეტათ ივსებოდა სააკაძისადმი მტრობით ზურაბის ღვარძლიანი გული. ამ გულზვიად თავადს გეს-

-115 -

ლით ავსებდა სიძის ასეთი სიმძლავრე და უპირატესობა. თანაც წყუროდა ფშავ-ხევსურეთის დაპყრობა და სამუხ-

რანოს ხელში ჩაგდება. ამის ნებას მას არას დროს არ მისცემდა გიორგი სააკაძე. მაშ უნდა მომხდარიყო ომი და შეტაკება. ომით კი ვერას გააწყობდა იგი. დიდი მოურავი გასრესდა მას ჭიასავით. ეს კარგათ იცოდა ზურაბმა და იხვევდა გულში მის მტრობას და სიძულვილს.

ამრიგათ სიძე-სიმამრი, ზურაბ და თეიმურაზი, ეს ორი უძლიერესი პირი შეიქნენ სააკაძის მოსისხლე მტრები. ამათ შეითქვეს პირი და იწყეს საიდუმლოთ მოქმედება დიდი მოურავის წინაამდეგ. მათ სიხარულით მისცეს მხარი სხვა გავლენიანმა თავადებმა, სააკაძის ძველმა მტრებმა. გაიმართა შეთქმულობა სამშობლოს მხსნელის წინაამდეგ; გადაწყვიტეს მისი ღალატით მოკვლა. ამ სამარცხვინო პირთ სურდათ შარი მოედოთ რამეში, უნდოდათ ამით გაემართლებიათ თავის ბინძური განზრახვა. საბაბიც მალე იპოვეს. ეს იყო **ლუარსაბ მეფე**. სააკაძეს დასწამეს საზიზღარი ცილი; მას დააბრალეს ლუარსაბის სიკვდილი. მოღალატე იყო შადიმან ბარათაშვილი; ამან გადმოიტყუა იმერეთიდან ლუარსაბი და ჩაუგდო ხელში ირანის ლომს. შადიმანის მიზეზით დაიღუპა ლუარსაბი, ახლა კი სააკაძეს ადებდენ ამ საშინელ ბრალს. მას უტეხდენ სახელს ხალხის თვალში. ის გამოყავდათ ამრიგათ ქვეყნის მტრათ და მეფის მოღალატეთ. მაშ ასეთი კაცი არ უნდა დაიზოგოს! ის უნდა მოკვდეს უსათუოთ!...

ეს უცნაური ხმები მივიდა სააკაძის ყურამდი. ქვეყნის მოკეთებმა აუწყეს გმირს ეს დაუჯერებელი ამბავი. უამბეს შეთქმულობა, ამცნეს თუ რა საზარელ მახეში უნდა გააბან იგი. უზომოთ აშფოთებულმა სააკაძემ გაუ-

გზავნა ცხინვალში მყოფ თეიმურაზს მოციქულათ ყველასაგან პატივცემული დომენტი მროველი ეპისკოპოზი, მარაბდის გმირი და შეეკითხა, მართალია თუ არა ეს ხმებიო. თეიმურაზმა ფიცით არწმუნა, რომ ტყვილიაო, ნეტა ვინ შეთხზა ასეთი საზიზღარი ჭორიო! აბა როგორ გავიმეტებ მოსაკლავათ ჩემს ერთგულს და ქვეყნისთვის თავდადებულ დიდ მოურავსო! მომეცი ხელში ის მატყუარა, შენ თვალწინ ამოვგლეჯ ენას და მოუსპობ სიცოცხლესო! უთვლიდა სააკაძეს თეიმურაზ მეფე.

საკაპემ დაამშვიდა ასეთმა პასუხმა. მას შეეპარა ეჭვი მთქმელებზე. ამათ კვლავ ფიცით აუწყეს მოურავს, რომ ეს მეორეთ ხარ თეიმურაზისაგან სასიკვდილოთ გამეტე-ბული, ერთხელ შემთხვევით გადარჩი, ახლა კი უფრ-თხილდი ღალატით სიკვდილსაო, თან დაუმატეს თეიმუ-რაზი შენგან ეძებს ლუარსაბის სისხლსაო.

საკაპემ ხელმეორეთ მიუგზავნა თეიმურაზს დომენ-ტი მროველი და შეეკითხა: მართლა მადებთ ლუარსა-ბის სისხლს და გინდათ ჩემგან აღებაო. ახლა კი თეი-მურაზმა მოიხსნა ნიღაბი და გამოჩდა თავის სამარცხვი-ნო სახით. მან ურცხვათ შეუთვალა დიდ მოურავს, რომ შენ ხარ დამნაშავე ლუარსაბ მეფის სიკვდილშიო; მას-თან ამცნო თავის უკმაყოფილება, რომ შენ ერთი გა-ნაგებ ყველა სამეფო საქმეს, ამრავლებ ჯარს, ხიბლავ ხალხს, ქომაგობ, მფარველობ და ამ რიგად ხდები ჩვე-ნი ორგულიო.

ახლა კი აეხილა თვალი დიდ მოურავს. ის მიხვდა ყველაფერს. დარწმუნდა, რომ თეიმურაზ მეფე და ზუ-რაბი იყვნ მისი მტრები და მოღალატენი. ამ საშინელ-მა სინამდვილემ გაუბზარა გული სამშობლოს გმირს. მას ეფუშებოდა თავის გენიოსური პლანი საქართველოს

- 117 -

გაერთიანების შესახებ. თეიმურაზ მეფე ძველებურათ ეპოტინებოდა რუსეთს და ევედრებოდა მფარველობას. მას არ ესმოდა სააკაპის გეგმა და მიზანი. ახლა კიდევ დიდი მოურავის მეოხებით ორჯერ ფეხზე დაყენებული მეფე ხდებოდა მის მოღალატეთ. მას მხარს აძლევდენ გავლენიანი თავადები. ამას მემდეგ რალა რჩებოდა სა-აკაპეს! ის ხელახლა უნდა გაცლოდა თავის საყვარელ სამშობლოს, უნდა შეფარებოდა სხვა ქვეყანას თავის ცოლშვილით, მას სხვაგან უნდა ეძია თავისი ბედი!

დიდი მოურავი გადვიდა იმერეთს. იქ დაიცხრო აშფოთებული გული და შეუდგა დინჯათ თავის დი-დებულ მიზნის განხორციელებას.

14. ბაზალეთის ომი.

საკაპე გავარდა იმერეთში. გიორგი მეფემ ალტაცებით და იშვიათის დიდებით მიიღო იგი. მოსვლისთანავე დიდმა მოურავმა დაუმორჩილა მეფეს გამდგარი ფეოდალი და ფრიად ძლიერი თავადი ქველი წერეთელი, რითაც უზომოთ გაახარა იმერთა მეფე.

ახლა სააკაპე შეუდგა თავის სამზადისს. მისი უმთავრესი მიზანი იყო, როგორც ვთქვით, საქართველოს გაერთიანება და ძველი დიდების აღდგენა. მას ღრმად სწამდა, რომ შეერთებული ივერია, კოლხიდა და მესხეთი ადვილათ გაუძლებდა მუსლიმთა ტალღებს და მოიგერებდა ძლიერ მეზობლებს. ერთობაში აყო ძალა და ბრწვინვალე მომავალი, დაქუცმაცებაში კი უძლურება და სხვისი მონობა. ამის მაგალითებს სააკაპე ნათლათ მზერდა ქართველი ერის წარსულში. სამშობლოს გმირი სრუ-

- 118 -

ლებით არ თანაუგრძნობდა ქართლ-კახეთის მეფეთა მონურ პოლიტიკას, მათ ჩრდილოეთისკენ მზერას და იქიდან დახმარების იმედებს. ამ მონურმა პოლიტიკამ მოურავს აუცრუა გული თეიმურაზ მეფეზე, რომლის რუსეთში ელჩების გზავნას და ხვეწნა-ვედრებას არ ქონდა დასასრული.

საკაპეს თავიდანვე არ მოწონდა თეიმურაზი, ეს ვიწრო გონების ადამიანი, და არც სურდა იგი ქართლ-კახეთის მეფეთ. კიდევ სპარსეთში ყოფნის დროს მან გაიცნო ფრიად ნიჭიერი და მეფური ღირსებით შემკული ახალგაზდა **ხოსრო-მირზა**, რომელიც შემდეგ შეიქნა ქართლის ბძანებელი **როსტომ მეფის** სახელით. ეს იყო სვიმონ მეფის ძმისწული სპარსეთში აღზდილი სიღარიბეში და სარწმუნოებით მამადიანი. ეს ფრიად ნიჭიერი ახალგაზდა სააკაპემ გააცნო შაჰ-აბაზს, რომელმაც მეტათ დაი-ახლოვა და დააწინაურა იგი. აი ეს ხოსრო-მირზა ყავდა მაშინ სახეში მოურავს ქართლ-კახეთის მეფეთ. ამ აზრს წინ აღუდგა შაჰ-აბაზი და ამ ნიჭიერ კაცის ნაცვლათ გამოგზავნა ქართლში მეფეთ უნიჭო ბაგრატ-მირზა და შემდეგ გაამეფა მისი კიდევ უფრო უსიერ და უძლური შვილი სვიმონი.

საქართველოს გადარჩენასა და სპარსებზე გამარჯვებას შემდეგ გალაღებულმა ქართველობამ მოისურვა მეფეთ ქეთევან წამებულის შვილი კახეთის ყოფილი მეფე თეიმურაზი, იმ დროს იმერეთს გადახვეწილი. ამ საერთო სურვილს ველარ ალუდგა წინ დიდი მოურავი, მით უმეტეს, რომ ხოსრო-მირზა იყო მამადიანი და ივერიაში უცნობი პირი, თეიმურაზი კი მეფე და მართლმადიდებელი ქრისტიანი. ამ გარემოებამ ჩაფუშა სააკაძის გეგმა და

- 119 -

გამოიწვია ხოსრო-მირზას მიერ შურისძიება მარაზდის ველზე.

იმერეთს გაქცეული სააკაძე შეუდგა იმის ფიქრს, თუ რა საშვალეებით გააერთიანოს საქართველო და ვინ დასვას სამეფო ტახტზე. მალე გამოძებნა მან ასეთი კაცი, ეს იყო იმერეთის ტახტის მემკვიდრე გიორგი მეფის შვილი **ალექსანდრე**.

ეს აზრი სააკაძემ გაანდო გიორგი მეფეს და დაუხატა, თუ რა დიადი მნიშვნელობა ექნებოდა ერისათვის საქართველოს გაერთიანებას. ამ დიდებულ აზრით მან გაიტაცა იმერეთის მეფე. ალექსანდრე ჯერ უნდა გამხდარიყო ქართლ-კახეთის მეფეატ, მამის სიკვდილს შემდეგ ის შეიერთებდა იმერეთსაც. ამ გვარათ გაძლიერებული მეფე ადვილათ დაიმორჩილებდა გურია-სამეგრელოს და მესხეთ-აფხაზეთს. ამ რიგათ გაერთიანდებოდა საქართველო და აღდგებოდა მისი ძველი დიდება.

მაგრამ ქართლ-კახეთის ტახტს უომრათ არ დაუთმობდა თეიმურაზი. მას გგერდით ყავდა შესანიშნავი სარდალი ზურაბ ერისთავი. მამ უმდა მომხდარიყო სამოქალაქო ომი. დიადი აზრის განხორცაელება ითხოვდა დიდ სხვერპლს, ძმათა შორის სისხლს. აქეთ სააკაძე და გიორგი მეფე შეუდგენ მზადებას, იქით ზურაბ და თეიმურაზი. სამთავროები იდგენ განზე და არ იღებდენ მონაწილობას ამ ბრძოლაში. დიდმა მოურავმა მიიმხრო ქართლის ზოგიერთი თავადი, მასვე მოუვიდა მაშველათ მესხეთიდან მცირეოდენი ჯარი. ქართლსა და მეტადრე იმერეთში სააკაძემ შეაგროვა საკმაო ჯარი და გაემართა კახეთისკენ თეიმურაზის წინამდეგ. მეორე მხრით ზურაბს და თეიმურაზს შეეკრიბათ დიდი ლაშქარი და გამა-

გრებულიყვენ ვიწროებში ბაზალეთის ტბასთან.

- 120 -

ცეცხლის საშინელი გენია ტრიალებდა მოურავის გულში. მას მიყავდა ჯარი თავის ნაამაგდარ ქართლ-კახელთა წინაამდევ. მას უნდა დაედვარა მის მიერ სამჯერ მოსპობას გადარჩენილ ივერთა სისხლი. ქართლი და კახეთი მას ეძახდა მამას, მფარველს, ახლა კი ამ მამას და მფარველს უნდა დაენთხია მათი სისხლი, ის პვირფასი სისხლი, რისთვისაც მან გასწირა თავის ცოლშვილი და თავის სიცოცხლე. საშინელება იყო ეს აზრი. ენით აუწერელ ტრაგიზმს განიცდიდა სააკაძის გული. ის კვნესდა, ბორგავდა, მოსთქემდა წინ და წინ თავის მოძმეთ, რომელნიც უნდა ემსხვერპლა ამ ბრძოლას. ტოკავლა უძლეველი გმირი. მან არ იცოდა, გადაედგა ფეხი წი, თუ დაბრუნებულიყო უკან უომრათ თავის ჯარინათ. ამ იშვიათ ადამიანს რკინის ხასიათთან ერთად ქონდა მეტათ ჩვილი გული. მას უზომოთ უყვარდა ქართლ-კახელნი, მას ებრალებოდა ისინი. მაგრამ უკან დახევით იმსხვერეოდა მისი დიდი მიზანი, იფუშებოდა სამუდამოთ საქართველოს გაერთიანების აზრი. ქართველი ერის ბედი ეკიდა სასწორზე. ან ბრძოლა და საქართველოს ბრწყინვალე მომავალი, ან უკან დახევა და მით სამშობლოს დაღუპვა! გონებამ დაიმორჩილა გმირის გული; გაიმარჯვა მალალმა იდეამ; დიდი მოურავი გაუძღვა წინ თავის ლაშქარს; ბაზალეთის ტბა შეიღება მოძმეთა სისხლით...

საკაძემ კარგათ იცოდა თეიმურაზ მეფის სილაჩრე და უნიჭობა, მაგრამ მას გვერდით ყავდა სახელოვანი სარდალი და იშვიათი ვაჟკაცი ზურაბ ერისთავი, სააკაძის მიერ ომებში გაწვრთნილი, ამ ჟამათ თვით სააკაძის დაუძინარი მტერი. დიდ მოურავს კარგათ ესმოდა, თერა ძლიერ მოპირდაპირესთან ქონდა საქმე. ამ მეტო-

- 121 -

ქემ იცოდა მისი ყოველივე სამხედრო წესი და ფანდები. სააკაძემ იცოდა, თუ რა რიგათ გამაგრებული ეყოლებოდა ზურაბს თავის ლაშქარი. ამიტომ საჭირო იყო დიდი სი-

ფრთხილს, საჭირო იყო თვით ზურაბის გამოტყუება თავის ბანაკიდან. ეს კი არ იყო ადვილი საქმე. ამას უნდოდა დრო და ლოდინი.

სააკაძე დაადგა ამ ტაქტიკას. ის შეჩერდა სამუხრანოში. მას სურდა ჩამოეტყუებია ზურაბი და მოეხდინა ბრძოლა გაშლილ ველზე. ზურაბიც თავის მხრივ არ იძროდა ადგილიდან, არ სტოვებდა თავის სიმაგრეებს. მან კარგათ იცოდა დიდი მოურავის ძლიერება და სამხედრო ნიჭი; იცოდა, რომ გაშლილ ველზე ვერ გაუმაგრდებოდა სააკაძეს, რომლის გენიის წინაშე ქედს იდრეკდა ეს ზვიადი ფეოდალი. ზურაბმა იცოდა აგრეთვე, რომ დიდი მოურავი დიდხანს ვერ გაჩერდებოდა უმოქმედოთ. ის ან უნდა დაბრუნებულიყო უომრათ, ან უნდა ამოეყვანა ჯარი მთებში, რადგან მისი მაშველი ჯარი, მესხნი და იმერნი ვერ გაჩერდებოდნენ დიდხანს.

ასეც მოხდა. სააკაძის მაშველმა ჯარმა იწყო დრტვინვა. მათ სურდათ ომის მალე გათავება და თან დაბრუნება, რადგან არ შეეძლოთ დიდხანს დატოვება ოჯახის და ცოლშვილის. სააკაძე იძულებული გახდა გაძლოდა მათ. რკინაში ჩამხდარი გმირი დაღვრემით მიაქროლებდა თავის მერანს. ის თითქო წინდაწინ გრძნობდა ცუდ მომავალს...

მოიღუშა ცა, დაბერა შემოდევის ცივმა ნიავმა, მოედვა მთებს სქელი ბურუსი, წამოვიდა კოკისპირული წვიმა, დასველდა ერთიანათ სააკაძის ჯარი; ძლიერი წვიმა სცემდა მათ თავსა და პირში; ცივი ქარი უვლიდა ძვალსა და რბილში. ცხენი და კაცი ეფლობოდნენ მუხლამდი სა-

შინელ ლაფში. ამ რიგათ შეწუხებული ჯარი მიუახლოვდა ბაზალეთის ტბას, რომლის სიახლოვეს იყო გამაგრებული ზურაბის ლაშქარი, დასვენებული და თფილ სადგომებში შეფარებული.

სააკაძემ შეაჩერა აქ თავის დაქანცულ-დალუმპული ჯარი, მოატანია ბლომათ შეშა და დაანთებია რამდენიმე ალაგას დიდი ცეცხლი კაცის და პირუტყვის გასათბობათ. ზურაბმა გაიგო მაშინვე სააკაძის მოსვლა. ის აშკარათ უმოხერდა თუ რა ყოფაში იყო დიდი მოურავის ჯარი და მიეტია გაშმაგებით სააკაძის დაქანცულ მხედ-

რობას. შეიქნა ხელჩართული ომი, ომი მედგარი და საზარელი. ქართველები დაერიენ ერთმანეთს გასაჟღერებულად. ქართველის მახვილი კლავდა ქართველს. სოველი მიწა იღებებოდა მოძმეთა სისხლით. ზეცა თითქო მოსთქვამდა ამ საშინელებას და უშვებდა ძირს თქემსა და ღვართქაფს.

ამ დროს იყო საჭრო დიდი მოურავის სარდლობა და თაოსნობა, მისი მჭექარე ხმა და მედგარი იერიში. სწორეთ ამ დროს აუჩვილდა გული სააკაძეს. მან დაუშვა ძირს მარჯვენა. მან ვერ გაიმეტა ზურაბის ჯარი, ვერ აღმართა ქართველთა წინამდევ ის მახვილი, რომელიც ჟღერდა ივერთა მტრებს — სპარსებს და ოსმალთ. ეს იყო უუდიდესი შეცდომა. ამას გრძნობდა თვით დიდი მოურავი. მან კარგათ იცოდა, თუ რა საშინელ ხიფათში აგდებდა ამ მოწოდებით თავის მხედრობას და მით ქართველი ერის მომავალს. მაგრამ... გმირის გულმა სძლია გონებას. ის დაიძალა კარავში, რომ არ ემზირა მოძმეთა შორის ბრძოლისათვის, მხოლოდ ჯარის გასამხნეველათ მან შემოსა თავის ჩაფხუტით და ჯუბა-ჯავშნით მესხეთის სახელოვანი ვაჟკაცი-ბუმბერაზი **დავით გოგორიშვილი**,

- 123 -

მისცა თავის იარაღი, შესვა თავის ცხენზე და უბძანა ჯარის სარდლობა.

გოგორიშვილმა საოცარი რიხით შეუტია ზურაბის ჯარს, რომელიც აირია მის დანახვაზე, ვინაიდან ორივე მხარემ ის მიიღო გიორგი სააკაძეთ. გოგორიშვილის გმირობამ და თავგანწირულმა ბრძოლამ გაამხნევა სააკაძის ჯარი. ამ ჯარმა მედგარი იერიშით შეუტია ზურაბის ლაშქარს და რამდენიმე ალაგას არია რაზმები. მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი საშინელი რამ: გაიმვერა ზურაბს წინ და წინ ჩაესაფრა ერთ ალაგას სააკაძის მკვლელნი-შეთქმულები ედიშა ვაჩნაძის მეთაურობით. ამათი მიზანი იყო როგორმე მოეტყუებიათ სააკაძე და მოეკლათ. ასეც მოხდა. ზურაბმა ოსტატურაო მიიტყუა იმ ალაგას გოგორიშვილი და შემოახვია მკვლელები. „შესდეგ, მოურავო!“ შესძახა კობიაშვილმა და დასცა შუბი. შეთქმულებმა დაუშინეს გოგორიშვილს შუბი და ხმალი, მაგრამ იარაღი ვერას აკლებდა მის მაგარ ჯავშანს. მესხეთის

გმირი ტრიალებდა მათ შორის და იბრძოდა ლომივით. მან იმსხვერპლა კიდეც რამდენიმე კაცი. ამ დროს მოულოდნელათ დაეტაკა მას ზურაბ ერისთვი, იძრო ხმალი, შემოკრა იმ ალაგას, სადაც არ იყო ჯავშნით დაფარული და გააგდებია ბარკალი. ამას შემდეგ დაერივნ შეთქმულები მხეცური ყიჟინით და აკაფეს გოგორიშვილი სრულიათ დარწმუნებულნი, რომ კლავდენ დიდ მოურავს.

„მოჰკლეს სააკაძე! მოჰკლეს დიდი მოურავი!“...

ეს საშინელი ხმა გლოვის ზარივით მოედვა სააკაძის ჯარს. იგი აიტანა შიშმა. ჯარს მოუკლეს დიდებული სარდალი, გმირი, იმედი. ამ ამბავმა სულით დასცა ბრძოლით და ცუდი ამიდიო მოქანცული მხედრობა. იგი აირია და

- 124 -

დაიხია უკან. პირ იქით ამ ამბავმა უსაზღვროთ ააფრთოვანა ზურაბის ჯარი. იგი საოცარი იერიშით მიეტია მტერს. ამ აფრთოვანებულ ჯარს წინ მოუძლოდა ზურაბი, მოაპობდა რაზმებს და მკვეთარე ხმლით კაფავდა კაცსა და ცხენს.

დადგა განწირვის ჟამი. სააკაძე აშკარათ მზერდა, რომ აგებდა ბრძოლას და მით ეღებოდა ბოლო მის ზენაარ მიზანს. რამდენიმე წამი კიდეც და გათავდებოდა ყველაფერი. გამწარებული გმირი წამოვარდა შეშლილივით. ელვის სისწრაფით მოახტა ცხენს, იძრო ხმალი და შევარდა ზურაბის ჯარში. ცის გრგვინვასავით მოედვა მიდამოს მისი მჭექარე ხმა. ერთი შეტევით მან არია ერთმანეთში მტრის რაზმები. ადვილათ შეიძლება, აქაც სააკაძის გამარჯვებით გათავებულიყო საქმე, რომ ორ გარემოებას არ შეეშალა ხელი: ეს იყო **მეფე თეიმურაზი და ჩასაფრებული მკვლელები**. დიდ მოურავს ცხარე ბრძოლის დროს წინ შეეფეთა თეიმურაზი, რომელმაც მოკურცხლა სააკაძის დანახვაზე. მოურავს შეეძლო დაწეოდა და მოეკლა იგი. მისი მოკვლით კი თავზარს დასცემდა კახეთის ჯარს. მაგრამ აქაც დასძლია მას გულჩვილობამ. სააკაძემ ვერ გაიმეტა მეფე. მან ვერ გაიმეტა მოსაკლავათ ვერც თეიმურაზი და ვერც ზურაბი. ამათ კი ორჯერ გაიმეტეს იგი და ახლაც დაასხეს თავზე მკვლელები. არა იშვიათათ დიდბუნოვან კაცთა გულჩვილობას ჩაუფუშავს დიდებული საქმენი. აქაც ამავე გულჩვილობამ

წარმოშვა საშინელი მარცხი.

დიდი მოურავის დანახვამ და ასეთმა უმაგალითო იერიშმა განცვიფრებაში მოიყვანა ორივე მეზობელი მხარე. შედრკა ზურაბის მხედრობა, გამხნევდა სააკაძის ჯარი. ზურაბმა დაინახა სააკაძე. ის მიხვდა თავის შეცდომას. მან სწრაფათ მიუსია მოურავს შეთქმულები.

- 125 -

„შესდეგ, მოურავო! შესძახა გმირს ედიშა ვაჩნაძემ და მოუქნია ხმალი. სააკაძე დაიჭრა მ კლავში. გამწარებულმა გმირმა ჩამოაგდო ცხენიდან ვაჩნაძე და გაუპო ორათ თავი. მან სწრაფათ გაფანტა შეთქმულები და კვლავ შეუტია მტრის რაზმებს.

მოურავი დაიჭრა კიდევ რამდენიმე ალაგს. ის იცლებოდა სისხლიდან. კიდევ ორ-სამჯერ გაიქნია გმირმა ხმალი და გულწასული დაეცა ძირს. ერთგულმა ვაჟაკებმა სტაცეს სააკაძეს ხელი, დიდი თავგანწირვით გააპეს ზურაბის ჯარი და გაიყვანეს სამშვიდობოს. გალალეულმა ზურაბმა შეუტია მედგრათ უსარდლოთ დარჩენილ მხედრობას.

გადარჩა სიკვდილს დიდი მოურავი, მაგრამ დამარცხდა მისი ჯარი. გმირის გულჩვილობამ იმსხვერპლა დიდი აზრი. შეწყდა მედგარი მრძოლა. დაიღვარა უსარგებლოთ მოძმეთა სისხლი. ბაზალეთის ტბის ზვირთებში ჩაირჩო საქართველოს ბედის ვარსკვლავი... ხალხის გადმოცემით, ქარიშხლის დროს ბნელ ღამეში მოისმის ტბიდან საშინელი კვნესა და გმინვა. ეს არის სააკაძის სული. იქ შავს კლდეებში ბაზალეთის ტბის ნაპირას ის გოდებს დაკარგულ იმედს, ის მოსთქვამს ქართველი ერის ტრაგიზმით სავსე სიცოცხლეს და უბედობას...

15. გიორგი სააკაძის ბოლო.

უსაზღრო იყო დიდი მოურავის კაეშანი ამ საბედისწერო დამარცხებას შემდეგ. გმინავდა და შფოთავდა მისი ძლიერი სული. მძიმე ჭრილობანი უორკვეცებდა ტანჯვებს. მას აღარ შეეძლო იმერეთს გაჩერება. იგი

იმულებული გახლა სხვა ქვეყანაში ემია თავშესაფარი. მაგრამ სად? საქართველოს საზღვრებში მას აღარ ედგომებოდა; ყველგან მოწვედებოდენ მისი დაუძინარი მტრები. სევდით აღსავსე მოურავი გაემართა **ოსმალეთს**. მას თან გაყვა ორმოცამდი ქართველი, საუკეთესო ვაჟკაცი, მათ შორის **ქაიხოსრო მუხრანბატონი** და **იასე ქსნის ერისთავი**.

სამშობლოდან გაძევებული გმირი მეფური ღირსებით მიიღო და შეიტკბო ოსმალს სულთანმა. მან უბოძა სააკაძეს მრავალი ქონება და საცხოვრებლათ მისცა დიდი მამული აზრუმის სიახლოვეს. მოურავი მორჩა ჭრილობათაგან. მედგარ შთაბეჭდილებას ახდენდა სტამბოლში მისი დიდებული სახე და ბუმბერაზის ტანადობა. მისი მაღალი გონება, დარბაისელი კილო და ტბილი დიპლომატიური ენა ხიბლავდა სულთანს. გმირის გარეგნობამ შეიპყრო სერალის ქალები, სულთნის არამხანა, მგოსნები დამღერდენ საკრავზე დიდი მოურავის გმირულ საქმეებს. სტამბოლის ხალხი მას ეძახდა **დიდებულ გურჯს**.

როგორც წინეთ აღვნიშნეთ, სააკაძეში იყო ჰარმონიულათ შეერთებული უმაგალითო გულადობა და საოცარი ღონე. მისმა ძალამ და გულადობამ წარმოშვა მთელი ლეგენდები. ხალხში აქამდი დარჩენილა ორი: ერ-

- 127 -

თხელ სულთანმა გამართა დიდი ჭიდაობა. თათრის უპირველესმა მოჭიდავემ უზარმაზარმა შიშველა ბუმბერაზმა გამოიწვია საჭიდაოთ ქართველები, რომლებიც სათითაოთ წააქცია. მაშინ გავიდა თვით სააკაძე. სტაცა ხელი თათრის ბუმბერაზს, ასწია მაღლა ბურთივით, დასცა ძირს და გახლიჩა შუაზე. მეორე შემთხვევა: შაჰ-აბაზთან ყოფნის დროს შაიმ კითხა თურმე დიდ მოურავს: რომელი იარაღი სჯობია გასაქირშიო? — რომელიც ხელში მოგხვდებო, — იყო სააკაძის პასუხი. შაიმ მოინდომა მისი გამოცდა და განაზრახა თავის ამაღლა. ერთ დღეს სეირნობის დროს, მოულოდნელათ დაეტაკა დიდ მოურავს ორი ლომი. სააკაძეს ერტყა მხოლოდ ხანჯალი. ეს ზღაპრული გმირი არ დაიბნა, არ შეუშინდა ამ საზარელ მხეცებს. ელვის სისწრაფით მან მისცა ერთ ლომს

პირში თავის ქუდი, მეორეს კი ჩაუსო გულში ხანჯალი. სანამ პირველი ლომი გამოაგდებდა ქუდს და ეცემოდა სააკაძეს, გმირმა ამასაც დაკრა ხანჯალი და გაუპო თავი. ყოველივე ეს მოხდა ერთ წუთში. მოურავმა სისხლიანი იარაღი გაწმინდა იქვე ბალახზე, ჩააგო ქარქაშში და არხეინათ გაუდგა გზას. ამ საშინელ სურათს უმზერდა შაი კომპიდან და მის გოცებას არ ქონდა საზღვარი.

საკაძემ თან და თან მოიღვა ფეხი სტამბოლში. მან სიძეთ მოიკიდა სულთნის ხაზინადარი. გმირი მეტათ დაუახლოვდა თვით სულთანს. ოსმალეთის ბძანებელი მთელი საათობით საუბრობდა მოურავთან და სტკბებოდა მისი სიბრძნით. სააკაძე ეძებდა მარჯვე დროს. იგი თან ატარებდა თავის საყვარელ აზრს; სამშობლოს გაერთიანების იდეა არ აძლევდა მას მოსვენებას არც დღე და არც ღამე. გმირს წყუროდა მისი განხორციელება, მაგრამ რა რიგათ? მას სურდა ამ საქმეში ჩაება თვით

- 128 -

სულთანი. მთელი კოლხიდა და მესხეთი იყო ოსმალთა ხელში. საჭირო იყო ივერთა შემოერთება. ამ რიგათ მთელი საქართველო ერთ ფარგალში მოიქცეოდა, ერთი ბძანებლის ვასალი შეიქნებოდა. შემდეგ კი სამივე ნაწილის გაერთიანება და ერთ სამეფოთ გახდომა არ იყო ძნელი. ამისთვის შესაფერი შეფე უკვე ყავდა სახეში; ეს იყო ფრიად ნიჭიერი და გულით პარიზელი **ხოსრო მირზა**, თავის ძველი კანდიდატი, რომლის გამეფებას სიამოვნებით დათანხმდებოდა სულთანი, როგორც მამადიანის. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევათ საჭირო იყო სპარსეთთან ომი, ვინაიდან ქართლ-კახეთს ეპატრონებოდა დიდი ირანი. შენდეგ კი გაერთიანებული საქართველო ადვილათ გადიგდებდა კისრიდან ოსმალეთის უღელს, შეიქნებოდა ძლიერი და პოლიტიკურათ თავისუფალი. აი, ამ აზრს ეტრფოდა დიდი მოურავი! ამ მიზნის განხორციელების იარაღათ მას სურდა გაეხადა ოსმალთა სულთანი.

საკაძემ შეურჩია დრო სულთანს, მეტათ ფრთხილათ და ოსტატურათ გაუტარა აზრი ივერიის შეერთებაზე. მან ნათლათ დაუხატა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თურქთა იმპერიისთვის სრულიად საქართვე-

ლოს შეერთებას. ამ რიგათ სულთანი სამუდამოთ დთ ასუსტებდა თავის აღმოსავლეთის მტერს სპარსეთს. მეორე მხრით, თვით ქართველების დახმარებით დაიპყრობდა მთის ხალხებს. ყველაზე უფრო კი ივერიის დაპყრობით სულთანს უვარდებოდა ხელში კავკასიონის კარები, **დარუბანდი** და **დარიალი**, საიდანაც ემუქრებოდა მას რუსების შემოსევა. ამისათვის სააკაძე თხოვდა სულთანს ჯარებს. გმირი აძლევდა სიტყვას, რომ მოკლე დროში დაუპყრობდა ივერიას, მთის ხალხებს, დააუძღურებდა სპარსეთს და დაკეტავდა კავკასიონის კარებს.

- 129 -

საკაძის სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანა სულთანი. მას სწამდა გმირის ძლიერება. იცოდა, რომ ყოველივე ამას ადვილათ შეასრულებდა დიდი მოურავი, რომლის მახვილის მკვეთარება და სამხედრო გენიოსობა ბევრჯერ იგემა თვით სულთანმა ჯერ თათარხანის შემოსევის დროს საქართველოში და შემდეგ სპარსელებთან ომში, რომელთა ჯარებს მეთაურობდა გიორგი სააკაძე, მაგრამ ამ ჟამათ არ ეცალა სულთანს, ქონდა აღმოსავლეთით დიდი ომები. მას აუჯანყდენ მცირე აზიის მებრძოლი ხალხი **თოხატელნი**, გადუდგენ **არაბნი**, ქონდა გაუთავებელი ბრძოლა სპარსებთან **ბაღდადისკენ**. აი სად იყო საჭირო მისთვის სააკაძის დახმარება! სულთანი იწვევდა მოურავს ამ ომებში, სთხოვდა დახმარებას, ნაცვლათ პირდებოდა დიდი ჯარის მიცემას მთელი ივერიის დასაპყრობათ და მით საქართველოს შესაერთებლათ. მოურავი დათანხმდა სიამოვნებით.

სულთანს მოსდიოდა ყოველ მხრიდან ცუდი ამბები. ყველგან მარცხდებოდა მისი ჯარი. თოხატელთ დიდი ხანია შემოხვეოდა ურიცხვი ჯარით ვეზირ-აზამი, სულთნის სიძე, (დის ქმარი და პირველი ვეზირი), მაგრამ ვერას გამხდარიყო. თოხატელთ ქონდათ ფრიად მაგარი ციხე-ქალაქი. იმათ გაუმართეს ვეზირ-აზამს სათარეშო ბრძოლა, ეცემოდენ მოულოდნელათ ოსმალოს ჯარებს და აყენებდენ დიდ ზიანს. ამგვარივე მოვლენა ხდებოდა ბაღდადთან და არაბისტანში. სულთანი და მასთან მთელი სტამბოლი ფრთად შეწუხებული იყვენ ამ ამბებით.

ამ გაჭირების დროს მიადგა კარზე გიორგი სა-

აკამე 40 საუკეთესო ვაჟაკით. ეჭვი არა, სულთანი მი-
იღებდა მათ დიდი ზემოთ და უბოძებდა აურაცხელ ქო-
ნებას, რომ მოეგო მათი გული. ოსმალოს ბძანებელი

- 130 -

ეწია მიზანს. დიდ მოურავს გაატანა მან ჯარი და გაუ-
შვა თოხატთა წინამდეგ, მასთან წინ და წინ აღუთქვა
ყველა იმ ქვეყნის მიცემას, რასაც დაიპყრობდა იგი. თა-
ვის სიძეს კი მისწერა აეხსნა ალყა და წასულიყო ჯარით
ბაღდადისკენ.

საკამემ თან წაიყვანა თავის ქართველები და გაუ-
ძღვა ოსმალოს ჯარს. ის მიუახლოვდა თოხატების სი-
მაგრეს. საიდუმლო დათვალიერებას შემდეგ მოურავი
დარწმუნდა, რომ იერიშით და თავის მცირე ჯარით იმ
ციხის აღება შეუძლებელი იყო, ამიტომ მიმართა ხერხს.
მან და მისმა ქართველებმა გადაიცვეს ვაჭრული სამო-
სელი, გაიგდეს წინ საქონლით დატვირთული ჯორ-აქ-
ლემნი და ამ გვარი ოინით შევიდნენ ციხეში. აქ მათ
გაუღეს უცებ ციხის კარები თავის ჯარს და შეუშვეს
შიგ. ენით აუწერელი რისხვა დატრიალდა თოხატთა
თავზე. სააკამემ გაწყვიტა ნახევარზე მეტი მტერი და აი-
ღო ციხე. ამ უმთავრესი ციხის აღებით მან ადვილათ
გასტეხა და დაიპყრო მთელი თოხატის ქვეყანა. მოუ-
რავმა ეს ამბავი აუწყა სულთანს და თან გაუგზავნა ფე-
შკაშათო მტრის დროშები და სამხედრო ალაფი. სულთ-
ნის გაოცებას და სიხარულს არ ქონდა საზღვარი. მთე-
ლი სტამბოლი აღტაცებაში მოიყვანა ამ დაუჯერებელმა
ამბავმა. მცირე ჯარით და ორმოცი ქართველით ერთ
თვეში სააკამემ ჩაიდინა ეს დიდი საქმე. უზომოთ გახა-
რებულმა სულთანმა შეუთვალა სააკამეს დიდი მადლობა,
უბოძა აურაცხელი განძი და გახადა დაპყრობილ ქვე-
ყნის ბძანებლათ.

გაიმართა ქალაქებში ჩირაღდანი და დღესასწაული.
სტამბოლის მგოსნებმა ლექსათ შეამკეს საქართველოს
გმირი და იწყეს საკრავებზე მისი ქება-დიდების დამღე-

- 131 -

რება. ეს სასიმღერო ხმები შეიჭრა სერალის ტურფა ბა-

ღებში და აღტაცებაში მოიყვანა სულთნის ცოლები. თეთრი მარმარის აუზთან კვიპაროსის ჩდილში დამღერდენ ამ ქების ჰანგებს მშვენიერი შავთვალა ოდალისკები და თან დასცინოდენ ვეზირ-აზამს. სულთნის დას ესმოდა ეს დაცინვა. მას გულს უწვავდა სააკადის ქებათა-ქება, დიაცის გული ივსებოდა შურისძიებით.

უარესი დღე დაადგა ვეზირ-აზამს ბაღდადის მხარეს. სპარსებმა გაუჭივრეს საქმე და სასტიკათ დაამარცხეს რამდენჯერმე. გაბრაზებული სულთანი უგზავნიდა მაშველ ჯარებს, მაგრამ არაფერი შველოდა. მაშინ სულთანმა მის შემწეთ გაგზავნა სააკამე 4.000 კაცით. დიდ მოურავს **დიარბექირთან** შეხვდა სპარსთა ჯარი რიცხვით 10.000 მეომარი. მოხდა მედგარი ბრძოლა. სააკამემ საშინლათ დაამარცხა მტერი და თითქმის გაანადგურა ერთიანათ. ეს იყო ოსმალთა ჯარის პირველი გამარჯვება სპარსებზე.

ჩავიდა სტამბოლში ეს ახალი ამბავი. მოედვა იგი სწრაფათ მთელ ოსმალეთს. სააკამე გადიქცა ხალხის თვალში რაღაც ზღაპრულ პირათ. სერალის ტურფა ასულნი ოცნებობდენ ამ შეუდარებელ გმირზე. სულთნის და სკდებოდა გულზე. ამ ამბებმა მეტათ შელახა მისი თავმოყვარება. ის მზათ იყო დაეგლიჯა თავის კბილით თავის ლაჩარი ქმარი.

ცუდი ამბები მოდიოდა არაბეთის მხრიდან. იქ ხდებოდა საშინელი აჯანყება. საჭირო იყო ამ ვაჟკაცი ხალხის დაწყნარება. ოსმალეთი გადაარჩინა ამ ხიფათს ისევ გიორგი სააკამემ. მან მცირე ჯარით მოკლე დროში ჩააქრო აჯანყება და ძლევამოსილი დაბრუნდა უკან. ამ დროს სასტიკი ბრძოლა ხდებოდა **აზრუმთან**. აზრუმის

- 132 -

ფაშა **აბაზი** გადუდგა სულთანს და მიემხრო სპარსეთის შაის. გალაღებელი სპარსნი შემოიჭრენ შუაგულ ოსმალეთში. აზრუმს შემოერთცა ურიცხვი ჯარით ვეზირ-აზამი, მაგრამ ვერაფერს გახდა. ციხე-ქალაქი იდგა მაგრათ და თვით აზრუმელნი სათარეშო ბრძოლით მეტათ ასუსტებდენ ოსმალთა ჯარებს. სტამბოლიდან იგზავნებოდა მაშველი ჯარი, მაგრამ ამაოთ. სულთნის გამწარებას არ ქონდა საზღვარი. ამ დროს უცებ გავარდა ხმა:

„დამარცხდა მტერი, აიღეს აზრუმი, ოსმალს დროშა ფრიალებს ციხის წვერზეო“... ვინ ჩაიდინა ეს სასწაული? აქაც სააკაძის გენიამ გასტეხა მაგარი ციხე და დასცა ფაშა აბაზი.

მოდოდა სტამბოლში ეს საოცარი ამბები და იპყრობდა მსმენელს. სააკაძე გადიქცა მათ თვალში რაღაც ლეგენდარულ არსებათ; ხალხი აღმერთებდა მას. სულთანმა არ იცოდა თუ როგორ დაუჯილდოებია ის კაცი, რომელმაც ასე საარაკოთ ასახელა მისი დროშა და მოფინა მის გვირგვინს ესდენ დიდების შარავანდედი. ის მზათ იყო მოეწვია დიდი მოურავი და დაესვა თავის გვერდით სულთნის სევანზე. მთელი სერალი ოცნებობდა საქართველოს გმირზე. მშვენიერი არსებანი თვლიდენ მას თავის კერპათ და ოხრავდენ მთვარიან ღამეში დიდებულ გურჯზე.

მაგრამ მორიელი ანთხევდა თავის გესლს. ბნელეთის ვეშაპი უახლოვდებოდა ჩასანთქავათ სააკაძის სიცოცხლის მნათობს. აივსო შურისძიების ფიალა. სულთნის და ბორგავდა, ვით მქშინავი ნიანგი. ვიღაც გურჯმა სამშობლოდან გაძევებულმა დაჩრდილა მისი დიდება, მასხარო ტიკინათ აქცია ხალხის თვალში მისთ ქმარი, დიდი ვეზირი. დიდებულ სულთნის და გადიქცა სე-

- 133 -

რალში დაცინვის საგნათ. მეტი მოთმენა აღარ შეიძლებოდა! უნდა მომკვდარიყო ეს გურჯი, უნდა დაღვრილიყო მისი სისხლი...

სულთნის დამ მისწერა თავის ქმარს მეტათ მკაცრი წერილი. ის აუწყებდა სულთნის რისხვას, ქალების დაცინვას, ხალხის თვალში დაცემას და მასხრათ აგდებას. ვიღაც მოთრეულმა გურჯმა დაჩრდილა თავის გმირობით დიდი ვეზირი, სულთნის სიმე, დასცა მთელ იმპერიაში მისი სახელი, მასხრათ აქცია იგი სერალის თვალში.

„ამას შემდეგ ან შენ უნდა იყო, ან ეგ! მოჰკალ ეგ გურჯი! დაღვარე მაგის სისხლი და მით აღადგინე დაცემული სახელი!“ სწერდა ცოლი ვეზირ-აზამს.

ამ ბარათმა მეტათ ააშფოთა დიდი ვეზირი. ცოლი აყვედრიდა მას უმოქმედობას, სიძაბუნეს. ქალი იწვევდა

ვაჟკაცს შურის საძიებლათ. ის უკვეთდა უპირველესი კაცის მოკვლას, ეს საქმე მეტათ ემძიმებოდა პატიოსან კაცს, მან გაკიცხა ცოლის საქციელი საპასუხო წერილში.

მოკლე ხანში დიდმა ვეზირმა მიიღო ცოლიდან მეორე და მესამე წერილი ლანძღვა-გინებით და მუქარით სავსე. არ ისვენებდა ვნებით მბორგავი დიაცი. ის ეძახდა ქმარს ლაჩარს, ჯაბანს, დედაბერს. — თუ არ მოგიკლავს ეგ გურჯი, გაგშორდები საჯაროთ, ხელს ავიღებ მენს ცოლობაზე, შეგარცხვენ ქვეყანაშიო.

ამ ბარათმა დიდი ვეზირი ჩააგდო საგონებელში. ის იცნობდა თავის ცოლს. სულთნის და ადვილათ მოიყვანდა სისრულეში თავის მუქარას. საშინელ ყოფაში იყო იგი. ვეზირს ან უნდა მოეკლა თავი, ან თავის მეტოქე. ამ დღიდან გადაწყდა სააკაძის ბედი.

ზამთარი დგებოდა. იმდენ ბრძოლის შემდეგ დი-

- 134 -

დი მოურავი ისვენებდა თავის ქართველებით თოხატთა ქალაქში. ის მოუთმენლათ ელოდა გაზაფხულს, რომ მიეღო სულთნიდან დაპირებული ჯარი და წაეყვანა საქართველოში თავის საყვარელ მიზნის მისაღწევად. ამ ჟამათ მას მოუვიდა ორი ფრიად სასიამოვნო ამბავი: პირველი, შაჰ-აბაზის სიკვდილი და მით სპარსეთის შინაურ საქმეების არევა, მეორე, — ზურაბის და თეიმურაზის აშლილობა. დგებოდა მშვენიერი მომენტი. ამაზე უფრო მარჯვე დროს მოურავი ვერ იშოვიდა. მაგრამ გმირმა არ იცოდა თუ რა საფრთხეში ვარდებოდა იგი, არ იცოდა, რა შურისძიებით აღვსილი არსება მოქმედობდა მის წინამდევ, რა საშინელი ღალატი მზადდებოდა მის გვერდით. საალალოთ, დიდი მოურავის დღეები იყო დათვლილი...

ფრანგებმა იციან, ყოველივე ბოროტების მიზეზი ქალიაო, და სწორეთ აქაც დიდებული გმირის სიკვდილის მიზეზი შეიქნა ევას ასული.

ახლათ ამოსული ცისკარი კიაფობდა ეთერში და ფენდა ირგვლივ ციატა სხივებს. ქრებოდა ნელ-ნელ დამის წყვდიადი. გოროზათ მდგარი თოხატის ციხე ამაცათ დასცქეროდა გორაკის წვეროდან თოვლით მოთფენილ მიდამოს. ისმოდა შორით ძაღლების ყეფა. აგერ

მთის ფერდობზე თფილ სახლებში ტკბილათ ეძინათ დიდ მოურავს და მის ქართველებს. ამ სიბნელეში ქართველთა უბანს ფრთხილათ უახლოვდებოდნენ შეიარაღებული ჯგუფნი. აჰა, მივიდენ კიდეც! აჰა, შეცვინდენ სახლებში! იელვა ხმაღმა, გავარდა თოფი...

საზიზღარი მკვლელნი დაესიენ მძინარე ქართველთ და გაავლეს მუსრი...

მოკლეს ლალატით ლალატითავე დევნილი საქართველოს უუდიდესი გმირი... მოკვდა სამშობლოდან გა-

- 135 -

ტყორცილი შორს ქვეყანაში... მოკლეს დიდებული სამხედრო გენიოსი... იქ ოსმალეთში უკანასკნელათ იფეთქა სააკაძის გენიამ და ჩაქვრა საუკუნოთ... მოლეს 1630 წელს სიცოცხლით სავსე **48 წლის ვაჟააგი**... მამას გულზე დააკლეს მისი საყვარელი შვილი ავთანდილი...

ასე დამთავრდა ამ დიდებული კაცის უამური ცხოვრებ! მოკლეს ლალატით უზენაესი გმირი, რომლის ბადალი ჯერ არ მოუცია მსოფლიო ისტორიას. მოვლეს საქართველოს უდიდესი პატრიოტი, რომელმაც შესწირა ტანჯულ სამშობლოს თავისი თავი და თავის ცოლშვილი. მოკვდა ტრაგიულათ დიდი მოურავი და მასთან ერთათ ჩაესვენა სამარეს საქართველოს გაერთიანების დიადი აზრი. მას შემდეგ გავიდა თითქმის სამასი წელი, მაგრამ არავის უზრუნვია საქართველოს გაერთიანებასა და ძველი დიდების აღდგენაზე. თვით ერეკლე გმირმაც ვერ შესძლო იგი და უანდერძა ბრძოლით დაქანცული სამშობლო ორთავიან არწივს...

დასრულდა ქართველი ერის ტრაგედიის ერთი ხანა. მას შემდეგ საქართველომ განიცადა სხვა ახალი ტანჯვა და წამებანი. განგებამ მიაკრა ქართველები უხილავი ჯაჭვით კავკასიონის ქედს, ვით ამირან გმირი, ულმო ბედმა დაახვია საგლეჯათ ყვავი და ყორანი... მაგრამ არა! არ მოკვდება არას დროს ის ერი, რომელიც ბადებს ისეთ დიდებულ გმირებს, როგორიც იყო გიორგი სააკაძე!...

სარჩევი:

	გვ.
წინასიტყვაობა	I
1. საქართველო მე-16-ტე საუკუნეში	1
2. შაჰაბაზი და მისი ოინები	9
3. გიორგი სააკაძე	20
4. ცხირეთის ომი	27
5. დიდი მოურავის ნადიმი	35
6. ღალატი	43
7. კახეთის აჯანყება და თეიმურაზი	50
8. კახეთის აოხრება	57
9. თეიმურაზის კინკლაობა და შაჰ-აბაზის რისხვა	66
10. ივერიის გადარჩენა გიორგი სააკაძის მიერ	77
11. მარაბდის ომი	91
12. დიდი მოურავის სათარემო ბრძოლა	104
13. ქართლ-კახეთის დამშვიდება და ახალი ღალატი	111
14. ბაზალეთის ომი	117
15. გიორგი სააკაძის ბოლო	126

უმთავრესი წყაროები.

1. იოსებ თფილელი: დიდი მოურავიანი.
2. არჩილ მეფე: თეიმურაზ პირველის ცხოვრება.
3. „ცხოვრება საქართველოსი“, უსახელო ავტორისა, მ. ბროსეს გამოცემა.
4. ვახუშტი: საქართველოს ისტორია. ნაწ I და II
5. თეიმურაზ ბატონიშვილი: მოურავის სიკვდილი.
6. პიეტრო დელავალეს მოხსენება პაპთან საქართველოს შესახებ, თარგმანი ა ჭ-სა.
7. ანტონ ფურცელაძე: ბრძოლა საქართველოს მოსასპობათ და საქართველოს შესაერთებლათ, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო 1892 წ.
8. Пл. Иоселиани: Жизнь Великаго Моурава Георгия Саакадзе.
9. Белакуровъ: Сношение Россіи съ Кавказомъ.
10. Потто: Кавказская война.
11. Michel Tamarati: L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours. 1910.

12. De Villeneuve: La Géorgie. 1870.